ია ხარაზი

საქართველოს საარჩევნო სამართალი

(ნაშრომი მომზადებულია ახალი საარჩევნო კოდექსის მიხედვით)

სტუ-ს სამართალმცოდნეობის დისციპლინების სწავლების საბჭომ დაამტკიცა სახელმძღვანელოდ იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, პრაქტიკოსი იურისტებისათვის, საარჩევნო ადმინისტრაციისათვის, ნებისმიერი დაინტერესებული პირებისათვის

რედაქტორი იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი ლობჟანიძე

თბილისი 2002

წარმოდგენილი ნაშრომი "საქართველოს საარჩევნო სამართალი" შედგება ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილებისაგან. ნაშრომს წინ უძღვის წინათქმა, ახლავს ტესტები და მოყვანილია გამოყენებული ლიტერატურული წყაროები. ტექსტში არის საკითხის ირგვლივ სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლების მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის მიმოხილვა.

ზოგად ნაწილში გახილულია არჩევნების ცნების, დემოკრატიული გზით განხორციელების და სხვა საკითხები. გამახვილებულია ყურადღება საარჩევნო სამართლის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებზე, მოყვანილია კომენტარები არჩევნების დაფინანსების და სხვა საარჩევნო კომპანიის ორგანიზაციული ღონისძიებების შესახებ, საჯაროობის პრინციპის გამოკვეთით.

განსაკუთრებულ ნაწილში არსებული საარჩევნო კანონის შესაბამისად განხილულია საკითხები საქართველოში პრეზიდენტის, პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნების ჩატარების წესი, პირობები და სხვა საკითხები. ნაშრომიდან ჩანს ავტორის

ხედვა არსებული საკითხების კომპლექსურად მოგვარებაზე.

რეცენზენტები: საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის
სამართალმცოდნეობის დისციპლინების
სწავლები საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე, იურიდიულმეცნიერებათა
კანდიდატი დოცენტი: ლ. ქობულაშვილი.

წინათქმა

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ჩამოთვლის რა პიროვნების მნიშვნელოვან უფლებებს, საგანგებოდ გამოჰყოფს მის კონსტიტუციურ უფლებას უშუალოდ, ან მის მიერ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით, მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის მართვაში.

ადამიანის უფლებათა რეალიზაცია კანონმდებლობით დადგენილ საარჩევნო სამართლის ფარგლებში წარმოადგენს თანამედროვე დემოკრატიული პოლიტიკის საფუძველს, ვინაიდან სწორედ სხვადასხვა სახის ცენტრალური და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები, სახელმწიფო დემოკრატიის ერთერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტია.

საერთოდ, ამა თუ იმ სახელმწიფოში ხელისუფლების დემოკრატიულობაზე, ან არადემოკრატიულობაზე მსჯელობა შეიძლება იმის მიხედვით, თუ როგორი პრინციპებით ჩატარდება არჩევნები და რამდენად დემოკრატიულია საარჩევნო კანონმდებლობა.

სწორედ დემოკრატიულ საწყისებზე ჩატარებულ არჩევნებს, მასში ამომრჩეველთა აქტიურ მონაწილეობას და

მათთვის ფართო დემოკრატიული შესაძლებლობების მინიჭებას გამოხატოს აქტიური პოლიტიკური ნება ყოველგვარი ზეწოლის გარეშე აირჩიოს თავისი წარმომადგენელი ცენტრალურ და ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოში და მათი მეშვეობით ჩამოაყალიბოს სახელმწიფოში დემოკრატიული სახელისუფლებო სტრუქტურები, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

საარჩევნო სისტემების მეშვეობით წყდება საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა მართოს და გარკვეულ შემთხვევაში რა უნდა აკეთოს მთავრობამ. ამ თვალსაზრისით არჩევნები განიხილება როგორც დემოკრატიის უშუალო ფორმა, რომლის მეშვეობითაც ქვეყანაში სახალხო სუვერენიტეტის რეალიზება ხდება.

ნამდვილი, ჭეშმარიტად დემოკრატიული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგად ჩამოყალიბებული ცენტრალური, თუ ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები, ერთი ჰარმონიული მიმართულებით წამართავენ საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა ინტერესებს. ასეთი ავტორიტეტების ხალხის წარმომადგენლების მეშვეობით ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი ნათელია

უკეთესი მერმისი.

დემოკრატიული საარჩევნო კანონი, ხალხის უკეთესი და ნათელი მერმისისათვის მებრძოლი ცენტრალური და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევის საფუძველია. ხალხისათვის მებრძოლი წარმომადგენლობითი ორგანოები ქვეყნის კეთილდღეობის საუკეთესო გარანტიას ქმნიან. ამოტომ ცხადია ძნელი მისახვედრი როდი უნდა იყოს, რომ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა მომავალში მუდმივ სრულყოფას და დახვეწას უნდა განიცდიდეს ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

უღრმესი მადლობა მინდა მოვახსენო საქართველოს ტექნიური უნივერსიტეტის საავიაციო ინსტიტუტის დირექტორს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ სერგო ტეფნაძეს.

დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ბატონ ლევან ქომულაშვილის მიმართ, იმ მეგობრული დახმარებისა, თანადგომისა და საინტერესო რჩევებისათვის, რომელიც დიდად დამეხმარა წიგნზე მუშაობისას.

ავტორი

შესავალი

არჩევნების ცნება და ზოგადი დახასიათება

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და სხვა მრავალფეროვანი საერთაშორისო სამართლებრივი აქტები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს ქვეყნის მოქალაქეთა მრავალფეროვან უფლებათა პრიზმაში მათ პოლიტიკურ უფლებას, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ თავიანთი ქვეყნის სახელისუფლო სტრუქტურების ჩამოყალიბებაში და მის მართვაში აქტიურად მონაწილეობდნენ დემოკრატიის სხვადასხვა ფორმების მეშვეობით. ამიტომაც იყო, რომ 1948 წლის გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიღებულმა "ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამ" ადამიანთა უმნიშვნელოვანეს უფლებად, გამოხატოს თავისი პოლიტიკური ნება, არჩევნები აღიარა "ყოველ ადამიანს აქვს შრომის უფლება, საქმიანობის თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობებისა და უმუშევრობისაგან თავის დაცვის უფლება. ყოველ ადამიანს, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე, თანაბარი შრომისათვის აქვს თანაბარი გასამრჯელოს მიღების უფლება". ხალხის ნება

უნდა იყოს მთავრობის ხელისუფლების საფუძველი: ეს ნება უნდა გამოიხატოს პერიოდულ და არაფალსიფიცირებულ არჩევნებში, ფარული კენჭისყრით, ან თანაბარმნიშვნელოვანი ფორმებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის უფლებას".

დემოკრატიულ არჩევნებში მოსახლეობის პოლიტიკური ნების გამოხატვის გზით–ლეგიტიმური ხელისუფლების ჩამოყალიბების საუკეთესო გზაა.

დემოკრატიული გზით ჩატარებული არჩევნები ცენტრალური თუ ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოებისა, მოქალაქეებს ეხმარება მათთვის სასურველი დემოკრატიული მმართველი სისტემის ჩამოყალიბებაში.

1. დემოკრატიული არჩევნები ალტერნატიული უნდა იყოს, ანუ ოპოზიციურ პარტიებს თანაბარი პირობები უნდა შეექმნათ დემოკრატიულ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა.

2. მოსახლეობას უნდა შეექმნას ნორმალური პირობები, რათა ყოველგვარი ზეწოლის გარეშე მიიღონ მონაწილეობა მათთვის სასურველი პოლიტიკური პარტიებისა, თუ ალტერნატიული კანდიდატების ასარჩევად.

3. "ყოველ ადამიანს, განურჩევლად ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა..." შეუზღუდველი უფლება მიენიჭოს ლეგიტიმურ არჩევნებში მონაწილეობისა.

4. საქართველოს კონსტიტუციის V მუხლში ჩაწერილია: "საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი..." ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდების, უშუალო დემოკრატიისა და სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით". აქედან გამომდინარე ხალხი არჩევნებში აქტიური მონაწილეობის გზით გამოხატავს თავის ნებას და თავისი სუვერენიტეტის რეალიზებას ახდენს.

5. არჩევნები სოციალური მანევრირებისა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის სელექციაა. ხალხი სწორედ არჩევნების გზით ახდენს მათთვის სასურველი კანდიდატებისათვის პრიორიტეტების მინიჭებას, მათი არჩევის გზით მათთვის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მინიჭებისას. პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც ვერ გაამართლებს ხალხის

ნდობას, კარგავს ხალხის მხარდაჭერას და მას მეორედ აღარ აირჩევენ.

6. არჩევნები პოლიტიკური ბარომეტრის როლს თამაშობს. იგი მკვეთრად გამოხატავს ურთიერთ-საპირირისპირო პოლიტიკურ მიზნებს, ამოცანებს, რომლებიც არსებობენ სხვადასხვა ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს შორის.

სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები დაკავშირებულია საზოგადოებრივი ურთიერთობის საკმაოდ რთულ კომპლექსთან, სადაც აქტიურად მონაწილეობენ ამომრჩევლები, საარჩევნო სუბიექტები, სახელმწიფო ორგანოები, საარჩევნო კომისიები და სხვა, რომლებიც ერთობლიობაში საარჩევნო სისტემას ქმნიან.

საარჩევნო სისტემა, ესაა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც არჩევნების გზით საჯარო ხელისუფლების ორგანოების ფორმირებას ახდენს.

ქვეყანაში არსებული ყოველი საზოგადოებრივი ურთიერთობები სამართლებრივ რეგულირებას საჭიროებს და

ცხადია მათ შორის საარჩევნო პროცესში ჩამოყალიბებულ ურთიერთობებსაც სამართლებრივი რეგულირება სჭირდება.

"საარჩევნო სამართალი", ესაა სამართლის ნორმების სისტემა, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმირების წესს არეგულირებს.

საარჩევნო სამართალს განიხილავენ ობიექტური და სუბიექტური მნიშვნელობით.

საარჩევნო სამართალი ობიექტური გაგებით უკავშირდება ზემოთმოყვანილ განმარტებას. იგი უნდა განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოს წარმომადგენლობითი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

საარჩევნო სამართალი სუბიექტური გაგებით, ესაა პირის უფლება აირჩიოს ან არჩეულ იქნას სახელმწიფოს წარმომადგენლობით ან თვითმმართველობით ორგანოებში. საარჩევნო სამართლის სუბიექტური გაგება არის პირის უფლება არჩევნებში მონაწილეობისა ამომრჩევლის და ასარჩევი კანდიდატის სახით.

"საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლში წერია: "საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს, გამგებლისა და მერის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, საქართველოს საარჩევნო კოდექსი, სხვა საკანონმდებლო აქტები და საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტები.

სუბიექტები

საარჩევნო სამართლებრივი ურთიერთობები, მასში მონაწილე სუბიექტების მიხედვით იყოფა: ა) აქტიური საარჩევნო უფლება და ბ) პასიური საარჩევნო უფლება.

აქტიური უფლებაა საქართველოს მოქალაქის უფლება აირჩიოს საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს წევრები, გამგებელი და მერი;

პასიური საარჩევნო უფლებაა საქართველოს მოქალაქის უფლება, არჩეულ იქნეს საქართველოს პრეზიდენტად, საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს წევრად, გამგებლად და მერად.

"საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობითი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება, უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება". აქვე კონსტიტუცია აწესებს შეზღუდვებს, კერძოდ არჩევნებში და რეფერენდუმებში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო, ან სასამართლო განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.

ასევე არჩევნებში მონაწილეობის უფლებით არ სარგებლობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც დროებით იმყოფებიან საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე და აგრეთვე მოქალაქეობის არამქონე პირები.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი მ. 5	2. "აქტიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველო მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, განათლებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა..."

აქტიური საარჩევნო უფლების მატარებლისათვის, დაწესებულია ასაკობრივი ცენზი 18 წელი, იგი 25 წელია პასიური საარჩევნო უფლების მატარებლისათვის და აგრეთვე გათვალისწინებულია ბინადრობრივი ცენზიც.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი მ. 92	საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ 10 წელი.

ბინადრობის ცენზი განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ იგი პრეზიდენტობის კანდიდატის, პარლამენტის წევრობის კანდიდატის, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებს ეხება. პირველისათვის საქართველოში ცხოვრების 15 წლიან პერიოდს მოითხოვს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს უნდა ცხოვრობდეს საქართველოში.

საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას პასიური საარჩევნო უფლების მატარებლისათვის განასხვავებენ აგრეთვე ე.წ. იურიდიულ საარჩევნო კორპუსს და ე.წ. ფაქტობრივ საარჩევნო კორპუსს. პირველში მოიაზრება ქვეყნის აქტიური საარჩევნო უფლების მქონე ყველა მოქალაქე, ხოლო მეორე დეფინიცია მოიცავს კენჭისყრაში რეალურად მონაწილე მოქალაქეებს.

კანონმა ბინადრობის ცენზი 10 წლით განსაზღვრა, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს წევრად, მერად, გამგებლად, შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისათვის შეუსრულდა 21 წელი, საქართველოში მუდმივად უცხოვრია 5 წელი მაინც და კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულია. ამასთანავე ბინადრობის ცენზის დაწესება საკმაოდ მნიშვნელოვანი და გავრცელებულია. მისი დაწესებით კანონი განსაზღვრავს გარკვეული ვადით სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ან რომელიმე ტერიტორიულ საარჩევნო ერთეულში ცხოვრებას.

ბინადრობის ცენზის დაწესებას ითვალისწინებს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა და იგი გარკვეულწილად

გამოვლინებაა მკვიდრობის ცენზისა, მთელ რიგ ქვეყნებში პრეზიდენტის, პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის არჩევნებისას.

მოქალაქეობის ცენზს განსაკუთრებული პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოს კანონი ტერმინ "მოქალაქეს" ხმარობს და ამასთან დაკავშირებით აყენებს მოქალაქეობის ცენზს. ე.ი. არჩევნებში დაიშვებიან მხოლოდ ის პირები, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეობა გააჩნიათ. კანონი განსაზღვრავს, რომ პირის ქვეყანაში მოქალაქედ ყოფნა განსაზღვრავს მის უფლებას არჩევნებში მონაწილეობისა.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი მ. 82	საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი არ შეიძლება იყოს მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საკონსულო აღრიცხვაზე

საქართველოს საარჩევნო კოდექსი მ. 92	საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საკონსულო აღრიცხვაზე

საქართველოს საარჩევნო კოდექსი მე-80-ე მუხლის თანახმად: „საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში 15 წელი მაინც უცხოვრია და არჩევნების დანიშვნის დღისათვის ცხოვრობს საქართველოში.

აშშ კონსტიტუციის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, "...არავინ შეიძლება იყოს წარმომადგენელი, ვისაც არ მიუღწევია 30 წლის ასაკისათვის, არ ყოფილა 9 წლის მანძილზე შეერთებული შტატების მოქალაქე...".

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ევროპული ინტეგრაციისა და ჰარმონიზაციის პირობებში შეიმჩნევა მოქალაქეობის ცენზის მნიშვნელობის შესუსტება. ეს კარგად ჩანს ევროკავშირის ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს კონსტიტუციათა ანალიზიდან. მაგალითად საფრანგეთი, როგორც ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, მუნიციპალურ არჩევნებში კონსტიტუციურად დასაშვებად მიიჩნევს საფრანგეთში მცხოვრები, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლების ქონას. ზოგიერთი ქვეყნის

კანონმდებლობა ითვალისწინებს სრულიად განსხვავებულ ცენზს, როგორიცაა ქონებრივი, მორალური, სახელმწიფო ენის ცოდნას, დაბადებით მოქალაქეობას, ზედა ასაკობრივი ზღვრის დაწესებას; აფრიკის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა საარჩევნო მარათონში მონაწილეობისათვის ითხოვს წერა-კითხვის ცოდნის აუცილებლობას და სხვა.

ხსენებულ ცენზებთან ერთად საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა შემზღუდავ კონკრეტულ კატეგორიებსაც აწესებს. მაგალითად სამხედრო მოსამსახურეებისათვის აკრძალულია არჩევნებში მონაწილეობის მიღება როგორც აქტიური, ასევე პასიური საარჩევნო ხმის უფლებით(არგენტინა, კოლუმბია, მექსიკა და სხვა). თუმცა ასეთი შეზღუდვა უმეტეს წილად რიგითებზე და დაბალი რანგის ოფიცრებზე ვრცელდება. რიგ ქვეყნებში შემორჩენილია ე.წ. რასობრივი შეზღუდვები. მაგალითად კანადაში არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ ქვეყნის აბორიგენ-ინდიელ მოსახლეობას, ხოლო ავსტრალიაში აბორიგენებთან ერთად აზიიდან, აფრიკიდან და წყნარი ოკეანის კუნძულებიდან გადმოსახლებულ პირებს.

რაც შეეხება საქართველოს საარჩევნო კოდექსს, იგი ასაკობრივი, მოქალაქეობრივი და ბინადრობის ცენზების გარდა არც ერთ ცენზს არ აწესებს და საყოველთაობის პრინციპის შესაბამისად აცხადებს საქართველოს მოაქალაქეთა არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობას "...განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, განათლებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა".

არჩევნების საყოველთაობა

საყოველთაო საარჩევნო უფლება პროგრესირებადი უფლებაა; დემოკრატიული საარჩევნო უფლების მოპოვებისათვის ათწლეულების მანძილზე იბრძოდა კაცობრიობა.

პოსტსაბჭოთა სივრცეში, საბჭოთა ხელისუფლების პირველ ჩანასახშივე, საარჩევნო უფლება ჩამორთმეული ჰქონდათ არაპროლეტარულ ფენებს, ბურჟუაზიას, სამღვდელოებას, მეფის რუსეთის ინტელიგენციას.

მომდევნო პერიოდის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების კონსტიტუციები აღიარებდნენ არჩევნების საყოველთაობას,

მაგრამ პასიური საარჩევნო უფლებით ძირითადად სარგებლობდნენ ის კანდიდატები, რომლებიც კომუნისტური პარტიის წევრები იყვნენ.

დიდი დრო დასჭირდა თვით ამერიკის შეერთებული შტატების საარჩევნო სისტემასაც, რომ მას დემოკრატიული სახე მიეღო. აშშ კოსტიტუციის მე-15 შესწორებით, 1870 წელს, შტატებს აეკრძალათ უარი ეთქვათ საარჩევნო ხმის უფლების შეზღუდვაზე რასის, კანის ფერისა და წარსულში მონობაში ყოფნის გამო.

მხოლოდ 1920 წელს რატიფიცირებულ იქნა აშშ-ის კონსტიტუციის მე-19 შესწორება, რომელიც კრძალავდა საარჩევნო ხმის უფლების შეზღუდვას სქესის გამო.

დღეს, თანამედროვე ეტაპზე დემოკრატიულ ქვეყნებს და მათ შორის საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა ამკვიდრებს არჩევნების საყოველთაობის დემოკრატიულ პრინციპებს.

ტერიტორიულობის პრინციპი

დემოკრატიული საარჩევნო სისტემის ერთ-ერთი გარანტიაა. ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ ყველა, საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქე, საარჩევნო უბნების მიხედვით.

ტერიტორიების პრინციპის მიხედვით მთელი ქვეყნის ტერიტორია იყოფა შესაბამის საარჩევნო ოლქებად.

არჩევნების საყოველთაობის მაჩვენებელია დამატებითი სიების შედგენა, რაც საშუალებას აძლევს ამომრჩეველს, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, მიუხედავად მისი ადგილსამყოფელისა. ამომრჩეველი, მისი არჩევნების დღეს ყოფნის პერიოდში, შესაბამის საარჩევნო კომისიაში მიიღებს ხმის მიცემის უფლების მოწმობას (სპეციალური კონვერტის სახით), რომლის მიხედვით იგი უფლებამოსილი ხდება ხმის მიცემაზე.

თანასწორობის პრინციპი

არსი მდგომარეობს საქართველოს საარჩევნო უფლების თანასწორობაში, არჩეულ იქნან წარმომადგენლობით ორგანოში, ან არჩევით თანამდებობაზე.

თანასწორობის პრინციპის არსი აგრეთვე მდგომარეობს იმაშიც, რომ თითოეული ამომრჩეველი ფლობს იმდენივე ხმას, რამდენსაც სხვა ნებისმიერი ამომრჩეველი. საარჩევნო კანონის თანახმად, ამომრჩეველი მხოლოდ ერთ საარჩევნო სიაში შეაქვთ და შესაბამისად მხოლოდ ერთი ხმის უფლება აქვს. საარჩევნო კორპუსი კი ერთიანია და იგი არ იყოფა

უფლებრივი მდგომარეობით განსხვავებულ ჯგუფებად და ფენებად.

პირდაპირი საარჩევნო უფლება

გულისხმობს ამომრჩევლის უფლებას უშუალოდ აირჩიოს, ან არჩეულ იქნას წარმომადგენლობით ორგანოში, ან არჩევით თანამდებობაზე. პირდაპირი არჩევნები დეპუტატებისა და ამომრჩევლების უშუალო კონტაქტის საუკეთესო საშუალებაა, რადგან დეპუტატებს ამომრჩევლები უშუალოდ პირდაპირ ირჩევენ, განსხვავებით შუალედური არჩევნებისაგან, როგორც მრავალსაფეხურიანი არჩევნების ჩატარებისას.

პირდაპირი არჩევნების დემოკრატიული ბუნება იმაშიც მდგომაერობს, რომ ხალხმა იცის ვის ირჩევს; ვისგან მიიღებს ის ანგარიშს გაწეული სადეპუტატო საქმიანობის შესახებ. იგი პირდაპირ აძლევს ხმას საარჩევნო სუბიექტს და მის მაგივრად ხმის მიცემა დაუშვებელია.

ფარული კენჭისყრა

ფორმალურად აღიარებულია თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუციების მიერ. სწორედ რომ ფორმალურად, თორემ ცალკეულ შემთხვევებში კენჭისყრის პროცედურა ვერ

აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. ასე მაგალითად, აშშ კოლორადოს შტატში ბიულეტენზე აღინიშნება სიის მიხედვით ამომრჩევლის რიგითი ნომერი; მთელ რიგ შტატებში ამომრჩევლებმა რეგისტრაციის დროს უნდა შეავსონ სპეციალური ბიულეტენი და უნდა უპასუხონ კითხვაზე თუ ვის მისცემენ ხმას, ხოლო სამხრეთ კაროლინაში ამომჩეველი ბიულეტენს მას შემდეგ მიიღებს, თუ წინასწარ განაცხადებს თავისი არჩევანის შესახებ. სწორედ ხმის მიცემის საიდუმლოების და სხვა პროცედურული დარღვევები გახდა იმის მიზეზი, რომ უმრავლეს შტატებში უარი თქვეს ბიულეტენების გამოყენებაზე და დაინერგა ხმის მიცემის მანქანური წესი.

კენჭისყრის "ფარულობის ანალოგიური მექანიზმი" დამკვიდრდა დიდი ბრიტანეთის არჩევნების პრაქტიკაში. აქ ბიულეტენი ორი ნაწილისაგან შედგება, რომლის ერთი ნაწილი, ამომრჩევლის რიგითი ნომრის აღნიშვნით, საარჩევნო უბნებში რჩება.

წყაროები

ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, გასული საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივი

წარმომადგნლობითი ორგანოების არჩევნები აშკარად ნათელყოფენ, რომ ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა საარჩევნო რეფორმა, რომლის კიდევ ერთი დასტურია 2001 წელს. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ორგანული კანონი "საქართველოს საარჩევნო კოდექსი, საარჩევნო სამართლის საკანონმდებლო ბაზა, ანუ საარჩევნო სისტემის მომწესრიგებელი სამართლის ნორმები, რომლებიც შეადგენენ საარჩევნო სამართლის შინაარსს ობიექტური გაგებით. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, რომელიც საარჩევნო სისტემის ძირითად პრინციპებს შეიცავს.

საქართველოს საარჩევნო სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი". საერთოდ საარჩევნო საკანონმდებლო აქტები, ჩვეულებრივ არ ატარებენ მავალებელ ხასიათს სხვა სახელმწიფო ორგანოებისათვის ამ აქტებში მოცემული სამართლის ნორმების დასაკონკრეტებლად. მაგრამ თუკი მაინც გაჩნდება დაკონკრეტების პრაქტიკული აუცილებლობა, იგი კეთდება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ ოფიციალური ან არაოფიციალური წესით.

ჩვენს სინამდვილეში, ხშირ შემთხვევაში დეპუტატი, რომელიც არჩეულ იქნა რა წარმომადგენლობით ორგანოში და განიმტკიცა თავისი პოზიცია, უდიერად ეკიდება ამომრჩეველთა განაწესს, არ ასრულებს მას და პირიქით დეპუტატის სკამს იგი საკუთარი კეთილდღეობისთვის იყენებს, ლობირებს მხოლოდ მასთან დაახლოებულ წრეს და სხვა. ალბათ უპრიანი იქნებოდა, რომ საარჩევნო კოდექსში ამოქმედებულიყო მუხლი იმის შესახებ, რომ დეპუტატი, რომელმაც ვერ გაამართლა ხალხის ნდობა, იმავე ამომრჩევლებს ჰქონოდეთ უფლება მისი გამოწვევისა.

ზოგიერთ სახელმწიფოში გამოიყენება ირიბი (მრავალსაფეხურიანი) საარჩევნო უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამომრჩევლები ირჩევენ თავიანთ რწმუნებულებს, ე.წ. დელეგატებს, რჩეულებს, რომლებიც შემდგომ მონაწილეობენ ასარჩევ თანამდებობებზე კანდიდატურების შერჩევაში, იქნება ეს პარლამენტის ზედა პალატის წევრები, თუ პრეზიდენტი.

ორსაფეხურიანი ხმის მიცემის წესით აირჩევა პარლამენტის ზედა პალატა ინდოეთსა და პაკისტანში, ხოლო სამსაფეხურიანი არჩევნებია დადგენილი სენატისათვის. ამომრჩეველთა რჩეულნი ირჩევენ პრეზიდენტს ამერიკის

შეერთებულ შტატებსა და ფინეთში. არჩევნები შეიძლება იყოს სამ, ოთხსაფეხურიანიც კი.

ფარული კენჭისყრა არჩევნების ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური პრინციპია. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გარეშე პირებმა ზემოქმედება არ მოახდინონ ამომრჩეველზე ხმის მიცემის დროს. ამისათვის კენჭისყრა მიმდინარეობს საარჩევნო კაბინაში, ან ოთახში, ამასთან ხმის მიცემის დროს ოთახში არავინ არ უნდა იმყოფებოდეს, გარდა ამომრჩევლისა (როცა იგი ბიულეტენს ავსებს), გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისისა (მაგალითად, როცა ამომრჩეველს არ შეუძლია წერა-კითხვის უცოდინარობის, ან ფიზიკური ნაკლის გამო ბიულეტენის შევსება). საარჩევნო კომისიის წევრს, ნდობით აღჭურვილ პირს, საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს და მეთვალყურეს უფლება არა აქვს დაეხმაროს ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენის შევსებაში. ღღეს მოქმედი კანონმდებლობით, ამომრჩეველს უფლება არა აქვს ვადამდე გამოიწვიოს წარმომადგენელი.

საარჩევნო სისტემები და მისი სახეები

საარჩევნო სისტემა მნიშვნელოვანი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელიც დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის გარკვეულ მახასიათებელსაც კი შეიცავს. სწორედ საარჩევნო სისტემის გამოყენებით ხდება კანდიდატებს შორის მანდატების განაწილება, კენჭისყრის შედეგების შესაბამისად.

საარჩევნო სისტემა – საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმების ერთობლიობაა, რომელიც წარმოიქმნება სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების პროცესთან დაკავშირებით.

საარჩევნო სისტემა წარმოადგენს კანონის მიერ დადგენილი წესების, პრინციპებისა და კრიტერიუმების ერთობლიობას, რომლის დახმარებითაც ხდება ხმის მიცემის პროცედურისა და შედეგების განსაზღვრა.

დღეისათვის არსებობს რამდენიმე სახის საარჩევნო სისტემა, რომელთა გამოყენებამ კენჭისყრის ერთი და იგივე შედეგების არსებობისას, სრულიად განსხვავებული საარჩევნო შედეგი შეიძლება მოგვცეს, წარმომადგენლობის საბოლოო ფორმირებისათვის.

საარჩევნო სამართალი აღიარებს შემდეგი სახის საარჩევნო სისტემებს:

მაჟორიტარული სისტემა (ფრანგული სიტყვიდან "მაჟორიტე" – უმრავლესობა) ეწოდება ადგილების განაწილების ისეთ სისტემას, რომლის დროსაც კანდიდატი, ან პარტია, რომელიმე ოლქში მოიპოვებს ხმების უმრავლესობას, ყველა სხვა დანარჩენი კანდიდატები და პარტიები კი წარმომადგენლობის გარეთ რჩებიან. რიგ ქვეყნებში გამოიყენება აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა, როცა არჩევნებში გამარჯვებისათვის აუცილებელია ამომრჩეველთა სიითი რაოდენობის ხმის ნახევარზე მეტის მოპოვება.

ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა გამოიყენება, როცა არჩევნებში გამარჯვებისათვის საჭიროა არჩევნებში მონაწილეთა ხმის ნახევარზე მეტის მოპოვება. მას უარყოფითი მხარეც გააჩნია, ეს სისტემა გზას უხსნის მცირერიცხოვან პარტიებს წარმომადგენლობაში და ხშირად არ ასახავს ძალთა რეალურ თანაფარდობას.

მაჟორიტარული სისტემა კვალიფიციური უმრავლესობით – ასეთი სისტემა პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება, ნაკლებ შედეგიანია და საჭიროებს ხმათა კვალიფიციურ უმრავლესობას, რაც აბსოლუტურ უმრავლესობაზე მეტია და დადგენილია კანონით.

პროპორციული სისტემა, ანუ პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა – ითვალისწინებს, რომ პარტია, ან წინა საარჩევნო პლატფორმით გაერთიანებული დაჯგუფება, თუ პარტიათა ბლოკი არჩევით ორგანოებში ადგილების ისეთ რაოდენობას იღებს, რომელიც არჩევნებში მათ მიერ მოპოვებული ხმების პირდაპირ-პროპორციულია. ეს სისტემა დემოკრატიულია თავისი ბუნებით. კენჭისყრა ჩვეულებრივ ტარდება სიებით მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში (პატარა ქვეყნებში მოცემული სისტემის პირობებში მთელი ქვეყანა განიხილება როგორც ერთი საარჩევნო ოლქი).

ნახევრად პროპორციული სისტემა – მაჟორიტარული სისტემის შემადგენელია, რომლის დროსაც, მსგავსად პროპორციული სისტემისა, იქმნება მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქები, მაგრამ კანონი ამომრჩევლებს

ულებას აძლევს ხმა მისცეს ერთ კანდიდატს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი ამა თუ იმ საარჩევნო სიიდან.

მაჟორიტარული სისტემა არსებობს ე.წ. კუმულატიური სახით. ამომრჩეველს ერთის ნაცვლად აქვს რამდენიმე ხმები. მას შეუძლია ეს ხმა მისცეს ერთ კანდიდატს, ან პარტიას, ან სულაც გადაანაწილოს ხმები.

შერეული საარჩევნო სისტემის დროს ხდება სინთეზი მაჟორიტარული და პროპორციული სისტემებისა.

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს შერეულ საარჩევნო სისტემას. კონსტიტუციია 49 მუხლში ჩაწერილია: "პარლამენტი შედგება საყოველთაო თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ოთხი წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 150 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 85 პარლამენტის წევრისაგან".

შერეული სისტემის გამოყენება საშუალებას იძლევა მაჟორიტარობისა და პროპორციონალიზმის გამოყენების მოხსნას, ან უკიდურეს შემთხვევაში ამცირებს, მინიმუმამდე დაჰყავს ის უარყოფითი მომენტები, რომლებიც ცალკ-ცალკე ახასიათებს მაჟორიტარულ და პროპორციულ სისტემებს.

საარჩევნო სისტემა რთული და ტევადი ცნებაა. იგი საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებული და ამ პროცედურების მეშვეობით შემოსაზღვრული პასიური და აქტიური საარჩევნო უფლებების, ასარჩევთა და ამომრჩეველთა ურთიერთობაა. იმის მიხედვით თუ როგორ არის პროცედურული ნორმებით მოწესრიგებული ეს ურთიერთობა, შეიძლება მსჯელობა ქვეყნის საარჩევნო სამართლის დამუშავების დონეზე. მისი მიზანი კი ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის მიღწევა და შენარჩუნებაა.

წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები თავისი შინაარსით და ბუნებით შეიძლება დაიყოს შემდეგ კლასიფიკაციად: საპარლამენტო და საპრეზიდენტო, საყოველთაო და ნაწილობრივი, მორიგი და ვადამდელი. დამატებითი და შუალედური, მრავალპარტიული და ერთპარტიული, პირდაპირი და ირიბი.

არჩევნები შეიძლება დაიყოს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებად იმის მიხედვით, თუ რომელი ორგანო აირჩევა. საქართველოში ორი სახის არჩევნებია.

წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები შეიძლება იყოს საყოველთაო, ანუ საერთო, როცა მასში მონაწილეობს ქვეყნის ამომრჩეველთა მაქსიმალური რაოდენობა.

ნაწილობრივი არჩევნები გულისხმობს, როცა წარმომადგენლობით ორგანოში აირჩევა მისი შემადგენლობის ნაწილი, მაგალითად ზედა პალატა ცალკე, ქვედა პალატა ცალკე;

მორიგი არჩევნები ჩვეულებრივ გულისხმობს წინა არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით შემდგომი ვადით არჩევნების დანიშვნას;

ვადამდელი არჩევნები ტარდება წინა არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში;

დამატებითი და შუალედური არჩევნები შეიძლება იყოს, როცა წარმომადგენლობითი ორგანოს მოწვევის პერიოდში ხდება ამ ორგანოში არსებული ვაკანსიების შევსება ადრე გამოკლებული ცალკეული დეპუტატების ნაცვლად;

განმეორებითია არჩევნები, როცა ისინი ტარდება უკვე ჩატარებული არჩევნებიდან უმოკლეს ვადაში, რადგანაც ან

არჩევნებში არ გამოცხადდა საკმარისი რაოდენობის ამომრჩეველი, ან სხვა რაიმე მიზეზით წარმომადგენლობით ორგანოში არ აღმოჩნდა ყველა ადგილი დაკავებული.

პირველი თავი:

საარჩევნო პროცესი და მისი სტატიები საქართველოში

საარჩევნო პროცესი სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობაა, რომლითაც რეგულირდება არჩევნებში მონაწილე ცალკეული ინდივიდების, ორგანიზაციებისა და ჯგუფების საქმიანობა, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების მომზადება და ჩატარება და მეორეს მხრივ ამ სუბიექტების განსაზღვრული საქმიანობა.

საარჩევნო პროცესი შემდეგი სტადიებისაგან შედგება:

1. არჩევნების დანიშვნა არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და ბლოკების რეგისტრაცია;

2. საარჩევნო ოლქების და საარჩევნო უბნების შექმნა;

3. საარჩევნო ორგანოების (კომისიების) შექმნა;

4. ამომრჩეველთა სიების შედგენა;

5. პარლამენტის წევრობის კანდიდატის წარდგენის წესი, მათი რეგისტრაცია; საარჩევნო ბიულეტენები;

6. კენჭისყრის წესი და არჩევნების შედეგების დადგენა.

განვიხილოთ ეს სტადიები ცალ-ცალკე.

1. **არჩევნების დანიშვნა. არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და ბლოკების რეგისტრაცია.** საარჩევნო პროცესი იწყება არჩევნების თარიღის დადგენიდან, რომელიც კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის, აგრეთვე 47 მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს საარჩევნო კოდექსის 90 მუხლის მე2 პუნქტის საფუძველზე ახდენს საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად "პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, არაუგვიანეს 15 დღისა". არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა. როგორც კონსტიტუციური დებულებებიდან ირკვევა არჩევნების დანიშვნა დაკავშირებულია წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილების გასვლასთან. თუმცა არა ყოველთვის, არჩევნების დანიშვნა შეიძლება გამოწვეული იყოს წარმომადგენლობის ვადამდე ადრე დათხოვის შემთხვევაშიც.

ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია თვითონ განსაზღვრავს არჩევნების ზუსტ დროს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პარლამენტის ახალი არჩევნები ინიშნება მანამდე არჩეული პარლამეტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 60 დღისა, რომლის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ადგილობრივი მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 2 დღისა.

იმისათვის, რომ არჩევნების ჩატარების ვადა მოსახერხებელი იყოს ამომრჩევლებისათვის, არჩევნები ინიშნება არასამუშაო დღეს დილის 7 საათიდან 20 საათამდე.

მორიგი არჩევნების ჩატარებამდე 60 დღიანი ვადის დაწესება გათვალისწინებულია ყველა იმ ორგანიზაციულ ტექნიკური საკითხის გადასაწყვეტად, რაც ამ პერიოდში წარმოიქმნება. ამ პერიოდში ხდება შესაბამისი საარჩევნო კომისიების მიერ პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო ბლოკების და დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაცია.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 39-ე მუხლის მიხედვით "საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შემდეგ პარტიებმა არჩევნებში მოაწილეობის უფლების მისაღებად სათანადო განცხადებით უნდა მიმართონ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას".

პარტიებისა და ბლოკების რეგისტრაციის მიზანია მათ მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და საარჩევნო კომისიებში თავიანთი წარმომადგენლების დანიშვნის უფლების მოპოვება. რეგისტრაციის წესსა და პირობებს განსაზღვრავს 95-ე მუხლი. რეგისტრაციისათვის თითოეულმა პოლიტიკურმა პარტიამ, კანონით დადგენილ ვადაში, განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი მ. 95.	პ. 3. „პარტია ვალდებულია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, კენჭისყრამდე არაუგვიანეს 60 დღისა, წარუდგინოს არჩევნებში პარტიის მონაწილეობის ინიციატივის დამადასტურებელი სულ ცოტა 50000 მხარდამჭერი ამომრჩევლის სია...", გამონაკლისს წარმოადგენს პარტია, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღისათვის ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში"

პარტიის ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილ განცხადებასთან ერთად საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარედგინება პარტიის რეგისტრაციის მოწმობა და წესდების ნოტარიულად დამოწმებული ასლები.

განცხადებაში მითითებული უნდა იყოს პარტიის:

ა) სახელწოდება (აბრევიატურა), რომლითაც იგი მონაწილეობს არჩევნებში;

ბ) ხელმძღვანელი პირის (პირების) ვინაობა;

გ) წარმომადგენელის სახელი, გვარი, რეგისტრაციის ადგილი, ტელეფონის ნომრები და მისი უფლებამოსილების ფარგლები;

დ) რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობისას საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ ურთიერთობებში თითოეულის უფლებამოსილების ვადები.

საარჩევნო კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად, ერთ პარტიის (ბლოკის) სახელწოდება (აბბრევიატურა) არ უნდა ემთხვეოდეს:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული სხვა პარტიის ოფიციალურ სახელწოდებას (აბრევიატურას);

ბ) იმ საარჩევნო ბლოკის სახელწოდებას (აბბრევიატურას), რომლითაც იგი მონაწილეობს არჩევნებში, თუ ამ ბლოკის განცხადება კომისიისათვის უფრო ადრე იყო წარდგენილი;

გ) ბოლო საპარლამენტო არჩევნებში სხვა პარტიის (საარჩევნო ბლოკის) მიერ გამოყენებულ სახელწოდებას (აბრევიატურას), თუ ამაზე არ არსებობს მისი თანხმობა.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ პარტიას, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ პარტიათა საარჩევნო ბლოკს, ხოლო ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს – მხოლოდ მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში.

ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებიდან 6 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია წყვეტს საკითხს პარტიის რეგისტრაციის შესახებ და რწმუნებულს აძლევს სათანადო ცნობას. დაუშვებელია პოლიტიკური

პარტიის რეგისტრაცია, რომლის მოქმედება შეჩერებულია კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს ცენტრალური საარჩევნო კომისიასა და არჩევნებში მონაწილეობის მსურველ პარტიას შორის დავის შემთხვევაში რეგისტრაციაზე უარის შემთხვევებს; პარტიას რჩება უფლებამოსილება უარის მიღებიდან 3 დღის განმავლობაში გაასაჩივროს ცენტრალური საარჩევნო კომისიას უარყოფითი გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელსაც თავის მხრივ გადაწყვეტილება გამოაქვს საჩივრის შეტანიდან 3 დღის ვადაში. მისი გადაწყვეტილება საბოლოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

საარჩევნო კოდექსი აგრეთვე ითვალისწინებს არა მარტო ცალკეული პარტიების, არამედ საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციის წესსაც. ცხადია საარჩევნო ბლოკებში გაერთიანების უფლებით სარგებლობენ ის პარტიები, რომლებიც რეგისტრირებული იქნებიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. საარჩევნო ბლოკის სახელწოდება არ უნდა ემთხვეოდეს ადრე რეგისტრირებული ბლოკის ან პარტიის სახელწოდებას.

საარჩევნო კოდექსის 39-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით "იმ პარტიებს რომლებმაც წარადგინეს მხარდამჭერთა სიები, უფლება აქვს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 45 დღისა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიმართონ საარჩევნო ბლოკში გაერთიანების ერთობლივი განცხადებით".

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიისათვის წარდგენილ სათანადო განცხადებას ხელს უნდა აწერდეს საარჩევნო ბლოკში შემავალი ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირი.

განცხადებებში მითითებული უნდა იყოს საარჩევნო ბლოკის:

ა) სახელწოდება(აბრევიატურა), რომლითაც მონაწილეობს არჩევნებში;

ბ) ხელმძღვანელი პირის(პირების) ვინაობა;

გ) წარმომადგენლის სახელი, გვარი, რეგისტრაციის ადგილი, ტელეფონის ნომერი და მისი უფლებამოსილების ფარგლები;

დ) რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობისას – საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ ურთიერთობებში თითოეულის უფლებამოსილების ფარგლები;

გარდა ამისა ცენტრალური საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციაში გასატარებლად განცხადებით შესული საარჩევნო ბლოკის სახელწოდება (აბრევიატურა) არ უნდა ემთხვეოდეს;

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული სხვა პარტიის(გარდა ამავე ბლოკის წევრი პარტიისა) ოფიციალურ სახელწოდებას(აბრევიატურას);

ბ) სხვა საარჩევნო ბლოკის სახელწოდებას (აბრევიატურას), რომლითაც იგი მონაწილეობს არჩევნებში, თუ ამ ბლოკის განცხადება კომისიისათვის უფრო ადრე იყო წარდგენილი;

გ) ბოლო საპარლამენტო არჩევნებში სხვა საარჩევნო ბლოკის მიერ გამოყენებულ სახელწოდებას (აბრევიატურას), თუ ამაზე არ არსებობს მისი თანხმობა. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ბლოკში შემავალი ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი საარჩევნო ბლოკის წესდება.

საარჩევნო ბლოკის წესდებაში უნდა აღინიშნოს:

ა) საარჩევნო ბლოკის სახელწოდება, რომლითაც იგი მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში;

ბ) საარჩევნო ღონისძიებებთან დაკავშირებით ბლოკის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების წესი;

გ) პარლამენტის წევრობის კანდიდატთა წარდგენისა და წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების წესი;

დ) პარტიული სიების შედგენის წესი;

ე) ბლოკიდან პარტიის გასვლის წესი;

ვ) ბლოკში ახალი წევრის მიღების წესი;

ზ) ბლოკიდან პარტიის გარიცხვის წესი;

თ) პირი (პირები), რომელსაც აქვს ბლოკის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლება;

ი) საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნისას ბლოკში შემავალი პარტიის ბეჭდის გამოყენების წესი;

კ) საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველისა და ბუღალტერის დანიშვნის წესი.

საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტია არ შეიძლება იმავდროულად შედიოდეს სხვა საარჩევნო ბლოკში, ან დამოუკიდებლად მონაწილეობდეს არჩევნებში; მას შემდეგ,

რაც პარტია გაერთიანდება რომელიმე საარჩევნო ბლოკში, მას აღარ გააჩნია უფლება დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, ან ერთსა და იმავე დროს გაერთიანდეს სხვა საარჩევნო ბლოკში.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია კენჭისყრამდე არაუგვიანეს 40 დღისა იღებს გადაწყვეტილებას პარტიის, ან და საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციის თაობაზე.

რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, ბლოკის წარმომადგენელს, არაუგვიანეს განკარგულების მიღების მომდევნო დღისა, ეძლევა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულების ასლი, რომელზეც აღინიშნება უარის თქმის მიზეზი.

საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციის შემდეგ, თუ ბლოკიდან გავიდნენ პარტიები და მხოლოდ ერთი პარტია დარჩა ბლოკში, ამ შემთხვევაში საარჩევნო ბლოკის რეგისტრაცია უქმდება.

რეგისტრირებულ პარტიას, საარჩენო ბლოკს უფლება აქვს თავისი განცხადებების საფუძველზე, მონაწილეობა

მიიღოს ყველა დონის არჩევნებში, რომლებიც გაიმართება მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე.

ცენტრალური საარჩევნო კომისია, კენჭისყრამდე არაუგვიანეს 37 დღისა პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების სიას განცხადების წარდგენის რიგის მიხედვით, აგრეთვე საარჩევო სუბიექტების იმ კანდიდატთა სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაში გატარებაზე და უარის თქმის მიზეზებს.

მეორე თავი:

საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნა

წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნები ტარდება ტერიტორიული საარჩევნო ერთეულების მიხედვით, რის შესაბამისადაც ქვეყანა იყოფა საარჩევნო ოლქებად და უბნებად.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იქმნება 85 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი, მათშორის, ქალაქ თბილისში – 10, ხოლო 75 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გათვალისწინებით.

ადგილობრივი თვითმმართველობითი წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის შესაქმნელი მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების რაოდენობას განკარგულებით განსაზღვრავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

ქალაქ თბილისში პროპორციული საარჩევნო სისტემით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს არჩევნებისათვის იქმნება ერთი

საარჩევნო ოლქი, რაც შეეხება ქ. ბათუმში, რუსთავში, სოხუმში ქუთაისსა და ცხინვალში ქალაქის მერის არჩევნებისათვის იქმნება თითო-თითო საარჩევნო ოლქი და გამგებლის არჩევნებისათვის შესაქმნელი საარჩევნო ოლქების რაოდენობას განკარგულებით განსაზღვრავს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

საარჩევნო ოლქები იქმნება კენჭისყრამდე არაუგვიანეს 58 დღისა, ხოლო სია ქვეყნდება საარჩევნო ოლქების შექმნიდან 3 დღის ვადაში.

კენჭისაყრის ჩასატარებლად და ხმების დასათვლელად საარჩევნო ოლქი იყოფა საარჩევნო უბნებად.

საარჩევნო უბნები იქმნება საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ რაიონის (ქალაქის, ქალაქის რაიონის) ტერიტორიაზე მოქმედი ხელისუფლების ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოების წარდგინებითა და მათთან შეთანხმებით. საარჩევნო უბნები იმ პრინციპით იქმნება, რომ ამომრჩეველი, თავისი ადგილსამყოფელით რაც შეიძლება მიუახლოვდეს ხმის მისაცემ პუნქტს საარჩევნო ბიულეტენის მისაღებად, ხმების მისაცემად, ხმების პირველადი დათვლის მიზნით.

საარჩევნო უბნები ხელს უწყობენ საყოველთაო საარჩევნო უფლების განხორციელებას.

საარჩევნო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საარჩევნო უბანი იქმნება არანაკლებ 20 და არაუმეტეს 2000 ამომრჩეველისათვის (განსხვავებით წინა პერიოდის 3000 ამომრჩეველისა), კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50 დღისა (ნაცვლად წინა კანონით გათვალისწინებული პერიოდის 45 დღისა).

საარჩევნო უბნებს ქმნიან და მის საზღვრებს აზუსტებენ საოლქო საარჩევნო კომისიები რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის ტერიტორიაზე მოქმედი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს მონაცემების საფუძველზე.

საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში საარჩევნო უბნები იქმნება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე. ამავე განკარგულებით ცენტრალური საარჩევნო კომისია წყვეტს ამ უბნების საარჩევნო ოლქისათვის მიკუთვნებულ საკითხებს.

იმის გათვალისწინებით, თუ რომელ საარჩევნო უბანში შისცემენ ხმას ამომრჩევლები საარჩევნო სუბიექტებს და შოახდენენ თავიანთი საარჩევნო უფლებების რეალიზაციას, საოლქო საარჩევნო კომისია უბნის შექმნიდან არაუგვიანეს 5 დღისა, ხოლო ძნელად მისადგომ ადგილებში, სამხედრო ნაწილებში, კენჭისყრის დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე და სხვაგან მყოფი ამომრჩევლებისათვის 2 დღის ვადაში პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს საარჩევნო უბნების ნომრებს, საუბნო საარჩევნო კომისიების მისამართებს, ტელეფონის (ფაქსის) ნომრებს და სხვა რეკვიზიტებს, ხმის მისაცემი შენობების ზუსტ მისამართებს.

მესამე თავი:

საარჩევნო ადმინისტრაცია. საარჩევნო ადმინისტრაციის სისტემა

საარჩევნო ადმინისტრაცია, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით წარმოდგენილია ცენტრალური საარჩევნო კომისიის, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების სახით, რომლებიც იქმნებიან არჩევნების ჩატარების უზრუნველ-საყოფად.

საარჩევნო ორგანოების (კომისიების) შექმნა

საარჩევნო კომისია არის საარჩევნო ორგანო, რომელიც ახორციელებს არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ ყველა ორგანიზაციულ საკითხებს. საარჩევნო კომისიებს ეკისრებათ ძირითადი ფუნქციები არჩევნების ორგანიზაციის და ჩატარებისათვის. ისინი ახორციელებენ კონტროლს საარჩევნო კანონმდებლობის ზუსტ შესრულებაზე, რეგისტრაციაში ატარებენ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ

პარტიებს, საარჩევნო ბლოკებსა და პარლამენტის წევრობის კანდიდატებს, ადგენენ ამომრჩეველთა სიებს, ორგანიზაციას უკეთებენ ხმის მიცემას და უზრუნველყოფენ ხმის დათვლას, იხილავენ არჩევნების მომზადებისა და ჩატარების საკითხებთან დაკავშირებულ განცხადებებსა და საჩივრებს. საარჩევნო კომისიების საჯარო ხასიათი, საშუალებას აძლევს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დაესწრონ მათ სხდომებს.

საარჩევნო კოდექსი არეულირებს საარჩევნო კომისიების ფორმირების წესს. კერძოდ საარჩევნო კომისიის შემადგენლობის ფორმირება, ხდება დანიშვნით, საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქისა.

საარჩევნო კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის მდივნისა და სხვა წევრებისაგან.

საარჩევნო კომისიის წევრები და აპარატის თანამშრომლები არიან საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, ხოლო ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არიან სახელმწიფო მოხელეები.

საარჩევნო კოდექსის მე-18 მუხლში მინიშნებულია ის პირები, რომლებიც არ შეიძლება დაინიშნონ, ან აირჩენ საარჩევნო კომისიაში. ესენია: პირები, რომელთაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მინიჭებული არა აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი; პირისა, რომელიც გათავისუფლებულია კომისიის წევრობისაგან საქართველოს ცენტრალური, ან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ; პირი, რომელმაც საარჩევნო კანონმდებლობა დაარღვია და მისი მიმართ გამამტყუნებელი გადაწყვეტილებაა გამოტანილი; აგრეთვე პირები, რომლებიც საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოთა წევრები არიან; აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები; საქართველოს შსს, თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, საქართველოს დაზვერვისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტებისა და სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურების თანამშრომლები, მოსამართლეები და მათი თანაშემწეები, პროკურატურის

თანამშრომლები (გარდა ტექნიკური დამხმარე პერსონალისა); საარჩევნო სუბიექტები და მათი წარმომადგენლები, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები.

საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით, საარჩევნო კომისიაში წევრის დანიშვნის (არჩევის) უფლება აქვს: საქართველოს პარლამენტს, ზემდგომ საარჩევნო კომისიას, იმ პარტიას (საარჩევნო ბლოკს), რომელმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში გადალახა 7%-ანი ბარიერი; ბოლო საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე 5 პარტიას(საარჩევნო ბლოკს) და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს, ხოლო რაიონში ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს – რაიონის საკრებულოს.

საარჩევნო კომისიის წევრი შესაბამისი კომისიის წევრად დანიშვნის(არჩევის) დღიდან ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა მის საქმიანობაში; იგი ასევე ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის ან არჩევნების შედეგების შეჯამების ოქმს, ხოლო თუ იგი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, განსხვავებულ აზრს წერილობით ჩამოაყალიბებს, რომელიც დაერთვება ოქმს.

ცენტრალური ან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება მისი დანიშვნის(არჩევის) დღიდან და კომისიის ახალი შემადგენლობის პირველი შეკრებისთანავე მთავრდება.

საქართველოს ცენტრალური ან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი ინიშნება (ირჩევა) 4 წლის ვადით. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება მისი დანიშვნის (არჩევის) დღიდან და მთავრდება კომისიის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე.

საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლის(ვადამდე შეწყვეტის) შემთხვევაში ახალი წევრი ინიშნება 10 დღის ვადაში, ხოლო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლის(ვადამდე შეწყვეტის) შემთხვევაში, ახალ წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი უახლოეს სხდომაზე.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, ან წევრის უფლებამოსილება შეიძლება შეწყდეს: გადადგომის შემთხვევაში; თუ კომისიის წევრი დანიშნული იყო ბლოკის მიერ და ბლოკი აღარ მონაწილეობს არჩევნებში;

უფლებამოსილების ჩამორთმევის შემთხვევაში; კანონის ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის არსებობისას; სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად, ან გარდაცვლილად ცნობისას; საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას, გარდაცვალებისას, კომისიის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავებისას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრის განცხადება, ვადის გასვლის შემთხვევაში უფლებამოსილების მოხსნის შესახებ წარედგინება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ხოლო საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრისა – ზემდგომ საარჩევნო კომისიას და უნდა დაკმაყოფილდეს მისი მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღისა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის განცხადება გადადგომის თაობაზე წარედგინება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ხოლო საოლქო, ან საუბნო საარჩევნო· კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის ან კომისიის მდივნისა – შესაბამის საარჩევნო კომისიას და უნდა დაკმაყოფილდეს მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის შეცვლა დაუშვებელია კენჭისყრამდე არაუგვიანეს 7 დღისა, გარდა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისა.

საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება საქართველოს საარჩევო კოდექსით და შესაბამისი კომისიის რეგლამენტით, რომელსაც დადგენილებით იღებს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯომარის მოადგილე და კომისიის მდივანი აირჩევა შესაბამისი კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას მოადგილე ასრულებს.

საარჩევნო კომისიის სხდომები მოიწვევა კომისიის მიერ და თვითონვე განსაზღვრავს სხდომების პერიოდულობას, აგრეთვე კანონმდებლობით დასაშვებია თავმჯდომარის მოადგილის მოთხოვნით, რიგგარეშე სხდომის მოწვევაც. სხდომებს თავმჯომარეობს თავმჯდომარე, ან თავმჯდომარის მოადგილე. კომისია დამსწრეთა ხმების უმრავლესობით ღებულობს გადაწყვეტილებას, ხოლო ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

სხდომის მუშაობის შედეგები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი. სხდომის ოქმი ფორმდება სხდომიდან 2 დღის ვადაში.

საარჩევნო კომისიის წევრი უფლებამოსილია, თუ იგი არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, ჩამოაყალიბოს განსხვავებული აზრი წერილობით, რომელიც დაერთვის ოქმს. ამასთან განსხვავებული აზრის მქონე წევრი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს კომისიის მუშაობას და მისი გადაწყვეტილების აღსრულებას. საარჩევნო კომისიის დადგენილება მიიღება სიითი შემადგენლობის 2/3-ით. დაუშვებელია დადგენილების მიღება კენჭისყრამდე არაუგვიანეს 4 დღისა.

საარჩევნო კომისია, საარჩევნო დოკუმენტების მიღებას, გაცემას, რეგისტრაციას აწარმოებს სამუშაო დღის 18 საათამდე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საარჩევნო კომისიაში შესული განცხადება(საჩივარი) შეიტანება სარეგისტრაციო ჟურნალში და განმცხადებლისათვის გადაცემულ ცნობაში აღინიშნება მისი

მიღების თარიღი და დრო. კომისია ვალდებულია შეისწავლოს განცხადება და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება, ხოლო საჩივრის(განცხადების) შეტანისათვის დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში იგი არ განიხილება.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს კომისიის მდივანს და სხვა წევრებს, უფლებამოსილების მთელი დროის განმავლობაში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ენიშნებათ ხელფასი. საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი კი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგინებით მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ. რაც შეეხება საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უფლებამოსილების მთელი დროის განმავლობაში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ენიშნება ხელფასი, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიის თამჯდომარის მოადგილეს, კომისიის მდივანს, ბუღალტერსა და იურისტს, არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მთელი დროის განმავლობაში, კომისიის სხვა წევრებს – შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით, არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ბოლო 15 დღის განმავლობაში არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი

სახსრებიდან ენიშნებათ ხელფასი. ასევე საუბნო საარჩევნო თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და კომისიის მდივანს. არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ბოლო 15 დღის განმავლობაში არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრებიდან ენიშნებათ ხელფასი.

საარჩევნო კომისიები და მათი დამჯდომარეები გამოსცემენ საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით სამართლებრივ კანონქვემდებარე და ინდივიდუალურ აქტებს. კერძოდ: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია გამოსცემს დადგენილებას, რომელიც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია და განკარგულებას; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თამჯდომარე ბრძანებას; ცენტრალური, საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება და კომისიის თავმჯდომარის ბრძანება – ინდივიდუალური აქტია.

საარჩევნო ორგანოთა ერთიან სისტემაში, რომელსაც ქმნიან ყველა საფეხურის საარჩევნო კომისიები, გამოიყოფა:

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;
2. საოლქო საარჩევნო კომისია;

3. საუბნო საარჩევნო კომისია.

საარჩევნო კომისიებს, საკუთარი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, სპეციფიკაციის გარდა, გააჩნიათ საერთო ფუნქციები და ამოცანები, რომლებიც თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე კონტროლს ახორციელებენ საარჩევნო კანონმდებლობის ზუსტად და განუხრელად შესრულებაზე. ამასთან ამ კომისიებს მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკა ახასიათებთ, რაც გათვალისწინებულია საქართველოს საარჩევნო კოდექსით.

ცენტრალური საარჩევნო კომისია

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად "ცენტრალური საარჩევნო კომისია არის მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას, საქართველოს მოქალაქეთა საარჩევნო უფლების სრულ და განუხრელ განხორციელებას, აგრეთვე თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას".

ცენტრალური საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების დამზადებას, ბიულეტენებითა და კონვერტებით საოლქო საარჩევნო კომისიების მომარაგებას, პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებით აქვეყნებს არჩევნების საბოლოო შედეგებს და გამარჯვებული სუბიექტების სიას.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია დადგენილებით, აუცილებლობის შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას ქვემდგომი საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შექმნილი სპეციალური ჯგუფისათვის ამ კომისიის უფლებამოსილების გადაცემის შესახებ; ადგენს არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების განაწილებისა და გამოყენების წესს; ადგენს საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმებს, საარჩევნო ყუთისა და საარჩევნო კომისიათა ბეჭდების ნიმუშებს; გამონაკლის შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ამ კანონის მოთხოვნათა შესრულება, განსაზღვრავს საარჩევნო ოლქში საარჩევნო ღონისძიებათა ჩატარების ახალ ვადასა და წესს; ადგენს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის საკვალიფიკაციო გამოცდების

ჩატარებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის მინიჭების ვადებსა და წესს; იღებს საარჩევნო კომისიების რეგლამენტს; ადგენს საარჩევნო დოკუმენტაციის შენახვისა და განადგურების ვადასა და წესს; იღებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა წარდგენის წესს.

ცენტრალური საარჩევნო კომისია განკარგულებით: ქმნის საარჩევნო ოლქებს და სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საოლქო კომისიის წევრებს; განსაზღვრავს საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიის მდივნის, კომისიის სხვა წევრთა, ბუღალტერისა და იურისტის ხელფასის ოდენობას;

ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება კანონქვემდებარე აქტია, ხოლო ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულება და კომისიის თავმჯდომარის ბრძანება - ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი სახელმწიფო მოხელეა. მასზე არ ვრცელდება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი სამსახურეობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები.

სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების ანაზღაურებას იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. საოლქო საარჩევნო კომისიაში კომისიის წევრის ვაკანტური ადგილის წარმოქმნის შემთხვევაში იღებს წარდგინებას 7 დღის ვადაში და კომისიის ახალ წევრს ნიშნავს წარდგენილი ვადის დამთავრებიდან არაუგვიანეს 3 დღისა; წყვეტს საქართველოს ფარგლებს გარეთ შექმნილი საარჩევნო უბნების საარჩევნო ოლქისათვის მიკუთვნების საკითხს; ადგენს და აქვეყნებს საარჩევნო ღონისძიებათა დაწყებისა და დამთავრების თარიღებს; ადასტურებს, ცვლის, ან (და) აუქმებს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას; მაგალითად ცნობს კენჭისყრის შედეგებს საარჩევნო უბანში; წყვეტს საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების ხელახლა დათვლისა და ამომრჩეველთა სიების შემოწმების საკითხს; ნიშნავს არჩევნების მეორე ტურსა და ხელახალ არჩევნებს საარჩევნო ოლქში; ადგენს ამმომრჩეველთა საერთო რაოდენობას საარჩევნო ოლქების მიხედვით; რეგისტრაციაში ატარებს პარტიებს, უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიის წევრთა და პარტიის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სემინარების, ტრეინინგებისა და

საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებასა და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის მინიჭებას; გასცემს თანხმობას საქართველოს პრეზიდენტობისა და საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაკავების, დაპატიმრებისა და ჩხრეკის თაობაზე; ადგენს არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშის ფორმას; ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 27-ე მუხლის მე-1 პუნქტისა და 28 მუხლის 1 პუნქტის თანახმად საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობა მოიცავს კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და კომისიის მდივანს, ხოლო კომისია იქმნება 7 წევრის შემადგენლობით.

კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და კომისიის მდივანს ირჩევს კომისია თავისი წევრთაგან სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, კომისიის სრული შემადგენლობის არჩევიდან 10 დღის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს კომისიის არანაკლებ 3 წევრს ერთობლივად

კომისიის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურისა – კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო კომისიის მდივნის კანდიდატურისა კომისიის თავმჯდომარეს, ან კომისიის არანაკლებ 3 წევრს ერთობლივად. ერთი და იგივე კანდიდატურის დასახელება შეიძლება მხოლოდ 2-ჯერ.

<table>
<tr><td>საქართველოს
საარჩევნო
კოდექსი</td><td rowspan="2">საქართველოს პარლამენტში ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ ისეთ კოალიციას (ჯგუფს), რომლის შემადგენლობაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით 1997 წლის 25 ნოემბრამდე რეგისტრირებული არანაკლებ 10 კავშირი (ასოციაცია) ან (და) ფონდი და რომლის საქმიანობის მიზანია დემოკრატიის მშენებლობის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამართლიანი არჩევნების ხელშეწყობა. კოალიციის (ჯგუფის) ერთ წევრს მაინც უნდა ჰქონდეს არანაკლებ 2 საყოველთაო არჩევნების საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მონიტორინგის გამოცდილება.</td></tr>
<tr><td>მ. 27
პ. 2.
პ. 3.</td></tr>
</table>

კოალიციის (ჯგუფის) მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან ცენტრალური საარჩევნო კომიტეტის წევრებს

ირჩევს საქართველოს პარლამენტი, პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2\3-ით სახელობითი კენჭისყრით. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატად დაუშვებელია იმ პირის წარდგენა, რაომელსაც არჩევნებამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში, ეკავა საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოს წევრის, პროკურატურის თანამშრომლის(გარდა ტექნიკური და დამხმარე პერსონალისა), თანამდებობა, ან იყო საარჩევნო სუბიექტი, ან მისი წარმომადგენელი, ან რომელიც არჩევნებამდე ბოლო 5 წლის განმავლობაში იყო რომელიმე პარტიის წევრი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირია კომისიის თავმჯდომარე, რომელიც ასრულებს რიგ ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ ფუნქციებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. გასცემს სათანადო მოწმობას საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატზე, პარტიული სიით წარდგენილი პარლამენტის წევრობის კანდიდატზე, პარტიის(საარჩევნო ბლოკის) მიერ წარდგენილ

მაჟორიტარ კანდიდატზე, არჩეულ საქართველოს პრეზიდენტზე, პარლამენტის წევრზე, პარტიული სიით არჩეული პარლამენტის წევრის გამოკლების შემთხვევაში კი მის ადგილმონაცვლეზე, იწვევს და უძღვება ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომებს, გასცემს სათანადო მოწმობას პარტიის (საარჩევნო ბლოკის) წარმომადგენელზე, ხელს აწერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებებსა და განკარგულებებს; ხელს აწერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმებს, აძლევს მითითებებს და დავალებებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, კომისიის მდივანსა და სხვა წევრებს; გამოსცემს ბრძანებებს; ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს; ხოლო ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბრძანებით: ახორციელებს პრესითა და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა აკრედიტაციას და ადგილობრივი კავშირების (ასოციაციების), ფონდების, სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეგისტრაციას; ნიშნავს და ათავისუფლებს

ცენტრალური საარჩევნო კომისიის, აპარატის თანამშრომლებს და სხვა.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატი იქმნება არჩევნების ჩატარების ორგანიზაციის, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით. მისი უფლებამოსილება განისაზღვრება ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტით. კანონი კრძალავს აპარატის შემადგენლობაში ისეთი პირის მიღებას, რომელსაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არა აქვს მინიჭებული საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი, გარდა დამხმარე და ტექნიკური პერსონალისა.

საოლქო საარჩევნო კომისია

საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარისა, თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიის მდივნის შემადგენლობით.

კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და კომისიის მდივანს ირჩევს კომისია თავისი წევრთაგან,

სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, კომისიის ახალი შემადგენლობის უფლებამოსილების დაწყებიდან 5 დღის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, ან კომისიის მდივნის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, კომისია 5 დღის ვადაში, ხოლო თუ დაწყებულია საარჩევნო პროცესი – 3 დღეში ირჩევს მის უფლებამონაცვლეს.

საოლქო საარჩევნო კომისია იქმნება არანაკლებ 7 წევრის შემადგენლობით. საოლქო საარჩევნო კომისიის 3 წევრს საქართველოს ცენტრალური კომისიის შექმნიდან 2 კვირის ვადაში ირჩევს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ერთ წევრს – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენობითი ორგანო, ხოლო რაიონში – ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო – რაიონის საკრებულო, თითო წევრს ნიშნავს ის პარტია, რომელმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში 7%-იანი ბარიერი გადალახა. საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებები განისაზღვრება საარჩევნო კოდექსის 24 მუხლით.

საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენციაში შედის: თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე საქართველოს კონსტიტუციასა და ამ კანონის შესრულებას და უზრუნველყოფს მათ ერთგვაროვან გამოყენებას; წარმართავს საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობას, ისმენს მათ ინფორმაციას, კონტროლს უწევს საუბნო საარჩევნო კომისიების უზრუნველყოფას შენობებით, ტრანსპორტითა და საკომუნიკაციო საშუალებებით, განიხილავს საარჩევნო ოლქში არცევნების მატერიალურ – ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს; საუბნო საარჩევნო კომისიებს ამარაგებს საარჩევნო ბიულეტენებითა და სპეციალური კონვერტებით.; აქვეყნებს საარჩევნო ოლქებში ჩატარებული კენჭისყრის შედეგებს; ორგანიზაციას უწევს არჩევნების ხელახალ ჩატარებას; ქმნის საარჩევნო უბნებს, აზუსტებს მის საზღვრებს, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს; ადგენს საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას; განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებებისა და ქმედებების თაობაზე, იღებს

შესაბამის გადაწყვეტილებებს, ცვლილებები შეაქვს საარჩევო სიებში და სხვა.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე – წარმოადგენს საოლქო საარჩევნო კომისიას და ხელმძღვანელობს მას; იგი ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ ფუნქციებს საოლქო საარჩევნო კომისიაში; გასცემს სათანადო მოწმობას საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებზე, ადგილობრივ დამკვირვებლებზე და პრესისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებზე; საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგენს საარჩევნო დოკუმენტაციას, გამოსცემს ბრძანებებს და სხვა.

საუბნო საარჩევნო კომისია

საუბნო საარჩევნო კომისიის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ამომრჩეველთა სიების დაზუსტება, საარჩევნო ბიულეტენების გაცემა, კენჭისყრის მოწყობა, ხმების დათვლა და სხვა.

საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირს წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის მდივანი, რომელთაც ირჩევს კომისია თავის წევრთაგან, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, კომისიის ახალი შემადგენლობის უფლებამოსილების დაწყებიდან 5 დღის ვადაში. კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, ან კომისიის მდივანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, კომისია 5 დღის ვადაში, ხოლო თუ დაწყებულია საარჩევნო პროცესი 3 დღეში ირჩევს მის უფლებამონაცვლეს.

საუბნო საარჩევნო კომისია იქმნება 11 წევრის შემადგენლობით. კომისიის 6 წევრს ირჩევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია, ხოლო 5 წევრს ნიშნავს ბოლო საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე 5 პარტია(საარჩევნო ბლოკი).

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე – სრულ ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ უფლებებს ახორციელებს საარჩევნო კომისიაში; ხელმძღვანელობს, კენჭისყრის საარჩევნო კანონის მიხედვით ჩატარებას, უზრუნველყოფს ამომრჩეველთა სრული საარჩევნო

უფლებამოსილების განხორციელებას; პასუხისმგებელია საარჩევნო პროცესის პერიოდში, კენჭისყრის შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგის დაცვაზე; ხელს აწერს საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებებს და გამოსცემს ბრძანებებს.

ამომრჩეველთა სიების შედგენა

საარჩევნო პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ამომრჩეველთა რეგისტრაცია, რომელიც, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ხორციელდება ამომრჩეველთა სიების შედგენისა და შემოწმების გზით. იგი ამასთანავე საშუალებას აძლევს მოქალაქეებს თავიანთი საარჩევნო უფლების განხორციელებისათვის.

საარჩევნო სიების დაზუსტება ხდება მორიგი არჩევნების წინ საარჩევნო კანონის საფუძველზე. საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა სწორ აღრიცხვას დიდი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისათვის. უდავოდ დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი იყო 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. მოსახლეობის აღწერისათვის შესავსები

დოკუმენტი, დაწვრილებით კითხვარს შეიცავდა მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის უკეთ დაზუსტების მიზნით. მაგრამ აღნიშნული მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ობიექტური მიზეზების გამო, მაინც ვერ მოიცავს საქართველოს ყველა მოქალაქის სპექტრს, რადგან ქვეყნის ეკონომიკური სიდუხჭირის გამო 1 მილიონზე მეტმა მოქალაქემ დატოვა საქართველო და არაორგანიზებულად გაემგზავრნენ საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში სამუშაოს საძებნელად, ბევრიც ამა თუ იმ ქვეყანაში უკანონოდ იმყოფება და საეჭვოა, რომ გამოცხადდნენ საქართველოს იქ განლაგებულ საკონსულო წარმომადგენლობაში რათა დაფიქსირდნენ.

საერთოდ საარჩევნო სიების შედგენა, ან დაზუსტება ხდება მორიგი არჩევნების წინ საარჩევნო კანონის საფუძველზე. სახელმწიფო ხელისუფლების მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები, არჩევნებამდე არაუგვიანეს 55 დღისა უზრუნველყოფენ დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა აღრიცხვას და არჩევნებისათვის საჭირო სიებს და სხვა მონაცემებს გადასცემენ საარჩევნო კომისიებს.

არჩევნების საყოველთაობის პრინციპიდან გამომდინარე, საარჩევნო სიებში შეყავთ, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მოქალაქე, რომელიც სარგებლობს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებით, ხოლო სამხედრო მოსამსახურეები ამომრჩეველთა სიებში შეყავთ მათი დისლოკაციის ადგილის მიხედვით.

საარჩევნო კანონი, ცალკე გამოყოფს, ჩვენი ქვეყნის მძიმე ვითარებიდან გამომდინარე, დევნილთა საარჩევნო სიებში შეტანას და მათი არჩევნებში მონაწილეობის საკითხს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ დევნილთა და განსახლების სამინისტრო არაუგვიანეს 55 დღით ადრე შესაბამის საარჩევნო კომისიას გადასცემს დევნილთა სიას. თუ დევნილის სტატუსის მქონე პირი აღმოჩნდება რეგისტრირებული რომელიმე საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, იგი ამოღებულ იქნება დევნილთა საარჩევნო სიიდან. დევნილი ამომრჩევლები არ მონაწილეობენ ერთმანდატიან ოლქში მაჟორიტარულ არჩევნებში.

ამომრჩეველი შეყავთ ამომრჩეველთა მხოლოდ ერთ სიაში. აღრიცხვას ექვემდებარება ის პირები, რომლებსაც არ

შესრულებიათ, მაგრამ არჩევნების დღისათვის შეუსრულდებათ 18 წელი.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი მ. 9. პ4	ამომრჩეველთა ძირითადი სია დგება 3 ცალად. სიის თითოეულ გვერდს ხელს აწერენ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. სიის 2 ცალი ეგზავნება შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას კენჭისყრამდე არაუგვიანეს 35 დღისა, ხოლო 1 რჩება საოლქო საარჩევნო კომისიას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებში არსებულ, ქალაქის(რაიონის) ტერიტორიაზე რეგისტრირებულ პირთა, მათ შორის იმ პირთა შესახებ მონაცემები, რომელთაც კენჭისყრის დღისათვის უსრულდებათ 18 წელი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გარდაცვლილ პირთა შესახებ მონაცემების გადაცემა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა მონაცემები, მათი ხელმძღვანელობის მიერ გადაეცემა საოლქო

საარჩევნო კომისიას კენჭისყრამდე არაუგვიანეს 55 დღისა, საქართველოს ფარგლებს გარეთ, ხოლო ამა თუ იმ ქვეყანაში განლაგებულ საკონსულოს აღრიცხვაზე მყოფი საქართველოს მოქალაქეთა მონაცემები და გემი კაპიტნების მონაცემები გემზე მყოფი ამომრჩევლების შესახებ – კენჭისყრამდე არაუგვიანეს 7 დღისა. ასეთ შემთხვევაში, საოლქო საარჩევნო კომისია, ვალდებულია კენჭისყრამდე არაუგვიანეს 24 საათისა შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას გადასცეს აღნიშნული სია.

ქვეყნის შიგნით ერთი ადმინისტრაციულ – ტერიტორიული ერთეულიდან, მეორეზე გადაადგილებული პირებისათვის დგება ამომრჩეველთა დამატებითი სიები. ამომრჩეველთა დამატებით სიაში შეჰყავთ: ამომრჩეველი ხმის მიცემის კენჭისყრის დღეს საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწეებულებებში მყოფი ამომრჩევლები, სამხედრო ნაწილებში მყოფი ამომრჩევლები, დევნილის სტატუსის მქონე ამომრჩევლები. თუ აღმოჩნდება, რომ ამომრჩეველი არსად არ არის შეყვანილი საარჩევნო სიაში, იგი წარადგენს პირადობის მოწმობას შესაბამის

საარჩევნო უბანში, სადაც მოხდება მისი შეყვანა დამატებით საარჩევნო სიაში.

ამომრჩეველთა დამატებითი სიები დგება შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ. მონაცემებს იძულებით გადაადგილებულთა შესახებ აწვდის საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრამდე არაუადრეს 55 დღისა, ხოლო საავადმყოფოში და სხვა სტაციონარულ დაწესებულებაში მყოფი და სამხედრო პირების მონაცემები ამ დაწესებულებების ხელმძღვანელებისა და სამხედრო ნაწილის მეთაურთა მიერ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრამდე არაუგვიანეს 20 დღისა, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრამდე არაუგვიანე 24 საათისა შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიებს გადასცეს სიები.

იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველი ხმას არ აძლევს იმ საარჩევნო უბანში, რომლის ტერიტორიაზეც იგი რეგისტრირებულია, ამომრჩეველთა სიების გამოქვეყნებიდან კენჭისყრის წინა დღის 18 საათამდე. ადგილსამყოფელის შეცვლის გამო, საუბნო საარჩევნო კომისია, ამომრჩევლის წერილობითი განცხადების წარდგენის საფუძველზე გასცემს

ხმის მიცემის უფლებას, რის შემდეგადაც ამომრჩეველი ამოღებულ იქნება ამომრჩეველთა სიიდან.

ხმის უფლების მოწმობის გაცემა და ამომრჩევლის სიიდან ამოღება დასტურდება სიაში ხელმოწერით, კომისიის უფლებამოსილ წევრსა და ამომრჩევლის მიერ. ამის შემდეგ ამომრჩეველი მონაწილეობას ღებულობს, როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში, თუ იგი ერთსა და იმავე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე იცვლის ადგილსამყოფელს.

საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია, კენჭისყრამდე არაუგვიანეს 30 დღისა, კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას ამომრჩეველთა სიები და მასთან დაკავშირებით საჩივრის შეტანის განსაზღვრული პროცედურა. კერძოდ სიასთან დაკავშირებული პრეტენზიები შეიტანება საუბნო საარჩევნო კომისიაში არჩევნებამდე არაუგვიანეს 20 დღისა. პრეტენზიების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ამომრჩეველი შეყავთ სიაში, რაც ქვეყნდება არჩევნებამდე 10 დღით ადრე. პრეტენზიის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ამომრჩეველს შეუძლია 3 დღის ვადაში შეიტანოს სარჩელი რაიონულ სასამართლოში, რომელიც სარჩელს ამავე ვადაში

განიხილავს. სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ამომრჩევლის ბარათი, რომელიც გაიცემა საარჩევნო სიების საფუძველზე კენჭისყრამდე არაუგვიანეს 2 დღისა, ამომრჩეველს მაქსიმალურად მოსახერხებელ პირობას უქმნის არჩევნებში მონაწილეობის მიღებისათვის.

ამომრჩევლის ბარათში მიეთითება კენჭისყრის დრო და ადგილი, კენჭისყრის შენობის მისამართი, სართულისა და ოთახის ნომრები, ამომრჩევლის ნომერი ამომრჩეველთა სიაში ამომრჩევლის განცხადებით გადასატანი ყუთის მიტანის შესახებ, საუბნო საარჩევნო კომისიის ტელეფონის(ფაქსის) ნომრები და სხვა რეკვიზიტები.

ამომრჩევლის ბარათის მიუღებლობა არ არის საბაბი არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობისა. მას შეუძლია არჩევნების ჩატარების დღეს, დააზუსტოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დახმარებით, თავისი საარჩევნო ნომერი და მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში.

მეოთხე თავი

საარჩევნო სუბიექტები, მათი რეგისტრაციის წესი და მხარდამჭერთა სიები

არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების წარდგენა და მათი რეგისტრაცია საარჩევნო პროცესის მნიშვნელოვანი სტადიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სტადიაზე ხდება პირთა იმ წრის განსაზღვრა, რომლებიც არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას და გამარჯვების შემთხვევაში ადგილებს დაიკავებენ მომავალ წარმომადგენლობით, თუ მმართველობით ორგანოებში.

საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, საარჩევნო სუბიექტებს წარმოადგენენ: საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი, საქართველოს პარლამენტის, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს – საკრებულოს წევრობის კანდიდატი, გამგებლობის, ან მერობის კანდიდატი, პარტია, ან საარჩევნო ბლოკი, რომელიც რეგისტრირებულია შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი	1. არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად საარჩევნო სუბიექტებს ამ კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საარჩევნო კომისია.
მ. 40.	2. საარჩევნო სუბიექტები რეგისტრაციაში გატარების მიზნით განცხადებით მიმართავენ შესაბამის საარჩევნო კომისიას და ამ კანონით დადგენილი წესით წარმოადგენენ სათანადო დოკუმენტაციას.

ამომრჩევლებმა საარჩევნო სუბიექტის არჩევნებში მონაწილეობის ინიციატივა უნდა დაადასტურონ თავიანთი ხელმოწერით მხარდამჭერთა სიის ბლანკზე, რომლის ნიმუშსაც ადგენს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია განკარგულებით.

მხარდამჭერთა სიის ბლანკში მითითებული უნდა იყოს ამომრჩეველთა სახელი და გვარი, დაბადების თარიღი(წელი, თვე და რიცხვი), საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის(საქართველოს მოქალაქის პასპორტის) და პირადი

ნომრები, რეგისტრაციის ადგილი(საქართველოს მოქალაქის რეგისტრაციის მოწმობის მიხედვით); ხელმოწერის თარიღი, ხელმოწერა, ასევე ბლანკში დამატებით უნდა მიეთითოს ხელმოწერების პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, რეგისტრაციის ადგილი(საქართველოს მოქალაქოს რეგისტრაციის მოწმობის მიხედვით) და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, აგრეთვე ბლანკის შევსების თარიღი და დადასტურებული უნდა იქნას ამ პირის ხელმოწერით.

მხარდამჭერთა სიის ბლანკის ზედა მარცხენა კუთხეში მითითებული უნდა იყოს იმ საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება(სახელი და გვარი), რომლის არჩევნებში მონაწილეობის ინიციატივას მხარს უჭერს ამომრჩეველი. მხარდამჭერთა სიების სწორად შედგენას და მასში ამომრჩეველთა ფართო მასების მონაწილეობას უშუალოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინასაარჩევნო პროცედურის მიზანმიმართულად ჩატარებისათვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, რადგან მისი სისწორე და სიზუსტე, ერთ-ერთი განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორია, ამა, თუ იმ საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაციაში გასატარებლად.

თუ რამდენად სწორადაა შედგენილი მხარდამჭერთა სიები, ხომ არ ჰქონდა ადგილი ხელმოწერების გაყალბებას, ერთი ამომრჩეველი ხომ არ აფიქსირებს რამოდენიმე ამომრჩევლის მაგივრად მხარდამჭერთა სიების შევსებას, ანუ ადგილი რომ არ ჰქონდეს აღნიშნულ და მსგავს გაყალბებას, მხარდამჭერთა სიები მოწმდება შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ. საარჩევნო კომისია, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე არათანმიმდევრულად ამოწმებს მხარდამჭერთა სიის კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო ოდენობის 20%-ის ნამდვილობას. თუ მისი არანაკლებ 10%-ის გაბათილების შემთხვევაში მხარდამჭერთა სია მთლიანად ბათილდება და საარჩევნო სუბიექტს შესაბამისი საარჩევნო კომისიის განკარგულებით უარი ეთქმება საარჩევნო რეგისტრაციაზე(რასაც ადგილი ჰქონდა კიდეც წინა მოწვევის საპარლამენტო არჩევნებისას).

საარჩევნო კანონმდებლობა ჩამოთვლის იმ შემთხვევებს, როცა ამომრჩევლის ხელმოწერა ბათილად მიიჩნევა, კერძოდ თუ მითითებული არ არის, ან არასრულად არის მითითებული სახელი და გვარი; მითითებული არ არის, ან არასრულად არის მითითებული რეგისტრაციის ადგილი(დასახლებული

პუნქტი, ქუჩა სახლისა და ბინის ნომრები); ხელმოწერის თარიღი მითითებული არ არის, ან არ ემთხვევა კანონით განსაზღვრულ მხარდამჭერთა სიის შედგენის ვადას; არ არის ხელმოწერილი, ან ხელმოწერა შესრულებულია სხვა პირის მიერ და ამას წერილობით ადასტურებს ამომრჩეველი, რომლის ნაცვლადაც შესრულებულია ხელმოწერა; საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის მხარდამჭერთა სიაში, მხარდამჭერად შეყვანილია სხვა საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული ამომრჩეველი; ხელმოწერა შესრულებულია მოტყუებით, მუქარით, ან ძალდატანებით და ამას წერილობით ადასტურებს ხელმომწერი პირი; არასრულად, ან არასწორად არის მითითებული საართველოს მოქალაქის პირადობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) მოწმობისა და პირადი ნომრები; აგრეთვე ბათილია ყველა ხელმოწერა იმ ბლანკზე, რომელიც არ არის დადასტურებული ხელმოწერის შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, ან რომელშიც მითითებული არ არის, ან არასრულად არის მითითებული ამ პირის შესახებ მონაცემები.

კანონის მიხედვით, მხარდამჭერთა სიები უნდა შემოწმდეს მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში. შემოწმების

პროცედურას შეიძლება დაესწროს საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი.

მხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ საარჩევნო კომისიის წევრები, ხოლო საჩივრის შეტანის შემთხვევაში – აგრეთვე სასამართლო. მხარდამჭერთა სიები ნადგურდება კენჭისყრამდე არა უადრეს 5 და არაუგვიანეს 2 დღისა.

მეხუთე თავი

არჩევნების დაფინანსება

არჩევნების მომზადება და ჩატარება დაკავშირებულია მთელ რიგ ფინანსურ პრობლემებთან. საარჩევნო კანონის წარმოება, მოსახლეობაში სააგიტაციო საქმიანობის წარმართვა, თვით საარჩევნო კომისიების მიერ გაწეული მუშაობა მოითხოვს გარკვეულ ხარჯებს. ამიტომ, საარჩევნო კანონის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პროცესს.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად: "ცენტრალური საარჩევნო კომისია, კენჭისყრამდე არაუგვიანეს 55 დღისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმას. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარმოდგენილი გეგმის შესაბამისად კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50 დღისა საქართველოს სახელმ-წიფო ბიუჯეტიდან, არჩევნებისათვის გამოყოფილ ფულად

სახსრებს ჩარიცხავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე".

ცენტრალური საარჩევნო კომისია, იღებს რა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფულად სახსრებს, უნაწილებს ქვემდგომ საარჩევნო კომისიებს და აწესებს კონტროლს მის მიზნობრივ გამოყენებაზე. ცენტრალური საარჩევნო კომისია კენჭისყრამდე არაუგვიანეს 45 დღისა, საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს, ჩარიცხავს მათ ანგარიშზე.

საარჩევნო კომისიები, იღებენ რა ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან გამოყოფილ ფულად სახსრებს, მიზნობრივად იყენებენ მას საარჩევნო პროცედურის სწორად წარსამართავად. საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები და ბულალტერები პასუხისმგებლები არიან მათთვის გამოყოფილი თანხების მიზნობრივად ხარჯვაზე.

საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში ორგანიზაციებთან და პირებთან ყოველგვარ ანგარიშსწორებას წყვეტს და 10 დღის ვადაში ვალდებულია ჩარიცხოს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე, თავის ანგარიშზე არსებული

ნაშთი, რომელიც არ დახარჯულა საარჩევნო პროცესში. საოლქო საარჩევნო კომისია, ჩარიცხავს რა მის ანგარიშზე არსებულ ნაშთს, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე, ჩარიცხვიდან 2 კვირის ვადაში წარადგენს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საფინანსო ანგარიშს.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიის განკარგულებით შედგენილია სპეციალური ფორმა, რომელშიც დაფიქსირდება არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯები. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ყველა საარჩევნო ოლქიდან მიღებული საფინანსო ანგარიშის საფუძველზე, ადგენს ხარჯების საერთო საფინანსო ანგარიშს და წარუდგენს ფინანსთა სამინისტროს.

არჩევნებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრების გამოყენების მართლზომიერებაზე, მაკონტროლებელი ორგანოა საქართველოს კონტროლის პალატა.

საარჩევნო კამპანიის ფონდი – საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანიისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების ერთობლიობაა.

ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის აუცილებელია და სავალდებულოა საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნა სოფლისა და თემის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრობის კანდიდატები საარჩევნო ფონდს ხსნიან ნებაყოფლობით.

საარჩევნო სუბიექტის მოზიდული ფულადი სახსრები უნდა ჩაირიცხოს საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშზე. საარჩევნო კანონმდებლობა არ ზღუდავს საარჩევნო სუბიექტს საკრედიტო დაწესებულების შერჩევისას, კერძოდ იგი უფლებამოსილია ფულადი სახსრები, რომელიც საარჩევნო კამპანიისათვის გამოიყენება მის მიერ, შეიძლება ჩარიცხულ იქნენ როგორც საქართველოს ეროვნულ ბანკის, ასევე ნებისმიერი კომერციული ბანკის ანგარიშზე, 5 დღის ვადაში, რაც საარჩევნო სუბიექტი რეგისტრაციაში გატარდება.

შესაბამის ბანკში ანგარიშის გახსნიდან 2 დღის ვადაში საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია წარუდგინოს შესაბამის საარჩევნო კომისიას, ბანკის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი, ანგარიშის ნომერი და კანონით გათვალისწინებული სხვა რეკვიზიტები.

საარჩევნო კანონის 46 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით "პარტიის, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის, ან მაჟორიტარი კანდიდატის პირადი ანგარიში არ შეიძლება გამოყენებული იქნეს საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშად. დაუშვებელია საარჩევნო კამპანიის ფონდისათვის ერთზე მეტი ანგარიშის გახსნა".

საარჩევნო სუბიექტი (პარტია) ბანკთან ანგარიშსწორებისას სარგებლობს თავისი ბეჭდით, ხოლო თუ პარტია შედის საარჩევნო ბლოკში, იგი უფლებამოსილია ისარგებლოს ერთ-ერთი პარტიის ბეჭდით (მათთან შეთანხმებით).

საარჩევნო კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს საარჩევნო კამპანიის ფონდში შემოწირულობების მიღებას, კერძოდ ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, აგრეთვე საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებულ(უსასყიდლოდ) ყველა სახის მატერიალური ფასეულობას და მომსახურებას. შემოწირულობის შემტანმა იურიდიულმა პირმა უნდა მიუთითოს თავისი სახელი, იურიდიული მისამართი, ხოლო ფიზიკურმა პირებმა უნდა მიუთითონ სახელი, გვარი, მისამართი, საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და პირადი ნომერი. იმ

შემთხვევაში, თუ საბანკო ანგარიშზე მოხვდება ანონიმური შემოწირულობა საარჩევნო სუბიექტის სახელზე, ასეთი სახის შემოწირულობა ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

კანონის 47 მუხლი კრძალავს საარჩევნო კამპანიის ფონდში შემოწირულობების მიღებას სხვა სახელმწიფოსაგან; სხვა სახელმწიფოს იურიდიული, ან ფიზიკური პირისაგან; მოქალაქეობის არმქონე პირისაგან; საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მოძრაობისაგან; არასამეწარმეო იურიდიული პირის და რელიგიური ორგანიზაციისაგან; საქართველოს სამეწარმეო იურიდიული პირისაგან, რომელშიც არ არის სახელმწიფოს წილი.

კანონი მოითხოვს საარჩევნო კამპანიის ფონდის სწორ განკარგვას, რათა არ მოხდეს საარჩევნო სუბიექტების მიერ შემოწირულობების არასწორი გახარჯვა, რაც უარყოფით შედეგებს გამოიწვევს არჩევნების მთელი პროცესის განმავლობაში. ამიტომ საარჩევნო კამპანიის ფონდის ეფექტურად გამოყენებისა და განკარგვის მიზნით, საარჩევნო სუბიექტი ნიშნავს(ირჩევს) საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველს და ბუღალტერს, რომლებიც, კანონის შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტის მითითებების მიხედვით

განკარგავენ შემოწირულობებს. ფონდის მმართველი პასუხისმგებელია შეამოწმოს საარჩევნო კამპანიის ფონდში ფულადი სახსრების კანონიერი ჩარიცხვის სისწორე და ჩარიცხვიდან 2 დღის განმავლობაში აცნობოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შემოწირულობების წყაროების, ოდენობის, მიღების თარიღის ზუსტი მითითებები.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი	პ 6. საარჩევნო სუბიექტები, არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანე 1(ერთი) თვისა, ხოლო საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც წინაწარი მონაცემებით მიიღებენ ამ კანონით დადგენილი საჭირო ხმების რაოდენობას,
გ. 48	კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს 8 დღისა, შესაბამის საარჩევნო კომისიას წარუდგენენ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს, საარჩევნო კამპანიის ფონდში ჩარიცხული ფულადი სახსრების მითითებით.

იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებიც არ წარმოადგენენ საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშს ცენტრალურ

საარჩევო კომისიაში, მომავალი არჩევნების ჩათვლით ეკრძალებათ მომავალ არჩევნებშიც მონაწილეობის მიღება.

არჩევნების შეჯამებიდან 20 დღის განმავლობაში, საარჩევნო სუბიექტმა უნდა დახუროს საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიში. საბანკო ანგარიშზე დარჩენილი თანხა, საარჩევნო სუბიექტებმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დაუბრუნონ შემომწირველებს, მათ მიერ შეტანილი სახსრების შესაბამისად.

ნებისმიერი დაინტერესებული პირი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, უფლებამოსილნი არიან გაეცნონ ყოველგვარ ინფორმაციას შემოწირულობების შესახებ, რადგან იგი "ღია, საჯარო და ხელმისაწვდომია". ცენტრალური საარჩევნო კომისია ვალდებულია, საჯაროობის პრინციპიდან გამომდინარე, საარჩევნო სუბიექტის შემოწირულობის შესახებ, სრული ინფორმაცია მიაწოდოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირთ.

მეექვსე თავი:

კენჭისყრის წესი და არჩევნების შედეგების დადგენა

კენჭისყრის დრო და ადგილი

კენჭისყრის შედეგად თითოეული ამომრჩეველი გამოხატავს თავის პოლიტიკურ ნებას, ხდება მისი, როგორც ამომრჩევლის ნების რეალიზება, რომლის შედეგადაც წარმომადგენლობით ორგანოებში ადგილს იკავებენ გამარჯვებული კანდიდატები. კენჭისყრამ რომ მოიცვას ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, კენჭისყრა ტარდება მათთვის მოსახერხებელ, მისაღებ დროს.

საარჩევნო კანონის 49 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით "კენჭისყრა ტარდება კენჭისყრის შენობაში დღის 7 საათიდან 20 საათამდე".

საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრის ჩატარების დროსა და ადგილის შესახებ ამომრჩეველს აცნობს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 2 დღისა, მათთვის ამომრჩევლის ბარათის გადაცემით.

კენჭისყრის დროს, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირებს, ყოველმხრივ უნდა შეეწყოთ ხელი, რათა მათ გამოხატონ თავიანთი ნება – ხმა მისცენ მათთვის სასურველ საარჩევნო სუბიექტებს. საარჩევნო კანონის მიხედვით ხმის მიცემის კაბინეტში, ან ხმის მისაცემ ოთახში არ შეიძლება იმყოფებოდეს სხვა პირი გარდა ამომრჩევლისა, რომელმაც დამოუკიდებლად უნდა შეავსოს ბიულეტენი. გამონაკლისია შემთხვევა, როცა ამომრჩეველმა შეიძლება მიიწვიოს ხმის მიცემის კაბინაში ნებისმიერი პირი, რომელიც დაეხმარება მას საარჩევნო ბიულეტენის შევსებაში(მაგალითად, როცა ამომრჩეველი ნაკლის მქონეა, ან უსინათლოა და სხვა. ამასთანავე კომისიის წევრს, ნდობით აღჭურვილი პირს, პარტიის ან საარჩევნო ბლოკის რწმუნებულს და მეთვალყურეს, არ აქვთ უფლება დაეხმარონ ამომრჩეველს ხმის მიცემისა ბიულეტენის შევსებაში.

კენჭისყრის შენობის მოწყობა

კენჭისყრის შენობაში ფარული კენჭისყრისათვის მოყყობილ უნდა იყოს კაბინები(ოთახები), ყოველ 400 ამომრჩეველზე ერთი ფარული კენჭისყრის კაბინა, ერთი

სარეგისტრაციო მაგიდა და შესაბამისი რაოდენობის კალმისტარი. ადგილები უნდა გამოიყოს ამომრჩეველთა რეგისტრაციისათვის, საარჩევნო ბიულეტენების გაცემისა და გადამოწმებისათვის. იქვე გამოკრული უნდა იყოს ამომრჩეველთა სიები, პარტიული სიები, კანდიდატთა სიები და საარჩევნო ბიულეტენის შევსების ინსტრუქცია. არის შემთხვევები, როცა რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში, რის შესახებაც საარჩევნო კომისია განცხადებას გამოაკრავს თვალსაჩინო ადგილას, საარჩევნო უბანშიც და კაბინაშიც.

კენჭისყრის დღეს თვალსაჩინო ადგილას უნდა იდგეს გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი.

კენჭისყრის საარჩევნო კანონმდებლობის გათვალისწინებული წესით ჩასატარებლად, მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი

საარჩევნო ბიულეტენი ეძლევა პირს, რომელიც შეტანილია საარჩევნო სიაში. საარჩევნო კანონის 51 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება ქართულ ენაზე, აფხაზეთში აგრეთვე აფხაზურ ენაზე, საჭიროებისას ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ სხვა ენაზეც.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია კენჭისყრამდე არაუგვიანეს 2 დღისა გასცემს საოლქო საარჩევნო კომისიებს მათთვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენებს და სპეციალურ კონვერტებს. ეს უკანასკნელები კი კენჭისყრანდე არაუგვიანეს 24 საათისა საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს გადასცემენ საუბნო საარჩევნო კომისიებს.

ცენტრალური საარჩევნო კომისია ზუსტად აღრიცხავს საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების რაოდენობას და ისე გადასცემს მას საოლქო საარჩევნო კომისიებს, რომლებიც ასევე სიზუსტით გადასცემენ მას საუბნო საარჩევნო კომისიას. დგება გადაცემის აქტი 2

ცალად, სადაც აღინიშნება საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების ზუსტი რაოდენობა, ნომერი, სახეობა, გამცემი და მიმღები ოფიციალური პირის ვინაობა(მისი ხელმოწერით) და სხვა.

საუბნო საარჩევნო კომისიისათვის გადაცემული ბიულეტენების რაოდენობა 3%-ით მეტი უნდა იყოს სიაში შეყვანილ ამომრჩევლებზე. საარჩევნო ბიულეტენები თანმიმდევრულადაა დანომრილი და ას-ას ცალად არის აკინძული. საარჩევნო ბიულეტენების ყოველ შეკვრას გააჩნია თავფურცელი, სადაც გრაფებში აღნიშნულია საარჩევნო ოლქების, უბნების დასახელება, ნომრები, მიღების თარიღის აღნიშვნა და საუბნო საარჩევნო კომისიის თანამდებობების პირების ხელმოწერა, რომელთაც ეს შეკვრა გადაეცემათ.

საარჩევნო ბიულეტენებზე აღნიშნული უნდა იყოს: საარჩევნო უბნის დასახელება, ნომერი, ბიულეტენის შევსების წესი, საარჩევნო სუბიექტის დასახელება და რიგითი ნომერი, საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით დამოწმების ადგილი; საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ხელმოწერის ადგილი.

იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო სუბიექტი მოიხსნება არჩევნებიდან, საარჩევნო ბიულეტენზე მისი დასახელების

გასწვრივ დაისმება შტამპი – "საარჩევნო სუბიექტი მოხსნილია".

საარჩევნო უბნის გახსნა

კენჭისყრის დაწყებამდე იხსნება საარჩევნო უბანი, სადაც კენჭისყრის დაწყებამდე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები და კენჭისყრის პროცესში შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების თანდასწრებით საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ატარებს წილისყრას, რომელმაც უნდა გამოავლინოს: ამომრჩეველთა რეგისტრატორი და საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გამცემი კომისიის წევრები; საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებზე ხელმომწერი კომისიის 2 წევრი, საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით დამმოწმებელი კომისიის წევრი; საარჩევნო ყუთზე ზედამხედველი კომისიის წევრი: გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის არანაკლებ 2 წევრი, კენჭისყრის შენობაში ამომრჩეველთა ნაკადის მარეგულირებელი კომისიის წევრი.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ერთი ფორმისა და სახეობის ფურცლებზე წერს კომისიის წევრთა ფუნქციებს, ამოწმებს კომისიის ბეჭდით; ამის შემდეგ ფურცელი უნდა დაიკეცოს იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ამ ტექსტის წაკითხვა და დაკეცილ ფურცლებს და კომისიის ბეჭდით დამოწმებულ ცარიელ ფურცლებს ათავსებს გამჭვირვალე გადასატან ყუთში და ურევს მათ. ცარიელი და შევსებული ფურცლების საერთო რაოდენობა, კომისიის წევრთა რაოდენობის ტოლია. კომისიის წევრები ყუთიდან იღებენ თითო ფურცელს. თუ წილისყრის შედეგად მოხდა კომისიის წევრების ფუნქციების გადანაწილება, უნდა დამოწმდეს კომისიის თავმჯდომარის მიერ.

წილისყრის შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს ამომრჩეველთა რაოდენობას, ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით. ამოწმებს კონვერტების, საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობას, ამოწმებს იმ პაკეტის მთლიანობას, სადაც მოთავსებულია საარჩევნო კომისიის ბეჭედი და მხოლოდ ამის შემდეგ ხსნის მას; იგი ამოწმებს და ლუქავს გადასატან ყუთს.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი მ. 52	6. ძირითადი და გადასატანი ყუთები ილუქება და მასში საკონტროლო ფურცლები იყრება პირველი ამომრჩევლის მოსვლის შემდეგ. ძირითადი და გადასატანი ყუთების საკონტროლო ფურცლებს ხელს აწერენ პირველი ამომრჩეველი და საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი. საკონტროლო ფურცლებზე აღინიშნება შესაბამის საარჩევნო ყუთში მისი ჩადების ზუსტი დრო და პირველი ამომრჩევლის ვინაობა.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს, რომლებიც გასცემენ საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს, ეძლევათ მათი თითო შეკვრა, რაც დასტურდება თავფურცელზე კომისიის თავმჯდომარის და კომისიის წევრის (საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების მიმღების) ხელმოწერით.

საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გაცემა

საარჩევნო ბიულეტენების გაცემა ხდება ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე, მას შემდეგ, რაც

საქართველოს მოქალაქე წარადგენს საუბნო საარჩევნო კომისიაში პირადობის დამადასტურებელ მოწმობას.

კენჭისყრის დღეს ყოველ ამომრჩეველზე გაიცემა ერთი სპეციალური კონვერტი და შესაბამისი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი. საარჩევნო კომისიის წევრი ამომრჩეველზე საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გაცემასთან ერთად, ამომრჩეველთა სიაში შეიტანს საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს. იმ შემთხვევაში, როცა ამომრჩეველი შეიტანება დამატებით საარჩევნო სიაში, მან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარდა უნდა წარადგინოს ხმის მიცემის უფლების მოწმობა.

ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენისა და სპეციალური კონვერტის მიღებას საარჩევნო კომისიის მიერ ადასტურებს ხელის მოწერით.

კენჭისყრა

საქართველოს კონსტიტუციის 49 მუხლის და საარჩევნო კოდექსის 54 მუხლის მიხედვით ტარდება ფარულად. კენჭისყრის კანონის მიხედვით ჩატარებას

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არჩევნების შედეგების გასარკვევად და გამარჯვებულის გამოსავლენად. ყოველი ამომრჩეველი, არჩევნების დღეს, პირადად უნდა გამოცხადდეს იმ საარჩევნო უბანში, სადაც უნდა მისცეს ხმა მისთვის სასურველ საარჩევნო სუბიექტს. მან აუცილებლად თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მისი როგორც მოქალაქის, იდენტიფიკაციისათვის. ამომრჩეველი პირადად აძლევს ხმას. საარჩევნო კანონი კრძალავს სხვის მაგიერ ხმის მიცემას.

საბჭოთა კავშირში, არჩევნები დემოკრატიული პრინციპების სრული გვერდის ავლით ტარდებოდა. დაცული არ იყო საარჩევნო კანონის მოთხოვნები, კერძოდ ხშირი იყო შემთხვევები, როცა ერთი ამომრჩეველი, საარჩევნო ყუთში უშვებდა რამოდენიმე საარჩევნო ბიულეტენს, თავისი და სხვისი ახლობლების მაგივრად და ამას გარკვეულწილად ხელს უწყობდა საარჩევნო უბნების კომისიებიც, რასაც დღეს ადგილი აღარ აქვს. თუმცა გარკვეული ანომალიები აქაც შეიმჩნევა.

საარჩევნო კანონის მიხედვით ხმის მიცემის პროცედურა შემდეგი თანმიმდევრობით ხდება: ამომრჩევლის მიერ მიღებულ

საარჩევნო ბიულეტენებს და სპეციალურ კონვერტებს ცალკე მდგომ მაგიდასთან ხელმოწერით ამოწმებს საარჩევნო კომისიის 2 წევრი, ხდება მისი დამოწმება საარჩევნო კომისიის ბეჭდით, ან საარჩევნო კომისიის წევრთა ხელმოწერით. ამის შემდეგ ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში (ოთახში), ავსებს საარჩევნო ბიულეტენს და დებს სპეციალურ კონვერტში, შემდეგ ამ კონვერტს აგდებს საარჩევნო ყუთში. ხმის მიცემის დროს საარჩევნო ყუთთან ორზე მეტი პირის ერთდროულად მისვლა არ შეიძლება საარჩევნო ყუთთან დგას ამ ყუთზე ზედამხედველი კომისიის წევრი, რომელიც აკონტროლებს, რათა არ მოხდეს ამომრჩევლის მიერ ერთდროულად 2, ან რამდენიმე სპეციალური კონვერტის ჩაშვება ყუთში და სხვა. საარჩევნო ბიულეტენების შევსებისას არ შეიძლება ამომრჩეველთან მივიდეს სხვა პირი. იგი უფლებამოსილია (თუ არ შეუძლია ბიულეტენის შევსება) კაბინაში მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა კანონით გათვალისწინებული პირებისა. იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველს გაუფუჭდება საარჩევნო ბიულეტენი, ამის შესახებ მან უნდა აცნობოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელსაც მისი

თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე და ცალკე შეინახება, ხოლო მას ახალი საარჩევნო ბიულეტენი მიეცემა.

შენობა, სადაც მიმდინარეობს კენჭისყრა, იკეტება 20 საათზე. ამომრჩევლები, რომლებიც ამ დროისათვის კენჭისყრის შენობაში იმყოფებიან, უფლებამოსილნი არიან მისცენ ხმა. ბოლო ამომრჩევლის ვინაობა ეცნობება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს, რომელიც გამოაცხადებს, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა შეუძლიათ, მხოლოდ რიგში მდგომ ამომრჩევლებს.

კენჭისყრის დღეს დაცული უნდა იყოს სრული წესრიგი, რათა ამომრჩევლებს სრული შესაძლებლობა მიეცეთ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალის მოხდისა და პოლიტიკური ნების გამოსახატავად. კენჭისყრის პერიოდში, წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. კენჭისყრის შენობაში დაუშვებელია შეიარაღებული პირების შესვლა. იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრის შენობაში, ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილი ექნა ექსცესებს, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია გამოიძახოს პოლიციის მუშაკები წესრიგის დასამყარებლად. საზოგადოებრივი

წესრიგის აღდგენისთანავე პოლიციის მუშაკებმა უნდა დატოვონ შენობა და მისი მიმდებარე ტერიტორია.

გადასატანი საარჩევნო ყუთი

კენჭისყრის დროს, საარჩევნო კანონის მიხედვით დასაშვებია გადასატანი საარჩევნო ყუთის გამოყენება, იმ შემთხვევებისათვის, როცა ამომრჩეველი იმყოფება ძნელად მისადგომ ადგილებში, საავადმყოფოებში და სხვა სტაციონარულ დაწესებულებებში, თავისუფლების აღკვეთის ადგილას, წინასწარი პატიმრობის ადგილას, ღრმად მოხუცებულია და არ შეუძლია კენჭისყრის შენობაში მისვლა და სხვა შემთხვევებში. ამომრჩეველი, რომელიც ითხოვს გადასატან საარჩევნო ყუთს აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღის 12 საათამდე წერილობით, ან ზეპირი გზით, ტელეფონით და სხვა. მის მიერ გაკეთებული განცხადება შეაქვთ სარეგისტრაციო ჟურნალში, განცხადების გაკეთების ზუსტი დროის მითითებით.

კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, გადასცემს გადასატანი ყუთის თანმხლებ

პირებს ყუთს(2 წევრი) და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირს თავისი სურვილისამებრ. იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩევლის რეგისტრაციის ადგილი და ამომრჩევლის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი ერთმანეთს ემთხვევა, ამომრჩეველს ეძლევა როგორც მაჟორიტარული, აგრეთვე პროპორციული საარჩევნო სისტემებით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობისათვის შესაბამისი ბიულეტენები და კონვერტები.

გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით, კენჭისყრა მთავრდება საღამოს 20 საათზე. ყუთი ილუქება და უნდა დაბრუნდეს 21 საათზე საუბნო საარჩევნო კომისიაში.

საარჩევნო ყუთის გახსნა და ხმების დათვლა

კენჭისყრის დამთავრების შემდეგ ხდება ხმების დათვლა, რაც საარჩევნო პროცესის მნიშვნელოვანი სტადიაა. დეტალურად იგი საარჩევნო კოდექსში რეგულირდება. კანონის თანახმად ხმების დათვლა მიმდინარეობს შემდეგი თანმიმდევრობით: საარჩევნო კომისია ითვლის და პაკეტებად

კრავს გამოუყენებელ ბიულეტენებს, ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით დგინდება ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა და არჩევნებში რეალურად მონაწილე პირთა რაოდენობა, ანუ იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებმაც ხმა მისცეს საარჩევნო სუბიექტებს, შემდეგ მოწმდება საარჩევნო ყუთის ლუქი(როგორც ძირითადი, ისე გადასატანი). თუ ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ საუბნო საარჩევნო კომისია მიიჩნევს, რომ მას არ გამოუწვევია საარჩევნო კანონის მოთხოვნათა დარღვევა, საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა. წინააღმდეგ შემთხვევაში საარჩევნო ყუთი ილუქება და საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება და დალუქული საარჩევნო ყუთი დაუყონებლივ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას, იხსნება და მოწმდება მასში საკონტროლო ფურცელის არსებობა, შემდეგ აურევენ ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთების სპეციალურ კონვერტებს. მთვლელები ცალკ-ცალკე ითვლიან ყუთებში არსებულ სხვადასხვა დადგენილი ნიმუშის ბიულეტენებს. მთვლელები საარჩევნო

ბიულეტენებს აწყობენ ცალკ-ცალკე თითოეული საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემული ხმების შესაბამისად.

კომისიის მიერ ცალკ-ცალკე ხდება ყოველი საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემული ხმების რაოდენობის დათვლა, ხარისხდება და ცალკ-ცალკე იდება ყოველი პარტიისა და საარჩევნო ბლოკის, აგრეთვე მაჟორიტარი დეპუტატებისათვის მიცემული ხმების რაოდენობას.

საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტის გარეშე აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენები ბათილად მიიჩნევა, ბათილად მიიჩნევა აგრეთვე სპეციალურ კონვერტში დადგენილ რაოდენობაზე მეტი საარჩევნო ბიულეტენი, ზემოდან იწერება "ბათილია" და ცალკე იდება.

დათვლილი ყოველი 50 საარჩევნო ბიულეტენები ცალკე იკვრება და შეკრულ სრულ და არასრულ ბიულეტენებს ზემოდან აღენიშნება მისი სრული რაოდენობა. ეს შეკვრები იდება ცალკე დასტებად, რომელსაც დაეწერება საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, საარჩევნო სუბიექტის მონაცემები, მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, აგრეთვე ამ დასტაში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა.

ხმის დათვლის შემდეგ, კენჭისყრის შედეგებს საარჩევნო კომისიები შეიტანენ სათანადო ოქმში.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი მ. 60.	2. საქართველოს პრეზიდენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს გამგებლის, მერის არჩევნების დროს დგება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი 1 ოქმი, გამონაკლისს წარმოადგენს ქალაქ თბილისის საკრებულოს არჩევნები, რომლის დროსაც დგება პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი; ხოლო საქართველოს პარლამენტის არჩევნების დროს – 2 ოქმი. ერთი ოქმი დგება პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების, ხოლო მეორე ოქმი - მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით.

კენჭისყრის შემაჯამებელ ოქმში აღინიშნება: საარჩევნო უბნის ნომერი და დასახელება, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, ამომრჩეველთა რაოდენობა ძირითად სიაში, ამომრჩეველთა რაოდენობა დამატებით სიაში, კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა, რომელიც ტოლია ამომრჩეველთა სიებში მათი ხელმოწერების რაოდენობისა, იმ

ამომრჩეველთა გამოკლებით, რომლებზედაც გაიცა ხმის მიცემის უფლების მოწმობა, მიღებულ საარჩევნო ბიულეტენთა და სპეციალურ კონვერტთა რაოდენობა, საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი დადგენილი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენთა და სპეციალურ კონვერტთა რაოდენობა, ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა, დაუდგენელი ნიმუშების ბიულეტენთა და კონვერტთა რაოდენობა, თითოეული საარჩევნო სუბიექტის დასახელება(სახელი და გვარი) და მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ორი ცალი დალუქულ პაკეტებთან ერთად დაუყონებლივ გაიგზავნება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, ხოლო ოქმის თითო ცალი დაუყონებლივ გადაეცემა თითოეულ საარჩევნო სუბიექტს, ან მის წარმომადგენელს, რასაც ისინი ადასტურებენ საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალში ხელის მოწერით.

კანონით უფლებამოსილ პირს შეუძლია, თუ მიიჩნევს რომ კენჭისყრა უკანონოდ ჩატარდა, შეუძლია შევიდეს საჩივრით საარჩევნო კომისიაში, საარჩევნო კანონის დარღვევისთანავე დღის 7 საათიდან 20 საათამდე, ხოლო

აღნიშნული განცხადება(საჩივარი), ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურის დროს ჩადენილი დარღვევების შესახებ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას არაუგვიანეს კენჭისყრის მომდევნო დღის 20 საათისა. საოლქო საარჩევნო კომისია, შესაბამის განცხადებას(საჩივარს) განიხილავს კენჭისყრიდან არაუგვიანეს 3 დღისა და თავის მოსაზრებებს დაუყონებლივ წარუდგენს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება საოლქო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

არჩევნების ჩატარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცედურაა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება საოლქო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. საუბნო საარჩევნო კომისია, კანონით დადგენილი წესით, ოქმებს და საარჩევნო ბიულეტენებს გადაუგზავნის საოლქო საარჩევნო კომისიას, სადაც იწყება არჩევნების შედეგების განსაზღვრა, რომლის უფლებამოსილებაც საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ

წარმოდგენილი ოქმების საფუძველზე აქვს საოლქო საარჩევნო კომისიას. იგი საუბნო საარჩევნო კომისიიდან მიღებული ოქმების საფუძველზე, ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის მიხედვით, ადგენს გამოუყენებელი და ბათილი ბიულეტენების ოდენობას, ამომრჩეველთა საერთო რიცხვს, ნამდვილად და ბათილად ცნობილი და დაუდგენელი ბიულეტენებისის, აგრეთვე თითოეული კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობის შესაბამისად არჩევნების შედეგებს.

საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს შესაბამის ოქმს კენჭისყრის შედეგებისა, საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე.

საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებულ ოქმებს კენჭისყრის ჩატარებიდან არაუგვიანეს 10 დღისა, თავის სხდომებზე აჯამებს და არჩევნების შედეგებს ამტკიცებს ცენტრალური საარჩევნო კომისია და ადგენს ოქმს.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი მ. 63.	4. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების რაოდენობა, სამით მეტია ამ ოქმში დასახელებული საარჩევნო სუბიექტთა რაოდენობაზე. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ერთი ცალი რჩება საოლქო საარჩევნო კომისიაში, მეორე ცალი საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების თითო ცალთან ერთად კენჭისყრის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 დღისა გადაეცემა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ხოლო მესამე გამოიკვრება საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას. ოქმის თითო ცალი დაუყონებლივ გადაეცემა ყველა საარჩევნო სუბიექტს, ან მათ წარმომადგენლებს. ოქმის მიღება საარჩევნო სუბიექტმა, ან მისმა წარმომადგენელმა უნდა დაადასტუროს საოლქო საარჩევნო კომისიის ჟურნალში ხელის მოწერით.

არჩევნების შემაჯამებელ ოქმს ხელს აწერენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. ერთი ცალი ინახება ცენტრალური საარჩევნო კომისიაში, მეორე ცალი გადაეცემა კანონით გათვალისწინებულ ორგანოებს. ოქმის ასლები გადაეცემა ყველა დაინტერესებულ პირთ.

ცენტრალური საარჩევნო კომისია ბათილად ცნობს საარჩევნო კანონის მოთხოვნების დარღვევით ჩატარებულ

არჩევნებს ამა თუ იმ საარჩევნო უბანში და დანიშნავს ხელახალ კენჭისყრას, რომელიც უნდა ჩატარდეს 2 კვირის ვადაში.

არჩევნების საბოლოო შეჯამებიდან 5 დღის ვადაში საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს ცნობას არჩევნების შესახებ.

მეშვიდე თავი:

საჯაროობის პრინციპი არჩევნების მომზადებისას და ჩატარებისას

არჩევნების საჯაროობა

საქართველოს საარჩევნო კანონის მიხედვით საქართველოში არჩევნების პროცესი მომზადებიდან ჩატარების ბოლო ეტაპამდე, საჯაროოა. ეს იმას ნიშნავს, რომ საარჩევნო კომისიების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, რეგისტრირებული კავშირების (ასოციაციების) და ფონდების საქმიანობა ღია და საჯაროოა.

პრაქტიკაში მყარად დამკვიდრდა არჩევნების დემოკრატიული ბუნებიდან გამომდინარე, არჩევნების მიმდინარეობისას მოწვეულ იქნენ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან დამკვირვებლები, რომელთა დასწრება კენჭისყრის პროცესებზე და დაკვირვება მთელს საარჩევნო პროცესზე, გარკვეულწილად ხელს უწყობს არჩევნების კანონიერ ფარგლებში ჩატარებას.

ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

საარჩევნო პროცესში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე ადგილობრივი დამკვირვებლები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები, რომლებიც კენჭისყრის დღემდე არაუგვიანე 2 დღისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კავშირი (ასოციაცია), ფონდი, რომლის წესდება, ან დებულება ითვალისწინებს რეგისტრაციის გატარების მომენტისათვის არჩევნებზე მონიტორინგს, ან(და) ადამიანების უფლებების დაცვას(დამკვირვებელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 18 წლის ასკიდან).

საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლები, რეგისტრირდებიან დამკვირვებლებად საქართველოს ცენტრალურ, ან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, ამ კომისიის თავმჯდომარის მიერ წარდგენილი განცხადების საფუძველზე კენჭისყრამდე არაუგვიანეს 1 კვირისა.

დამკვირვებლებს გადაეცემათ დამკვირვებლის მოწმობები საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ დამკვირვებლის სიის წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა. ზემოთ

ჩამოთვლილი პირები უფლებამოსილნი არიან იმყოფებოდნენ კენჭისყრის საარჩევნო შენობებში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მთელი პერიოდის მანძილზე. რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები მასობრივად გადასცემენ ინფორმაციებს ამა თუ იმ უბანში მიმდინარე კენჭისყრის შესახებ, თუ დღის განმავლობაში, რომელი საათისათვის, რამდენმა ამომრჩეველმა მისცა ხმა, როგორია ხალხის ორგანიზებულობა, საარჩევნო განწყობა, მოსაზრებები მიმდინარე არჩევნების დემოკრატიულობაზე და სხვა.

ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელთა რეგისტრაციის და პრესისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა აკრედიტაციასთან დაკავშირებული განკარგულებები შეიძლება გასაჩივრდეს საოლქო სასამართლოში მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში და რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 3 დღის ვადაში, რომელიც საბოლოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კენჭისყრის დღის წინა პერიოდშიც ხდება სხვადასხვა სოციოლოგიური ჯგუფების, საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიერ ამომრჩეველთა ინტერაქტიული გამოკითხვა, სავარაუდო მონაცემების მიღება ამომრჩევლისაგან დაახლოებით რამდენმა

პროცენტმა მისცა ხმა ამა, თუ იმ საარჩევნო სუბიექტს. რის შედეგადაც ხდება მიახლოებითი განსაზღვრა, არჩევნებში შესაძლო გამარჯვებული სუბიექტისა. დამკვირვებლები ასევე უფლებამოსილნი არიან, მიიღონ მონაწილეობა საარჩევნო ყუთების შემოწმებაში მათ დალუქვამდე და მათი გახსნის შემდეგ, დააკვირდნენ ამომრჩეველთა რეგისტრაციას, საარჩევნო ბიულეტენების და სპეციალური კონვერტების გაცემას, დაესწრონ ხმის დათვლის პროცედურას, საჭიროების შემთხვევაში საჩივრით(განცხადებით) მიმართონ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, გაასაჩივრონ ზემდგომ საარჩევნო კომისიაში, ან სასამართლოში უკანონოდ ჩატარებულ კენჭისყრას, გაეცნონ ოქმებს და სხვა.

დამკვირვებლის უფლება შეზღუდულია შემდეგ შემთხვევებში: მათ არა აქვთ უფლება ჩაერიონ საარჩევნო კომისიის ფუნქციებში და საქმიანობაში, გავლენა იქონიონ ამომრჩევლის ნებაზე, აგიტაცია გაუწიონ რომელიმე, მათთვის სასურველ და მისაღებ საარჩევნო სუბიექტს, ატარონ რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და სხვა.

საჯაროობის პრინციპიდან გამომდინარე, საარჩევნო კომისიები აქვეყნებენ ინფორმაციებს თავიანთი საქმიანობის

შესახებ, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნის შესახებ. საარჩევნო სუბიექტების შესახებ, საარჩევნო სუბიექტების და ამომრჩეველთა სიებს აკრავენ თვალსაჩინო ადგილას, აგრეთვე თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო პროგრამები (რომლებიც ჩამოიხსნება კენჭისყრის წინა დღის 24 საათამდე) და სხვა.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი მ. 66.	4. საარჩევნო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის. საარჩევნო კომისია ვალდებულია საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია, მათი მოთხოვნიდან 2. დღის ვადაში გააცნოს ყველა დაინტერესებულ პირს.

ასევე საჯაროა და ღიაა საარჩევნო კომისიების სხდომები. ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია დაესწროს საარჩევნო კომისიის სხდომას. საარჩევნო კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელნიც უფლებამოსილნი არიან კენჭისყრის დღისათვის იმყოფებოდნენ შენობაში. ესენია: საქართველოს ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები, ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლები. საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები. პრესისა და მასობრივი

ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლები, დამკვირვებლები.

საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი, მისი უფლებამოსილებანი

საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი ის პირია, რომელიც საარჩევნო სუბიექტს წარმოადგენს შესაბამის საარჩევნო კომისიასთან ურთიერთობაში.

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს (საარჩევნო ბლოკებს), საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს უფლება აქვთ, რომ თავიანთი წარმომადგენელი დანიშნონ ყველა საარჩევნო კომისიაში, ხოლო მაჟორიტარი დეპუტატები თავიანთ წარმომადგენელს ნიშნავენ მხოლოდ შესაბამის საოლქო, ან საუბნო საარჩევნო კომისიებში.

საარჩევნო სუბიექტი, თავისი წარმომადგენელის დანიშვნის შესახებ აცნობებს შესაბამის საარჩევნო კომისიას, რომლის თავმჯდომარე 2 დღის ვადაში, გასცემს წარმომადგენლობის მოწმობას.

საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი უფლება-მოსილია დაესწროს საარჩევნო კომისიის სხდომებს,

კენჭისყრის დღეს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში და დაესწროს კენჭისყრის მიმდინარეობის მთელ პროცესს, ხმების დათვლას, საერთოდ კენჭისყრასთან დაკავშირებულ ყველა საარჩევნო პროცედურას.

საარჩევნო წარმომადგენელის მეშვეობით საარჩევნო სუბიექტი აკონტროლებს, რათა არ მოხდეს ხმების გაყალბება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ, კენჭისყრა და ხმების დათვლა მოხდეს ობიექტურ და დემოკრატიული არჩევნების ყველა პრინციპების დაცვით.

წინასაარჩევნო აგიტაცია, წინასაარჩევნო შეკრებები და მანიფესტაციები

საარჩევნო კანონი ითვალისწინებს წინასაარჩევნო აგიტაციის მოწყობას, რომელიც მიმდინარეობს არჩევნების დანიშვნის მომენტიდან, კენჭისყრის წინადღის 24 საათამდე.

წინასაარჩევნო აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის განმავლობაში საარჩევნო სუბიექტები, ამომრჩევლები და მათი წარმომადგენლები ეწევიან ფართომასშტაბიან სააგიტაციო მუშაობას საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად, ან საწინააღმდეგოდ (აკრძალულია კენჭისყრის დღეს საუბნო

საარჩევნო კომისიის შენობასა და მისგან 100 მეტრის რადიუსში წინასაარჩევნო აგიტაციის წარმოება).

წინასაარჩევნო აგიტაციისას ზემოთაღნიშნული პირები ფართოდ იყენებენ მათთვის მინიჭებული ყველანაირ უფლებამოსილებას, სასურველი საარჩევნო სუბიექტისათვის ხმის მისაცემად მოსახლეობის ფართო მასშტაბით ინფორმირებისათვის. ამისათვის ისინი აწყობენ კრებებს, შეხვედრებს ამომრჩევლებთან რეგიონებში თავიანთი საარჩევნო პროგრამის გასაცნობად აწყობენ დისკუსიებს, შეკრებებსა და მანიფესტაციებს, ავრცელებენ სააგიტაციო ფურცლებს, კანდიდატიების პორტრეტებს, რისთვისაც ფართოდ იყენებენ ქალაქის სარეკლამო საშუალებებს. საარჩევნო სუბიექტებს და მათ წარმომადგენლებს ეთერში გამოეყოფად უფასო დრო – ყოველდღიურად 3 საათი, რომელიც თანაბრად განაწილდება საარჩევნო სუბიექტებს შორის(რაც შეეხება კერძო კომპანიებს, ისინი ვალდებული არ არიან უფასო ეთერი დაუთმონ მათ, მაგრამ აწესებენ ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთნაირი დროის თანაბარ ფასს).

წინასაარჩევნო სააგიტაციო მუშაობისას, საარჩევნო სუბიექტები მართავენ მშვიდობიან შეკრებებსა და

მანიფესტაციებს, რისთვისაც საჭირო შემთხვევაში სახელმწიფო, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უსასყიდლოდ გადასცემენ მათ შენობებს და ადგენს წილისყრით ცალკეული საარჩევნო სუბიექტისა და მათი წარმომადგენლებისათვის სააგიტაციო მუშაობის ჩატარების განრიგს. წინასაარჩევნო პერიოდში შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარებისას, თუ ისინი ხელს არ შეუშლიან ტრანსპორტის და ხალხის მოძრაობას, ორგანიზატორებმა 2 დღით ადრე უნდა აცნობონ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს. შეკრებებზე და მანიფესტაციების მსვლელობისას ისეთი ხასიათის მოწოდებები, რომლებიც ძირს უთხრიან ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას, დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, ან მიმართულია ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, რასობრივი შუღლის გაღრმავებისაკენ და სხვა.

წინასაარჩევნო სააგიტაციო მუშაობის მიმდინარეობისას, კანონით აკრძალულია საარჩევნო სუბიექტების, მათი წარმომადგენლების მიერ ამომრჩევლებზე ძალდატანება, ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტისათვის ხმის მიცემაზე, აგრეთვე

ამომრჩევლებს პირადად, ან ვინმეს მეშვეობით გადასცენ ფული, მატერიალური ფასეულობანი, მიჰყიდონ საქონელი იაფად, დაინტერესონ ნებისმიერი უკანონო საშუალებებით, რაც ხელს შეუშლის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტს, სასამართლოს გატაწყვეტილებით რეგისტრაცია გაუუქმდება.

საარჩევნო კამპანიის ჩატარება კანონით იკრძალება: საქართველოს პარლამენტის შენობაში, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო და საქვეუწყებო დაწესებულებებში, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებში.

წინასაარჩევნო სააგიტაციო მუშაობის სწორად წარსამართავად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სააგიტაციო მასალებს, რომელსაც საოლქო საარჩევნო კომისიები შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად ამზადებენ კენჭისყრამდე 15 დღით ადრე, აგრეთვე უზრუნველყოფენ საინფორმაციო მასალის გამოცემასა და გავრცელებას. პარტიული სიების საარჩევნო ოლქში წარდგენილი კადიდატთა სიების, კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემებისა და საარჩევნო პროგრამების გავრცელება სავალდებულოა.

ბეჭდვით საინფორმაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებზე მხოლოდ მათი მესაკუთრეებისა და მფლობელების თანხმობით. კანონით იკრძალება საარჩევნო პლაკატების გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე, აგრეთვე იმ არქიტექტუტრული ტიპის ნაგებობებზე, რომელთაც ქვეყნის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ (ასეთი ჩამონათვალი ქვეყნდება კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50 დღისა). ბეჭდვით სააგიტაციო მასალებზე, მინიშნებული უნდა იყოს დამამზადებელისა და დამკვეთის ვინაობა, მისამართი, ტირაჟი, გამოშვების თარიღი. არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო სუბიექტები ვალდებული არიან უზრუნველყონ სააგიტაციო მასალების ჩამოხსნა.

წინასაარჩევნო სააგიტაციო კამპანიისათვის დაუშვებელია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მატერიალური-ტექნიკური რესურსების გამოყენება. კანონი არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს,

რომლებსაც სახელმწიფო, ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში უკავიათ თანამდებობები, უფლება არა აქვთ წინასაარჩევნო პერიოდში გამოიყენონ თავისი თანამდებობები, ან სამსახურეობრივი მდგომარეობა, რომელიმე პარტიის (საარჩევნო ბლოკის), კანდიდატის მხარდასაჭერად, ან საწინააღმდეგოდ.

რეგისტრირებულ კანდიდატს, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების წარმომადგენელია, უფლება-მოსილია წინასაარჩევნო სააგიტაციო მუშაობა გასწიოს სამსახურეობრივი მოვალეობისაგან თავისუფალ დროს. ეს წესი არ მოქმედებს როცა რეგისტრირებული კანდიდატი იყენებს წინასაარჩევნო აგიტაციისათვის სახელმწიფო და ადგილობრივი ტელერადიოკომპანიების მიერ გამოყოფილ უფასო საეთერო დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას რეგისტრაცია გაუუქმდება.

სარჩელი წინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევის შესახებ წარედგინება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 3 დღის ვადაში.

განსაკუთრებული ნაწილი

თავი მერვე:

საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი და პირობები

მმართველობის რესპუბლიკური ფორმის ქვეყნებში სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოთა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია არჩეულ პრეზიდენტს, ე.ი. პრეზიდენტის არჩევის წესი გამომდინარეობს ზოგადი წესიდან, რომლის შესაბამისად, საპრეზიდენტო და შერეული სახის რესპუბლიკაში პრეზიდენტის არჩევა ხდება პირდაპირი არჩევნების გზით. თუმცა ზოგიერთი საზღვარგარეთის ქვეყნის კონსტიტუცია და საარჩევნო კანონმდებლობა იცნობს პრეზიდენტის არჩევის არაპირდაპირ, ანუ ირიბ გზას, ანუ როცა ამომრჩევლები ირჩევენ ამომრჩეველთა კოლეგიას, ხოლო ეს უკანასკნელები ირჩევენ პრეზიდენტს (აშშ).

რაც შეეხება საპარლამენტო რესპუბლიკებს, აქ პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს უშუალოდ ან პარლამენტი

მონაწილეობს უფრო ფართო საარჩევნო კოლეგიაში. მაგ., გერმანიის ძირითადი კანონის 54-ე მუხლის მიხედვით, გერმანიის „ფედერალური პრეზიდენტი კამათის გარეშე აირჩევა ფედერალური კრების მიერ, პრეზიდენტად შეიძლება აირჩიონ ნებისმიერი გერმანელი

საქართველოს კონსტიტუციის 70 მუხლის საფუძველზე საქართველოს საარჩევნო კანონის 78 მუხლის თანახმად „საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პრიდაპირი საარჩევნო გზით, ფარული კენჭისყრით, საქართველოს მოქალაქეების მიერ 5 წლის ვადით".

საქართველოს კონსტიტუცია და საარჩევნო კანონმდებლობა პრეზიდენტის არჩევის შესახებ გამოყოფს იმ ძირითად მოთხოვნებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეზიდენტობის კანდიდატად წარმოდგენილი პირი.

საქართველოს პრეზიდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ნორმების ანალიზისას ვრწმუნდებით, რომ საპრეზიდენტო რესპუბლიკა არ არის პრეზიდენტისათვის ე.წ. „მუდმივი", და სულაც არ ქმნის საშიშროებას, რომ მის მიერ უზურპირებული იქნება აღმასრულებელი ხელისუფლება. ამის

გარანტიებს გვაძლევს კონსტიტუციური დებულებები, რომლებიც ხელს უშლიან პრეზიდენტს ავტორიტეტულ ფიგურად გადაქცევაში. ეს გარანტიებია: პრეზიდენტის უფლებამოსილების 5 წლიანი ვადა და ერთი და იგივე პიროვნება შეიძლება პრეზიდენტად აირჩეს მხოლოდ ორჯერ, პრეზიდენტის არჩევის საყოველთაობის და პირდაპირობის წესით არჩევის პრინციპი: ალტერნატიული კანდიდატების დასახელების უფლება პრეზიდენტობის კანდიდატად, პრეზიდენტის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ან კონსტიტუციური ნორმების დარღვევისას მისი თანამდებობიდან გადაყენება იმპიჩმენტის წესით.

საქართველოს პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს მეთაური საქართველოს წარმოადგენს საშინაო და საგარეო ურთიერთობებში მისი, როგორც სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილება მოცემულია კონსტიტუციის 73-ე მუხლში.

საქართველოს კონსტიტუციამ და საარჩევნო კანონმდებლობამ განსაზღვრა ის მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება საქართველოს პრეზიდენტების კანდიდატს. ეს მოთხოვნებია:

ასაკობრივი ცენზი

საქართველოს კონსტიტუციის 70-ე და საარჩევნო კანონის 80-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან. საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობებთან შედარებით ეს საკმაოდ დაბალი ასაკობრივი ზღვარია. თუმცა ბევრი ქვეყნის კონსტიტუცია საერთოდ არ მიუთითებს ასაკობრივ ზღვარზე და პრეზიდენტობის კანდიდატად არჩევნებში მონაწილეობის უფლებას აძლევს ქვეყნის პასიური საარჩევნო უფლების მქონე ნებისმიერ მოქალაქეს; ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების ძირითად კანონში იშვიათადაა მითითებული ზედა ასაკობრივი ზღვარი. საქართველოში ადრე მოქმედი კონსტიტუციით დაწესებული იყო ზედა ასაკობრივი ზღვარი 65 წელი, რაც 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციამ არ გაიზიარა.

მოქალაქეობის და ბინადრობის ცენზი

საქართველოს კონსტიტუციის და საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით საქართველოს

პრეზიდენტად არჩევისათვის დადგენილია ე.წ. „არათანაბარი მოქალაქეობის პრინციპი“, ანუ „საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღისათვის ცხოვრობს საქართველოში“, გამომდინარე აქედან საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად კენჭს ვერ იყრის პირი, რომელსაც მოქალაქეობა მიღებული აქვს ნატურალიზაციის გზით.

ბინადრობის ცენზთან დაკავშირებით საარჩევნო კანონმდებლობაში შეაქვს ცვლილებები, კერძოდ:

საქართველოს საარჩევნო კოდექსი მ. 80	2. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი არ შეიძლება იყოს მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე.

საარჩევნო კანონში აღნიშნული მუხლის შემოსვლა დროული და საჭირო იყო. რადგან საქართველოდან „გაქცეული“, ყოფილი სახელმწიფო მოხელეები, რომლებმაც ბევრი ზიანი მიაყენეს ქვეყანას თავიანთი აშკარა ანტიდემოკრატიული საქმიანობით და მოქმედებებით, და

საქართველოს მთავრობა მრავალი წელია ამაოდ ითხოვს მათ გადმოცემას, აცხადებენ პრეტენზიას საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატობაზე და „მავნე პოლიტიკურ კამპანიაში“ აბამენ საქართველოში დღეს არსებულ დესტრუქციულ ძალებს.

თანამდებობის შეუთავსებლობა

საქართველოს კონსტიტუციას აკრძალვითი ნორმის სახით შემოაქვს დებულება, რომლის მიხედვითაც „საქართველოს პრეზიდენტს არა აქვს უფლება ეკავოს სხვა თანამდებობა, ეწეოდეს სახელმწიფო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს და სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისთვის. გარდა ზემოთ აღნიშნული აკრძალვითი მოთხოვნებისა, საქართველოს კონსტიტუცია და საარჩევნო კანონი სხვა შეზღუდვებს პრეზიდენტობის კანდიდატისა და პრეზიდენტისათვის არ ითვალისწინებს, რაზედაც უშუალოდ მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 70 მუხლი. მაგრამ სასურველი იქნებოდა, როგორც გარეგნულად შენიშნავს პ. ცნობილაძე, კონსტიტუციაში მინიშნებული უნდა იყოს ისეთი აუცილებელი კომპონენტები, როგორიცაა სახელმწიფო ენის ცოდნა და რა თქმა უნდა ეროვნულობა.

თავი მეცხრე:

პრეზიდენტი არჩევის წესი

საქართველოს კონსტიტუციური დებულებები და საარჩევნო კანონი „პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ დეტალურად განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესსა და პირობებს, აგრეთვე არჩევნების დანიშვნის წესს, პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენის პროცედურებს, საარჩევნო კამპანიის ფინანსირებას, საარჩევნო კომისიის მუშაობას, კენჭისყრის წესსა და შედეგების შეჯამებას და სხვა.

საქართველოს პრეზიდენტის, ისევე როგორც პარლამენტის არჩევა ხდება ერთი და იგივე საარჩევნო კორპუსის მიერ. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს აქტიური საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეებს 18 წლის ასაკიდან.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას (პარტიას) ან ამომრჩეველთა 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს (თითოეულს მხოლოდ 1 კანდიდატის წარდგენის უფლება

აქვს). ამასთანავე პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენა უნდა დადასტურდეს არანაკლებ 50000 ამომრჩევლის ხელმოწერით. საინიციატივო ჯგუფი ან პარტია ხელმოწერების შეგროვების უფლებას იღებენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც კენჭისყრამდე 50 დღით ადრე განცხადებით მიმართავენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. განცხადებაში კონკრეტულად უნდა მიეთითოს პრეზიდენტობის კანდიდატის მონაცემები და წარმომდგენი სუბიექტების რეკვიზიტები. ასევე განცხადებას თან უნდა დაერთოს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენილი პირის წერილობითი თანხმობა, ანუ თანხმობა მონაწილეობა მიიღოს საპრეზიდენტო არჩევნებში.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს რეგისტრაციაში ატარებს ცენტრალური საარჩევნო კომისია კენჭისყრამდე არა უგვიანეს 30 დღისა, ხოლო რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს აძლევს შესამაბის მოწმობას. ცენტრალური საარჩევნო კომისია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით რეგისტრაციიდან არა უგვიანეს მე-6 დღისა აქვეყნებს ცნობას

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ მის შესახებ მონაცემების მითითებით.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს კენჭისყრამდე ნებისმიერ დროს შეუძლია მოხსნას თავისი კანდიდატურა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინაშე ოფიციალური განცხადების წარდგენით, რასაც ცენტრალური საარჩევნო კომისია ადასტურებს განკარგულებით.

თავი მეათე:

პრეზიდენტობი კანდიდატების და მათი წარმომადგენლების გარანტიები. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური.

რიგგარეშე არჩევნები

პრეზიდენტობის კანდიდატები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის მომენტიდან თანასწორობით სარგებლობენ პრიორიტეტულ საწყისებზე მონაწილეობა მიიღონ წინასაარჩევნო კამპანიაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საქართველოს მთელს ტერიტორიაზე. პრეზიდენტობის კანდიდატები და მათი წარმომადგენლები გამოდიან ტელევიზიით და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, აცნობენ საქართველოს მოსახლეობას პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო პლატფორმას, ხვდებიან ამომრჩევლებს საწარმოო-დაწესებულებებში და სხვა.

საარჩევნო კანონი ითვალისწინებს პრეზიდენტობის კანდიდატის ხელშეუხებლობის იმუნიტეტს, კერძოდ პრეზიდენტობის კანდიდატი არ შეიძლება მიეცეს სისხლის

სამართლის პასუხისგებაში, დააკავონ, დააპატიმრონ, ან გაჩხრიკონ, თუ პროკურატურის ორგანოების შეტტობინებაზე არ იქნება ცენტრალური საარჩევნო კომპისიის თანხმობა. გამონაკლისს წარმოადგენს დანაშაულის წასწრების შემთხვევა, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ცენტრალური საარჩევნო კომისიას. ამ უკანასკნელის მიერ თანხმობის გაუცემლობის შემთხვევაში, დაკავებული ან დაპატიმრებული პრეზიდენტობის კანდიდატი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი მ. 79	1. საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნების პირველი ტური ეწყობა არჩევნების ჩატარებიდან მე-5 წლის აპრილის მე-2 კვირადღეს. 2. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები არ ტარდება

საქართველოს კონსტიტუციიის მე-80 მუხლის და საარჩევნო კანონის 86,87,88 მუხლების თანახმად:

არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა, არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნების მონაწილეთა ნახევარზე მეტმა, ხოლო თუ არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა და ვერც ერთმა

კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ინიშნება არჩევნების მეორე ტური.

არჩევნების მეორე ტური ტარდება, თუ საქართველოს პრეზიდენტობის ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტი. არჩევნების მეორე ტურს ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია პირველი ტურიდან 2 კვირის თავზე.

მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში უკეთესი შედეგის მქონე ორ კანდიდატს. მეორე ტური ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 1/3 მაინც. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს, ოღონდ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთი მეხუთედისა. მეორე ტურში კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში ხმათა მეტი რაოდენობა მიიღო.

თუ არჩევნები ჩატარებულად არ გამოცხადდა, ან ჩატარდა, მაგრამ პირველ ტურში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი კანდიდატი და მან ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო, ან მეორე ტურში ვერ იქნა არჩეული საქართველოს

პრეზიდენტი – ტარდება ხელახალი არჩევნები. ხელახალი არჩევნები იმართება საერთო არჩევნებიდან (პირველი ტურიდან) 2 თვის ვადაში.

ხელახალ არჩევნებს პარლამენტი ნიშნავს.

საქართველოს კონსტიტუცია და საარჩევნო კანონი ითვალისწინებს აგრეთვე პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში (პრეზიდენტის იმპიჩმენტი სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენის ან კონსტიტუციური ნორმების დარღვევის შემთხვევაში, გადადგომისას, გარდაცვალებისას), საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებს მისი უფლებამოსილების შეწყვეტიდან არა უგვიანეს 45 დღისა და არჩევნების თარიღს ნიშნავს პარლამენტი უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან არა უგვიანეს 72 საათისა.

რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების წესი ისეთივეა როგორც საქართველოს პრეზიდენტის პირველი ტურის არჩევნებისა. მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით პარტიამ, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა განცხადებით უნდა მიმართონ ცენტრალური საარჩევნო კომისიას არჩევნებამდე არა

უგვიანეს მე-40 დღისა, პრეზიდენტობის კანდიდატის სარეგისტრაციოდ – რიგგარეშე არჩევნებამდე არა უგვიანეს 30-ე დღისა უნდა წარადგინონ ცენტრალური საარჩევნო კომისიაში 50000 ამომრჩევლის სია. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს ცენტრალური საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში ატარებს რიგგარეშე არჩევნებამდე არა უგვიანეს 25-ე დღისა.

საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით. საგანგებო ან საომარი სიტუაციისას არჩევნები არ ტარდება და კონსტიტუცია ითვალისწინებს აგრეთვე იმასაც, რომ ერთი და იგივე პირს არ შეიძლება ეკავოს პრეზიდენტის თანამდებობა კონსტიტუციაში აღნიშნულ ვადაზე მეტ ხანს, რათა ხელი არ შეეწყოს მმართველი პირების შეუცვლელობას და პოლიტიკურად გაბატონებული კლანების ჩამოყალიბებას; ხელი შეეწყოს ქვეყანაში ახალ, პროგრესულად მოაზროვნე პოლიტიკური მოღვაწეების დაწინაურებას ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ხოლო იმ პირს, რომელმაც გაამართლა პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის პირველი 5 წელი, ხელახლა წამოაყენოს თავისი კანდიდატურა ახალი ვადით, მორიგი არჩევნების შემდგომ.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევის შემდეგ ხდება მისი ინაუგურაცია, ანუ პრეზიდენტის პოსტის დაკავება, რომელიც იმართება პრეზიდენტის არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს. თანამდებობის დაკავების წინ საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტი წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას და დებს ფიცს; ფიცის ტექსტი გათვალისწინებულია კონსტიტუციის 71-ე მუხლით: „მე საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობასა, ერთიანობას და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის“.

თავი მეთერთმეტე:

საქართველოს პარლამენტის არჩევნები
პარლამენტის შექმნის საყოველთაო
საფუძველი

პარლამენტი (ლათინური სიტყვიდან „პარლე“ ილაპარაკო) მოსახლეობის მიერ არჩეული (ცალკეულ ქვეყნებში დანიშნულიც) სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოა. პარლამენტარიზმი კი – ეს ქვეყნის საზოგადოების, სახელმწიფოს ხელმძღვანელობის ის განსაკუთრებული სისტემაა, რომელიც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების დანაწილებით ხასიათდება.

საქართველოს კონსტიტუცია და შესაბამისად საქართველოს საარჩევნო კოდექსი განსაზღვრავს პარლამენტის ფორმირების ზოგად წესს. მანამ სანამ დეტალურად შევეხებოდეთ საქართველოში საპარლამენტო არჩევნებს და მის თავისებურებას, მოკლედ შევჩერდეთ პარლამენტის ფორმირების ტრადიციაზე სხვადასხვა ქვეყნებში, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის სტრუქტურასთან.

მეტი წილი სახელმწიფოების პარლამენტებისათვის ტიპიურია ბიკამერალიზმი ანუ ორპალატიანობა.

ზედა პალატის მიერ პოლიტიკური ვითარების ნიველირების ფუნქცია ძირითადად მათი ფორმირების წესი და აგრეთვე ზოგიერთი სხვა ნორმატით არის განპირობებული. პირველ რიგში ამ მიზანს ემსახურება ზედა პალატების ფორმირების შერეული მექანიზმი – წარმომადგენლობისა თუ სახელმწიფოს მეთაურის მიერ პალატის წევრთა დანიშვნის ელემენტების გამოყენებით. მნიშვნელოვანია, რომ ზედა პალატის დეპუტატების უფლებამოსილების ვადა გაცილებით უფრო ხანგრძლივია ქვედა პალატაზე. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ზედა პალატის ფორმირების არაპირდაპირი არჩევნების გზით ფორმირება (აშშ), დანიშვნით (გერმანია), ტრადიციული ფეოდალური ხერხი (დიდი ბრიტანეთი). ზოგიერთ ქვეყანაში კი არსებობს (ბელგია, ირლანდია) ზედა პალატის ფორმირების შერეული წესი, რომელიც არჩევითობის, დანიშვნისა და მემკვდრეობითობის ელემენტებს მოიცავს. ქვედა პალატის დეპუტატები მოსახლეობის მიერ პირდაპირ აირჩევიან. ზედა პალატის ფორმირება სხვადასხვა მეთოდებით ხორციელდება.

თავი მეთორმეტე:

საქართველოს პარლამენტის ფორმირების წესი

საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნა

საქართველოს პარლამენტის არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღისა. კონსტიტუციის 50-ე მუხლისა და საქართველოს საარჩევნო კანონის 90-ე მუხლის მიხედვით, „საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს მე-15 დღისა“. კანონი ითვალისწინებს იმ შემთხვევასაც, როცა არჩევნების ვადა შესაძლოა დაემთხვეს საგანგებო ან საომარ სიტუაციას. ამ შემთხვევაში არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან არაუგვიანეს 60 დღისა. არჩევნების თარიღის დანიშვნა ხდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ.

საქართველოს პარლამენტის ფორმირება ხდება კონსტიტუციის შესაბამისად საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე. ვიდრე არ განხორციელდება კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული დებულება სენატის ფორმირებასთან დაკავშირებით.

საქართველოს პარლამენტი აირჩევა 4 წლის ვადით.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად პარლამენტის წევრად აირჩევა (პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობს) საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც აკმაყოფილებს საარჩევნო მოთხოვნებს. უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსათვის წევრობის 25 წლიანი ცენზი ყველაზე დაბალია. სხვა სახელმწიფო ორგანოთა თანამდებობის პირისათვის დაწესებულ ასაკობრივ ზღვართა შორის. საარჩევნო კანონმა დამატებით დააწესა ბინადრობის ცენზიც. კერძოდ, კანონის 92-ე მუხლის 1,2 , პუნქტებში აღნიშნულია, , რომ საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი საქართველოში მუდმივად უნდა ცხოვრობდეს არანაკლებ 10 წელი და „საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება

აირჩეს მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე".

აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები 18 წლის ასაკიდან. ამ უფლებით შეზღუდულნი არიან ქმედუუნაროდ აღიარებულნი და პირები, რომლებიც სასჯელს იხდიან.

პარლამენტის ფორმირების შერეული წესი

კონსტიტუციის 49-ე მუხლის 1 პუნქტის მინიშნება იმის შესახებ, რომ „პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 150 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 85 პარლამენტის წევრისაგან – ნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციამ აღიარა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფორმირების შერეული წესი".

კონსტიტუციის 50-ე მუხლის მიხედვით, პროპორციული სისტემით არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ შესაბამის საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ პარტიას, საარჩევნო ბლოკს და მაჟორიტარ კანდიდატს. პარტია ვალდებულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიას კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50 დღისა წარუდგინოს

არჩევნებში პარტიის მონაწილეობის ინიციატივის დამადასტურებელი სულ ცოტა 50000 მხარდამჭერი ამომრჩეველის სია, ან რომელსაც თავისი წარმომადგენელი ჰყავს პარლამენტში.

მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში მონაწილეობის უფლება გააჩნიათ წარდგენის უფლების მქონე პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ წარმოდგენილ კანდიდატს, აგრეთვე პირს, რომლის ინიციატივა დადასტურებულია 1000 ხელმოწერით მაინც, ან რომელიც ბოლო არჩევნებისას იყო პარლამენტის წევრი.

საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან

ორგანული კანონი ითვალისწინებს შესაბამის საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის მიზნით განცხადებით მიმართვამდე და პარლამენტის წევრობის კანდიდატისაგან დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლება. კანონის 94 მუხლში ჩამოთვლილია კონკრეტულად ის პირები, რომლებიც ასეთ გადადგომას ექვემდებარებიან. ესენია: საქართველოს პრეზიდენტი, სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები,

საქართველოს უშიშროების წევრები, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულები და მათი მოადგილეები, რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების, საქართველოს დაზვერვისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოფიცრები, მოსამართლეები, სახალხო დამცველი და მისი მოადგილე, პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრები (რომლებიც არ არიან პარლამენტის წევრები), საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეები, აუდიტორული საქმიანობის წევრები, პროკურორები, მათი მოადგილეები, თანაშემწეები, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების, ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და

სხვა მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრები, თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარე და მოადგილეები.

თავი მეცამეტე:

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია

საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად საარჩევნო სუბიექტები განცხადებით მიმართავენ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელიც განცხადების მიღებისთანავე პარტიის წარმომადგენელს აძლევს მხარდამჭერთა სიის ნიმუშს.

პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მსურველი პარტია ვალდებულია წარმოადგინოს კენჭისყრამდე 50 დღით ადრე მხარდაჭერთა სიები 50000 მხარდამჭერი ამომრჩევლისა (გარდა ამომრჩევლისა, რომელსაც წარმომადგენელი ჰყავს არჩევნების დღისათვის პარლამენტში). შესაბამისი პარტიის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილ განცხადებასთან ერთად საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარედგინება პარტიის რეგისტრაციის მოწმობისა და

წესდების ნოტარიალურად დამოწმებული ასლები. ამასთან ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ყოველი პარტია წარუდგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემულ რეგისტრაციის მოწმობას

განცხადებაში კანონის 95 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით მითითებული უნდა იყოს: პარტიის სახელწოდება (აბრევიატურა), რომლითაც იგი მონაწილეობს არჩევნებში; ხელმძღვანელი პიროვნების ვინაობა, წარმომადგენლის სახელი, გვარი, რეგისტრაციის ადგილი, ტელეფონის ნომერი და მისი უფლებამოსილების ფარგლები; რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობისას თითოეულის უფლებამოსილების ფარგლები.

ცენტრალური საარჩევნო კომისია რწმუნებულს გადასცემს ცნობას განცხადების მიღების შესახებ.

ზემოთ აღნიშნული მოთხოვნებების შესრულებიდან 6 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წყდება საკითხი პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის შესახებ და რწმუნებულს აძლევს სათანადო ცნობას. დაუშვებელია ისეთი პარტიის რეგისტრაციაში გატარება, რომლის საქმიანობაც შეჩერებულია კანონით დადგენილი წესით.

კანონში ჩამოყალიბებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიასა და პარტიას შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტის მექანიზმი; თუკი ცენტრალური საარჩევნო კომისიას პარტიის რეგისტრაციაში გატარების თაობაზე გამოაქვს უარყოფითი გადაწყვეტილება, ასეთ შემთხვევაში უარის მიღებიდან 3 დღის განმავლობაში პარტიას უფლება აქვს გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში; რომელსაც თავის მხრივ, გადაწყვეტილება გამოაქვს საჩივრის შეტანიდან 3 დღის ვადაში. მისი გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ცხადია, არჩევნების წინ მოსახლეობა უნდა ფლობდეს ინფორმაციას, თუ კონკრეტულად რომელი პოლიტიკური პარტიები გატარდა რეგისტრაციაში, თუ ვინ მოიპოვა არჩევნებში მონაწილეობის უფლება და ვის ეთქვა უარი მასზე. ამიტომ რეგისტრაციის ვადის დამთავრებიდან 2 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისიამ ოფიციალურ პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით უნდა გამოაქვეყნოს როგორც მის მიერ რეგისტრირებულ პარტიათა სია განცხადებათა წარდგენის სიის მიხედვით, ისე

საარარეგისტრირებულ პარტიათა სია და რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმის მიზეზი.

ორგანული კანონი ითვალისწინებს არა მხოლოდ ცალკეულ პარტიათა პრეროგატივას საარჩევნო რეგისტრაციაზე, არამედ ამ პარტიათა გაერთიანებას ბლოკებად და საარჩევნო ბლოკების სახით რეგისტრირებას საარჩევნო სუბიექტებად.

იმ პარტიებს, რომლებმაც წარმოადგინეს მხარდამჭერთა სიები, უფლება აქვთ კენჭისყრამდე არა უგვიანეს 45 დღისა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიმართონ საარჩევნო ბლოკში გაერთიანების ერთობლივი განცხადებით. განცხადებას ხელს უნდა აწერდეს ბლოკში შემავალი ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირი. განცხადებაში მიეთითება: ბლოკის სახელწოდება (აბრევიატურა), რომლითაც მონაწილეობს არჩევნებში; ხელმძღვანელი პირის (პირების) ვინაობა; წარმომადგენლის სახელი, გვარი, რეგისტრაციის ადგილი; ტელეფონის ნომერი და მისი უფლებამოსილების ფარგლები; რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობისას — საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ ურთიერთობებში თითოეულის უფლებამოსილების ფარგლები. განცხადებას თან

უნდა ერთვოდეს საარჩევნო ბლოკში შემავალი ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი საარჩევნო ბლოკის წესდება. წესდებაში ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული არჩევნებთან დაკავშირებული ბლოკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიღების წესი, პარლამენტის წევრობის კანდიდატთა წარდგენისა და წარდგენის შესახებ გადაწყვეტილებების გაუქმების წესი, პარტიული სიების შედგენის წესი, ბლოკიდან პარტიის გასვლის წესი, ბლოკში ახალი წევრის მიღების წესი, ბლოკიდან პარტიის გარიცხვის წესი, პირი (პირები), რომელსაც აქვს ბლოკის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლება; საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნისას ბლოკში შემავალი პარტიის ბეჭდის გამოყენების წესი, საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველისა და ბუღალტერის დანიშვნის წესი.

მას შემდეგ, რაც პარტია გაერთიანდება რომელიმე საარჩევნო ბლოკში, მას აღარ გააჩნია უფლება, დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, ან ერთსა და იმავე დროს გაერთიანდეს სხვა საარჩევნო ბლოკში.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია კენჭისყრამდე არა უგვიანეს 40 დღისა იღებს

;გადაწყვეტილებას პარტიების ან საარჩევნო ბლოკების
(რეგისტრაციის თაობაზე.

თუ ცენტრალური საარჩევნო კომისია ბლოკს უარს
განუცხადებს რეგისტრაციაზე, მისი ხელმძღვანელი
უფლებამოსილია უარის თქმის შესახებ განკარგულების
მიღების მომდევნო დღეს მიიღოს აღნიშნული განკარგულების
ასლი, სადაც გაცხადებულია უარის თქმის მიზეზი.

იმ შემთხვევაში, თუ ბლოკის რეგისტრაციის შემდეგ
ბლოკიდან გავა პარტიები და მასში მხოლოდ ერთი პარტია
დარჩება, ამ შემთხვევაში ცენტრალური საარჩევნო კომისია
აუქმებს ბლოკის რეგისტრაციას.

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციაში გატარება მათ
აძლევს შესაძლებლობას თავიანთი განცხადებების
საფუძველზე მონაწილეობა მიიღონ ყველა დონის არჩევნებში,
რომლებიც გაიმართება მომდევნო საპარლამენტო
არჩევნებამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ როგორც მიღებულია
ბლოკებად ერთიანდება ძირითადად ის პოლიტიკური
პარტიები, რომლებსაც გააჩნიათ თითქმის საერთო
საპროგრამო ინტერესები და ამოცანები; ფაქტობრივად ხდება

ასეთი პარტიების წინასაარჩევნო პოლიტიკური ალიანსი, რაც მიზნად ისახავს ამომრჩეველთა მიერ მათთვის მიცემულ ხმათა მაქსიმალურ გაერთიანებას და არჩევნების შედეგების მიხედვით პარლამენტში მანდატების უმრავლესობის მოპოვებას.

ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებამდე 37 დღით ადრე აქვეყნებს პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების სიას განცხადების წარდგენის რიგის მიხედვით, აგრეთვე საარჩევნო სუბიექტების იმ კანდიდატთა სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაში გატარებაზე და უარის თქმის მიზეზებს.

პარლამენტის წევრობის კანდიდატთა წარდგენის წესი, მათი რეგისტრაცია და საარჩევნო ბიულეტენები.

საარჩევნო პროცესის ამ სტადიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან პარლამენტის წევრობის კანდიდატთა წარდგენით გარკვეულწილად განისაზღვრება კიდეც მომავალი წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობა, მიუხედავად იმისა, რამდენი კანდიდატია წარმოდგენილი ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში.

კანდიდატები, რამდენიც არ უნდა იყვნენ ისინი, წარმოადგენენ იმ ადამიანებს, რომელთა შემადგენლობიდან უნდა ჩამოყალიბდეს ახალი წარმომადგენლობითი ორგანოები. პარლამენტის წევრობის კანდიდატთა წარდგენის პროცედურა შეიძლება დავყოთ 2 ნაწილად: 1) პარტიული სიების წარდგენა და 2) საარჩევნო ოლქში კანდიდატთა წარდგენა.

ორგანული კანონის 96 მუხლის თანახმად, პარტიული სიების წარდგენის უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს. ისინი უფლებამოსილნი არიან თითოეულმა წარადგინოს თითო პარტიული სია, ხოლო წარდგენილ სიაში პარლამენტის წევრების კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 235-ს. ამასთან ერთად, პარტიულ სიას თან უნდა ერთვოდეს არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერთა არანაკლებ 50000 პირის ხელმოწერა.

პარტიული სიების შედგენის წესს განსაზღვრავენ პარტიები და საარჩევნო ბლოკები და სია შედგენილ უნდა იყოს იმის გათვალისწინებით, რომ არჩევნების შედეგად პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატები

ნაწილდება სიის დასაწყისიდან რიგის მიხედვით. სიაში მითითებული უნდა იყოს მონაცემები ყოველ კანდიდატზე და იგი დამოწმებული უნდა იყოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის ხელმოწერით უფლებამოსილი პირის (პირების) მიერ.

პარტიული სია ცენტრალური საარჩევნო კომისიას წარედგინება კენჭისყრამდე არაუგვიანეს 30 დღისა.

პარტიული სიების წარდგენა

საარჩევნო ოლქში პარლამენტის კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ: პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს.

საარჩევნო კანონი გამორიცხავს პარტიულ სიაში იმ პირთა შეყვანას, რომლებიც იმავდროულად არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიის წევრები არიან.

ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი უფლებამოსილია ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში წარადგინოს პარლამენტის წევრობის ერთი კანდიდატი.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი	4. ამომრჩეველთა 5-კაციანმა საინიციატივო ჯგუფმა საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენისათვის კენჭისყრამდე

მ. 97	არა უადრეს 40 და არა უგვიანეს 30 დღისა განცხადებით უნდა მიმართონ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას

განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს კანონის 97 მუხლის 6 პუნქტში მითითებული მოთხოვნები. მხარდამჭერი ამომრჩევლების ხელმოწერათა შევსებული დანომრილი ბლანკები ამომრჩეველთა ჯგუფის განცხადებასთან ერთად წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას. აღნიშნულ განცხადებას ხელს აწერს საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრი.

კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იქნეს ამომრჩეველთა არა ნაკლებ 1000 ხელმოწერით, გარდა ბოლო საპარლამენტო არჩევნებში არჩეული პარლამენტის წევრისა.

პარტიული სიების და პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის საკითხს განიხილავს და გადაწყვეტილებას ღებულობს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

საბუთების მიღებიდან 5 დღის ვადაში, კენჭისყრამდე არა უგვიანეს 25 დღისა ცენტრალური საარჩევნო კომისია და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ამოწმებენ საბუთებს და წყვეტენ საკითხს პარტიული სიებისა და საინიციატივო

ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ.

ორგანული კანონის მიხედვით პარლამენტის წევრობის კანდიდატს რეგისტრაციაში არ გაატარებენ, ხოლო რეგისტრირებულ კანდიდატს მოხსნიან თუ საარჩევნო კომისიისთვის წარდგენილი დოკუმენტები კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს არ პასუხობენ: კერძოდ, ერთი და იგივე კანდიდატი შეყვანილია რამდენიმე პარტიულ სიაში და თითოეულზე არსებობს კანდიდატის თანხმობა, კანდიდატი არის სხვა პარტიის, ბლოკში შემავალი პარტიის წევრი და სხვა. თუ კენჭისყრამდე არა უგვიანეს 2 დღისა პარტიულ სიაში კანდიდატთა რაოდენობა კანონით დადგენილ რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება პარტიისა და პარტიული სიის რეგისტრაცია გაუქმდება.

საარჩევნო სუბიექტების რიგითობის განსაზღვრა.

კანონი განსაზღვრავს საარჩევნო სუბიექტების რიგითობის საკითხს, რომელიც დგინდება კენჭისყრამდე 15 დღით ადრე.

კანონის 99 მუხლის მიხედვით, არჩევნებში მონაწილე პარტიების საარჩევნო ბლოკების რიგითობა განისაზღვრება ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკების შედეგების შესაბამისი თანმიმდევრობით. ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო ბლოკი არჩევნებში მონაწილეობას არ ღებულობს, მისი ნომრით მონაწილეობას მიიღებს თანმიმდევრულად საარჩევნო ბლოკის სიაში დასახელებული პარტიები. თუ საარჩევნო ბლოკში შედიან პარტიები, რომლებიც ბოლო არჩევნებში ცალცალკე მონაწილეობდნენ, საარჩევნო ბლოკის წესდებაში უნდა მიუთითონ ბლოკში შემავალი რომელი პარტიის უფლებით ისარგებლებენ რიგითი ნომრის მიკუთვნებისას. ამ შემთხვევაში რიგით მომდევნო პარტიები, საარჩევნო ბლოკები შესაბამისად გადაინაცვლებენ წინ.

ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ კანდიდატს ენიჭება იგივე რიგითი ნომერი, რაც მის წარმდგენ პარტიას, საარჩევნო ბლოკს აქვს მინიჭებული, ხოლო დანარჩენ კანდიდატთა რიგითობა დგინდება წილისყრით.

რეგისტრირებულ პარტიულ სიებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით აქვეყნებს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილ კანდიდატთა იმ მონაცემებს, რომლებიც შეიტანება საარჩევნო ბიულეტენში აქვეყნებენ საოლქო საარჩევნო კომისიები კენჭისყრამდე არა უგვიანეს 12 დღისა. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატები, აგრეთვე წარმდგენი პარტია, საარჩევნო ბლოკი უფლებამოსილნი არიან კენჭისყრამდე ნებისმიერ დროს უარი თქვან არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე, ან წარდგენილ კანდიდატზე; ამის შესახებ ისინი განცხადებით მიმართავენ ცენტრალური საარჩევნო კომისიას და ეს უკანასკნელი ამის შესახებ აცნობებს მოსახლეობას პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატს საკუთარი განცხადებისა და სათანადო მოწმობის წარდგენის საფუძველზე, წინასაარჩევნო კამპანიის ვადით მიეცემა უხელფასო შვებულება.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ საქართველოში არსებული შერეული საარჩევნო სისტემის პრინციპიდან გამომდინარე,

არჩევნებისათვის მზადდება ორი სხვადასხვა ფერის საარჩევნო ბიულეტენი: ერთში შეტანილია სიები პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სახელწოდებებით, მეორეში კი ოლქში წარდგენილი პარლამენტის წევრობის კანდიდატები.

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიათა და საარჩევნო ბლოკთა, პარლამენტის წევრობის კანდიდატთა საქმიანობის გარანტიები.

ცენტრალური საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის შემდეგ არჩევნებში მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს შეუძლია ჰყავდეს თითო რწმუნებული ყოველ საარჩევნო ოლქში. პარლამენტის წევრობის კანდიდატებს კი არა უმეტეს 10 ნდობით აღჭურვილი პირი.

საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატები არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე სარგებლობენ ხელშეუხებლობით, კერძოდ: არ შეიძლება მიეცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დააკავონ, დააპატიმრონ ან გაჩხრიკონ, თუ პროკურატურის ორგანოების შეტყობინებაზე არ იქნა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიას თანხმობა. გამონაკლისს წარმოადგენს დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რის შესახებაც

დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ცენტრალური საარჩევნო კომისიას. თუ ეს უკანასკნელი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული კანდიდატი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

რეგისტრაციის შემდეგ არჩევნების ჩატარების დღემდე პარტიებს, საარჩევნო ბლოკებსა და დეპუტატობის კანდიდატებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ წინასაარჩევნო კამპანიაში. ამ მიზნით შეუძლიათ ისარგებლონ უფასო საეთერო დროით (გარდა კომერციული ტელეარხებისა, სადაც დაწესდება ყველა კანდიდატისთვის ერთნაირი გადასახადი), რომელიც თანაბრადაა გადანაწილებული მათ შორის, ასევე დაამზადონ წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, წარწერები, ფურცლები, ფოტომასალები (პლაკატები).

არჩევნების დღისათვის წინასაარჩევნო აგიტაციის ჩატარება დაუშვებელია, გარდა ხმის მისაცემი შენობის გარეთ საკანონმდებლო ორგანოში; 7%-იანი ბარიერის დაწესება კი პარლამენტში მოხვედრის შანს უკარგავს პოლიტიკურად არამყარ პარტიებს.

რაც შეეხება არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებას პირველ ეტაპზე, მას ახდენს საუბნო საარჩევნო კომისია და შერეული სისტემით ჩატარებული არჩევნებისას (მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემა), არჩევნების შედეგები შეაქვს ოქმებში.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი მ. 10	2. პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი დგება პარტიული სიების მიხედვით, ხოლო მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების ოქმი ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატების მიხედვით.

საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმების 1-2 ეკზემპლიარი დაუყოვნებლივ იგზავნება საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელიც საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმების საფუძველზე აჯამებს კენჭისყრის შედეგებს და შეაქვს მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში.

იმ შემთხვევაში, თუ საოლქო საარჩევნო კომისიაში შესულია განცხადება კენჭისყრის ბათილად ცნობის ან გადამოწმების შესახებ, იგი განკარგულებით ხსნის შემოსულ პაკეტებს და ახდენს ხელახალ გადათვლას საარჩევნო ბიულეტენებისა (სპეციალური კონვერტებისა).

კენჭისყრის ჩატარებიდან 5 დღის განმავლობაში საოლქო საარჩევნო კომისია თავისი ოქმების თითი ცალს საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების თითო ცალთან ერთად გადასცემს ცენტრალური საარჩევნო კომისიას, თითო ცალს – საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს, ხოლო თითო ცალს თვითონ იტოვებს.

თავი მეთოთხმეტე:

საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების შეჯამება

სანამ განვიხილავდეთ პარლამენტის არჩევნების შედეგების შეჯამების პროცედურას, უნდა ავღნიშნოთ, რომ საქართველოში პროპორციული სისტემით არჩევნებისას სავალდებულოდ გამოცხადდა ამომრჩეველთა 7%-იანი ბარიერის გადალახვა. პ. ცნობილაძის აზრით ეს დასაშვებია და აკრძალულიც რადგან, „საქართველოში, სადაც ცხრა ათეულზე მეტი პოლიტიკური პარტიაა და არასერიოზულად ყოერს ამდენი პარტიის არსებობა, გამართლებულია ასეთი ბარიერის დაწესება, ვინაიდან იგი ხელს უწყობს სოლიდური, პოლიტიკურად ჩამოყალიბებული პარტიების არჩევას და მეტ-ნაკლებად გამორიცხავს ე.წ. „ათკაციან“ და „შემთხვევით“ პარტიათა მოხვედრას ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ მცირერიცხოვანი და მრავალრიცხოვანი პარტიები ლეგარული პოლიტიკური მოღვაწეობისათვის შესაბამის რეგისტრაციას

გადიან იუსტიციის სამინისტროში და პოლიტიკური ხელისუფლებისათვის იბრძვიან, გამოდიან მოსახლეობის წინაშე პროგრამით, რა ფასი უნდა ჰქონდეს მათ სააგიტაციო-პროპაგანდულ საქმიანობას მასებისათვის, თუ მათ პარლამენტში თუნდაც მინიმალური ადგილებიც არ ექნებათ. ამიტომ მიმაჩნია, რომ მცირერიცხოვან პარტიებსა უნდა ჰქონდეს თუნდაც 1 ადგილი გამოყოფილი პარლამენტში, მიუხედავად იმისა, რომ გაიმარჯვებენ თუ არა ისინი საპარლამენტო მარათონში.

არჩევნების შეჯამება ცენტრალურ, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიაში

ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე კენჭისყრის ჩატარებიდან არა უგვიანეს 10 დღისა იწვევს სხდომას და აჯამებს საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგებს და შეაქვს ოქმში.

ოქმის ერთი ცალი ინახება ცენტრალური საარჩევნო კომისიაში, მეორე ცალი გადაეცემა საქართველოს პარლამენტს, ხოლო კომისიის ბეჭდით დამოწმებული ასლები – საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს.

საქართველოს საარჩევნო კანონის 105 მუხლის მიხედვით პროპორციული სისტემით არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 1/3 მაინც, ხოლო ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 1/3-ისა.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი მ. 105	7. პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად ამ სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს 150-ზე და გაიყოს ასეთი პარტიების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობის ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას. 8. თუ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 150-ზე ნაკლები აღმოჩნდა, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი მიეკუთვნება იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც არჩევნებში ხმების მეტი რაოდენობა მიიღეს. 9. თუ ორი ან მეტი პარტიული სი მიერ მიღებული ხმების რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდა, მანდატი მიეკუთვნება იმ სიას, რომელმაც უფრო ადრე გაიარა

	რეგისტრაცია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი არჩეულია როგორც საარჩევნო ოლქიდან ისე პარტიული სიით, მაშინ იგი არჩეულად ითვლება საარჩევნო ოლქიდან, ამოიღება პარტიული სიიდან და სიის დასაწყისისკენ გადაინაცვლებს მისი მომდევნო კანდიდატი.

საარჩევნო კანონის მიხედვით პარტიული სიით არჩეულად ჩაითვლებიან პარლამენტის წევრობის ის კანდიდატები, რომელთა რიგითი ნომრებიც ამ სიაში ნაკლებია ან ტოლია სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობისა. ამ სიის მიხედვით არჩეულ პარლამენტის წევრთა რაოდენობა უცვლელი რჩება.

ხმების დათვლის პროცესში ერთერთი უმნიშვნელოვანესი პროცედურაა გამოუყენებელი და გაფუჭებული ბიულეტენების დათვლა, რადგან თუ ბიულეტენი კანონის მოთხოვნებით არ არის შედგენილი, იგი საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ ჩაითვლება ბათილად. ბათილად კი ითვლება ისეთი ბიულეტენი, რომლის მიხედვითაც შეუძლებელია დადგინდეს რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.

ბათილად ცნობილი შეიძლება იქნეს არა მხოლოდ ბიულეტენი, არამედ საარჩევნო უბნებში ჩატარებული არჩევნებიც. ამ შემთხვევაში ცენტრალური საარჩევნო კომისია ნიშნავს ხელახალ კენჭისყრას, რომელიც უნდა ჩატარდეს 2 კვირის ვადაში.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი მ. 105	18. ხელახალ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, რომლებმაც საერთო არჩევნებში მიიღეს ამომრჩეველთა ხმების 2%. ხელახალ კენჭისყრაში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების პარტიული სიები უცვლელი რჩება. მათში ცვლილებების შეტანა შეიძლება მხოლოდ ამ კანონით დადგენილი საერთო წესით.

რაც შეეხება განმეორებით კენჭისყრას, იგი შეიძლება დაინიშნოს როგორც არჩევნების პირველი ტურის, ისე არჩევნების მეორე ტურის შემდეგ, აუცილებლობისას ცენტრალური საარჩევნო კომისია განმეორებითი კენჭისყრის გამართვას ავალებს საუბნო საარჩევნო კომისიის იმავე ან სხვა შემადგენლობას. განმეორებითი კენჭისყრა ტარდება პირველი ტურიდან (მეორე ტურიდან) 2 კვირის ვადაში.

ორგანული კანონის მიხედვით, „თუ საარჩევნო სისტემის საფუძველზე მოწყობილი არჩევნები ჩატარებულად

გამოცხადდა, მაგრამ ვერც ერთმა პარტიამ და საარჩევნო ბლოკმა ვერ მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 7%, ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით საერთო არჩევნებიდან 2 კვირის ვადაში ტარდება ხელახალი კენჭისყრა".

პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩევნებისას განმეორებითი კენჭისყრა ინიშნება, თუ ამომრჩეველთა სრული რაოდენობა ამ უბნებში საერთო რაოდენობის 10%-ზე მეტია. ამ შემთხვევაში განმეორებითი კენჭისყრა ინიშნება საერთო არჩევნებიდან 2 კვირის ვადაში.

არჩევნების საბოლოო შეჯამებისათვის დგება ოქმი, სადაც მიეთითება საარჩევნო ოლქებისა და უბნების დასახელება და ნომრები, რომელშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი, ამომრჩეველთა რაოდენობა, არჩევნების ბათილად ცნობის მიზეზები, ყოველ საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა, არჩეულ პარლამენტის წევრთა რაოდენობა და ანბანურად დალაგებული მათი სია.

ცენტარლური საარჩევნო კომისია არჩევნების საბოლოო შეჯამებიდან 5 დღის ვადაში პრესითა და მასობრივი

ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს არჩევნების შედეგების შეჯამების ოქმს.

მეორე ტურის არჩევნები, ხელახალი არჩევნები ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში, პარლამენტის წევრის ადგილმონაცვლეობის პრინციპი.

საარჩევნო კანონის მიხედვით, არჩევნების პირველ ტურში საქართველოს პარლამენტის წევრის აურჩევლობისას, ცენტრალური საარჩევნო კომისია კენჭისყრიდან 2 კვირის ვადაში არჩევნების მეორე ტურს ნიშნავს, რომელშიც უკეთესი შედეგის მქონე ორი კანდიდატი მონაწილეობს და თუ ერთნაირი საუკეთესო შედეგების აღმოჩნდება რამდენიმე, ყველანი გადიან მეორე ტურში; ხოლო მეორე ტურში არჩეულად ის კანდიდატი ჩაითვლება, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს. ერთნაირი ხმის მიღების შემთხვევაში აირჩევა პირველ ტურში ხმათა მეტი რაოდენობის მიმღები კანდიდატები.

ხელახალი არჩევნები ჩატარდება იმ შემთხვევაში, როცა არჩევნებში არ მიიღებს მონაწილეობას ამომრჩეველთა რაოდენობის 1/3 და აგრეთვე ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში პარლამენტის რომელიმე წევრს უფლებამოსილება

ვადამდე ადრე შეუწყდება. ხელახალი არჩევნების თარიღს ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია კენჭისყრის ჩატარებამდე არა უგვიანეს 2 თვისა.

საარჩევნო კანონის თანახმად ხელახალი არჩევნები ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში ტარდება წელიწადში ორჯერ მაის-ივნისში და ოქტომბერ-ნოემბერში. არჩევნები უახლოეს ვადაში უნდა ჩატარდეს. „პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე ხელახალი არჩევნები გამოკლებული პარლამენტის წევრის ნაცვლად არ ტარდება.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი მ. 107	9. ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქიდან არჩეული პარლამენტის წევრის გამოკლების შემთხვევაში მისი ადგილმონაცვლის კანდიდატურის წარდგენის უფლება ენიჭება პარტიასა და საარჩევნო ბლოკს (მიუხედავად იმისა, შეყვანილია თუ არა ეს კანდიდატი რეგისტრირებულ პარტიულ სიაში), აგრეთვე საინიციატივო ჯგუფს.

არჩევნების საბოლოო შედეგის შეჯამებიდან 5 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრებს და აძლევს მათ დროებით მოწმობას საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ.

ასე გამოიყურება საპარლამენტო პროცესი საქართველოში დაწყებული არჩევნების დანიშვნიდან, დამთავრებული შედეგების შეჯამებამდე. მთელი საარჩევნო სისტემა ისეა აწყობილი, რომ ხელი შეუწყოს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, ამომრჩეველთა ფართო მასების ჩაბმას ამ პროცესში და მათი პოლიტიკური ნების გამოვლენისათვის ხელის შეწყობას. დახვეწილი საარჩევნო კანონი დემოკრატიული პარლამენტის საფუძველი და ქვეყნის კეთილდღეობის, უკეთესი მერმისის გარანტიაა. საქართველოს საარჩევნო კანონი კი არის საუკეთესო გარანტია.

თავი მეთხუთმეტე:

ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნები

მანამ, სანამ მიმოვიხილავდეთ ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევის წესსა და ფორმირებას, უნდა განვსაზღვროთ დეფინიცია ადგილობრივი თვითმართველობისა და მართველობის ორგანოებისა.

<u>ადგილობრივი თვითმართველობის</u> ორგანოებია საკრებულოები. „ადგილობრივი თვითმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციით აღიარებული უფლება, შესაძლებლობა და პასუხისმგებლობა, დადგენილი წესით, თვითმართველობის ერთეულში მათ მიერ შექმნილი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, კანონის საფუძველზე, საკუთარი პასუხისმგებლობით და დამოუკიდებლად გადაწყვიტონ საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. ადგილობრივი მმართველობა

სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შეულახავად ხორციელდება.

„ადგილობრივი თვითმართველობა არის კანონით განსაზღვრული სახელმწიფო აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ურთიერთკოორდინირებული საქმიანობა, რომელიც ადგილებზე, მოსახლეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, უზრუნველყოფს სახელმწიფო ინტერესების დაცვას“.

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ადგილობრივ თვითმართველობას, როგორც მმართველობის დემოკრატიული სისტემის ერთ-ერთ აუცილებელ საფუძველსა და პირობას. კონსტიტუციის მე-2 მუხლით ორგანულ კანონს მიენდო ადგილობრივი ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება, მათი სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტა.

1997 წლის 16 ოქტომბრის კანონის მიხედვით „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“-ზემოთ აღნიშნული საკითხები განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტთან

შესაბამისობაში, საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ კონსტიტუციური კანონის მიღებაში.

1985 წლის ევროსაბჭოს ქარტია ევროპის ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ, ადგილობრივ თვითმართველობას განსაზღვრავს, როგორც ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას კანონით განსაზღვრულ ფარგლებში საკუთარი პასუხისმგებლობითი და მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად მართოს და არეგულიროს საზოგადოებრივ საქმეთა მნიშვნელოვანი ნაწილი.

კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ"-მიხედვით ადგილობრივი თვითმართველობა ხორციელდება სოფელში, დაბასა და ქალაქში.

არჩევნების დანიშვნა

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" მიხედვით თვითმართველობის ორგანოები საკრებულოები, გამგებლები, მერები აირჩევიან თანასწორი პრინციპის საფუძველზე 4 წლის ვადით. მათი არჩევნები ინიშნება საქართველოს პრეზიდენტის მიერ მათი

უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, არა უგვიანეს 2 თვისა. ხოლო არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 3 დღისა პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით ქვეყნდება ცნობა ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შესახებ; საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნები არ ტარდება.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი მ. 109	1. ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნები სოფელში, უბანში, დაბაში, ქალაქსა და იმ ქალაქში, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, ტარდება მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქის მიხედვით, მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემის საფუძველზე. 2. ქ. თბილისში ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს –საკრებულოს არჩევნები ტარდება პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. 3. ქალაქში, რომელშიც ამომრჩეველთა რაოდენობა 5000-ზე მეტია და ქალაქში, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, გარდა ქ. თბილისისა და ფოთისა, გამგებელი, მერი აირჩევა მაჟორიტა-

აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება

ორგანული კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში მონაწილე აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა საარჩევნო უფლებამოსილებას, კერძოდ წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად. მერად, გამგებლად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისათვის შეუსრულდა 21 წელი და საქართველოში მუდმივად უცხოვრია 5 წელი.

კანონი აუცილებელ მოთხოვნას აყენებს საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციაზე კანონით დადგენილი წესით იმ ტერიტორიაზე, სადაც ისინი კენჭს იყრიან საკრებულოს წევრად, გამგებლად, მერად. კანონის ეს მოთხოვნები სწორი და დროულია. პოსტკომუნისტური საარჩევნო კანონმდებლობა როდი ითვალისწინებდა ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ სტრუქტურებში თანამდებობის პირის ადგილობრივი მოსახლეობისაგან დანიშვნას, ან იგივე შემადგენლობიდან დეპუტატებად მათ არჩევას. შედეგად ვღებულობდით უარყოფით შედეგს. მაგალითად, ზესტაფონის

რაიონული კომიტეტის მდივნად ან აღმასკომის თავმჯდომარედ ინიშნებოდა ჩხოროწყუს მცხოვრები, რომელიც არ იცნობდა მომავალში მის სამუშაო რაიონს, მოსახლეობას, აქ მცხოვრები ხალხის ტრადიციებს, რაიონის სპეციფიკას, რაც გარკვეულწილად უარყოფით დაღს ასვამდა რაიონის ეკონომიკურ განვითარებაზე. ასევე ხდებოდა არჩევნებისას: ყოველგვარი დემოკრატიული საარჩევნო სისტემის დარღვევისას საქართველოს რომელიმე რაიონი უმაღლესი საბჭოს დეპუტადად ირჩევდა სხვა რაიონის მცხოვრებს (ცენტრის უშუალო მითითებით), რომელიც არ იცნობდა რაიონს, ხოლო ამომრჩევლები მათთვის სრულიად უცხო სუბიექტს აძლევდნენ ხმას.

ორგანული კანონი არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ართმევს იმ პირებს, რომლებიც საზღვარგარეთ მუდმივად ან დროებით ცხოვრობენ და აგრეთვე ნაოსნობაში მყოფ გემებზე მყოფ პირებს.

რაც შეეხება ვადიანი და საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეების, ისინი ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს არჩევნებში მონაწილეობენ სამხედრო ნაწილის განლაგების მიხედვით.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი	1. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში ამომრჩეველს აქვს იმდენი ხმის უფლება, რამდენი წევრიცაა ასარჩევი შესაბამის საკრებულოში.
მ. 11	2. ქ. თბილისში პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში ყოველ ამომრჩეველს ერთი ხმის უფლება აქვს.

საკრებულოს შემადგენლობა – საარჩევნო კანონის 112 მუხლი ჩამოთვლის საკრებულოს შემადგენლობას, კერძოდ:

საკრებულო შედგება:

ა) 5 წევრისაგან, თუ შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 5000-ს;

ბ) 7 წევრისაგან – თუ შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა 5000-დან 10000-მდეა;

გ) 9 წევრისაგან, თუ შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 10000-ს;

ქალაქების ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისისა და ცხინვალის საკრებულოები შედგება 15-15 წევრისაგან; ქ. თბილისის საკრებულო კი – 30 წევრისაგან.

რაც შეეხება საკრებულოებისა და გამგებლების და მერების უფლებამოსილების დაწყებას, იგი პირველისათვის იწყება, როცა ახლადარჩეული საკრებულო შეიკრიბება, ხოლო მეორისათვის არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნების დღიდან.

საკრებულოს წევრობის, გამგებლობის, მერობის კანდიდატების შეუთავსებლობის პრინციპი

მას შემდეგ, რაც საკრებულოს წევრობის, გამგებლობის, მერობის კანდიდატებად იქნება წამოყენებული საქართველოს საარჩევნო კანონის 94-ე მუხლში ჩამოთვლილი პირები (საქართველოს პრეზიდენტი, სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელები, საქართველოს უშიშროების საბჭოს წევრები, ეროვნული ბანკის წევრები; საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე და მისი

მოადგილეები, პარლამენტის აპარატის უფროსი, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულები და მათი მოადგილეები, რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის ადგილობრივი თვითმართველობისა და მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები (მდივნები), საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების, სახელმწიფო საზღვრის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოფიცრები, საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრები (რომლებიც არ არიან პარლამენტის წევრები), საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეები, ეროვნული კომიტეტის წევრები, თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარე და მოადგილეები) – მათ უჩერდებათ სამსახურეობრივი უფლებამოსილება, ხოლო აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებს ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად უფლებამოსილება შეუჩერდებათ პირადი განცხადების საფუძველზე.

თავი მეთექვსმეტე:

საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები

საარჩევნო კანონი ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად საარჩევნო ოლქების და საარჩევნო უბნების შექმნას.

სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის და იმ ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოს ასარჩევად იქმნება მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქები.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით გამგებლის და მერის ასარჩევად შექმნილი საარჩევნო ოლქის რაოდენობა განისაზღვრება არჩევნების წლის 1 იანვრის ქალაქის ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობის შესაბამისად.

საქართველოს ცენტრალური. საარჩევნო კომისია ქ. ბათუმის, ქ. რუსთავის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისის და ცხინვალისათვის ქმნის საარჩევნო ოლქებს.

ქ. თბილისში თბილისის საკრებულოს არჩევნების პროპორციული სისტემით არჩევნებისას ცენტრალური საარჩევნო კომისია ასრულებს საოლქო საარჩევნო კომისიის ფუნქციებს.

არჩევნების დანიშვნიდან 5 დღის ვადაში ეცნობება მოსახლეობას პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით საარჩევნო ოლქების შექმნისა და მათი საზღვრების მითითებით.

ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტები, მათი რეგისტრაცია, კანდიდატთა წარდგენის წესი

საარჩევნო კანონის 116 მუხლის მიხედვით „ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს პარტიას, საარჩევნო ბლოკს, პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატს, რეგისტრირებულს შესაბამის საარჩევნო კომისიაში.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში მონაწილეობის მსურველ პარტიებს,

რომლებსაც არ გაუვლიათ ბოლო საპარლამენტო რეგისტრაცია ცენტრალური საარჩევნო კომისიაში, რეგისტრაციაში უნდა გატარდეს ზუსტად იმავე წესებით, როგორც გადიან რეგისტრაციას საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტები (მ. 95) და რაზედაც ჩვენ დაწვრილებით შევჩერდით როდესაც ვიხილავდით საპარლამენტო არჩევნებს.

ქ. თბილისის საკრებულოს არჩევნები პროპორციული სისტემით ტარდება. პარტიები და საარჩევნო ბლოკები, რომლებიც საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობას ღებულობენ კენჭისყრამდე არა უგვიანეს 30 დღისა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგენენ პარტიულ სიებს (თითო პარტიული სია ყოველი პარტიისა და საარჩევნო ბლოკისაგან). წარდგენილი კანდიდატები სიების მიხედვით არ უნდა იყვნენ 30-ზე ნაკლები და 60-ზე მეტი.

ქ. თბილისის თვითმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში წარსადგენი პარტიული სიების და საარჩევნო ბლოკების პარტიული სიების შედგენის და მანდატების რიგითობის განსაზღვრისას, პარტიული სიების დამოწმებისას და პარტიულ სიას თანდართული სხვა მასალების მითითება -

შევსების წესი ისეთივეა, როგორც საპარლამენტო არჩევნებისას. ასევე ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის პარტიის (საარჩევნო ბლოკის) წარმომადგენელს სააღრიცხვო ბარათს წინასწარ გადასცემს ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომლის მიღებისთანავე, პარტიის (საარჩევნო ბლოკის) წარმომადგენლებს ეძლევათ დათარიღებული ცნობა საბუთის მიღების შესახებ.

თავი მეჩვიდმეტე:

ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრობის, გამგებლობის, მერობის კანდიდატთა წარდგენა და მათი რეგისტრაცია

საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნებში მონაწილეობის უფლება. პარტიული სიების წარდგენა, კანდიდატთა წარდგენა, მათი რეგისტრაცია.

ადგილობრივი წარმომადგენლობით ორგანოში არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატთა წარდგენის უფლება გააჩნია (როგორც საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისას): ამომრჩეველთა 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს; არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი	2. პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს წარადგინოს საარჩევნო

მ. 119	უფლების მქონე პირი, თუ მას მხარს უჭერს შესაბამისად სოფელში, თემში, დაბაში მცხოვრები არანაკლებ 10 ამომრჩეველი, ხოლო ქალაქში – არანაკლებ 100, იმ ქალაქში კი, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში – არანაკლებ 200 ამომრჩეველი.

ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენის შემთხვევაში, აგრეთვე არჩევნებში მონაწილე პარტიამ და საარჩევნო ბლოკმა შესაბამის საარჩევნო საოლქო კომისიას უნდა მიმართონ განცხადებით კენჭისყრამდე არა უადრეს 40 და არა უგვიანეს 30 დღისა და წარუდგინონ მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერები. განცხადებაში უნდა მიეთითოს: მაჟორიტარი კანდიდატის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ეროვნება, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო ადგილი (უმუშევრობის შემთხვევაში მიეთითება „უმუშევარი"), მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, საარჩევნო ოლქის დასახელება, წარსადგენი ნომერი მაჟორიტარი დეპუტატებისა, ასევე პარტიულობა (თუ უპარტიოა მიეთითება „უპარტიო").

განცხადებას, რომელიც შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას წარედგინება, უნდა დაამოწმოს პარტიის ან საარჩევნო ბლოკის უფლებამოსილმა პირმა, ხოლო

საინიციატივო ჯგუფის კანდიდატის წარდგენის შემთხვევაში მითითებულ უნდა იქნეს ამ ჯგუფის წევრთა და წარმომადგენლის სახელი, გვარი, საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა. განცხადებას თან უნდა ერთოდეს 2 ფოტოსურათი, მის მიერ ხელმოწერილი საარჩევნო ბარათი (2 ცალად), მითითებული უნდა იყოს მისი საქართველოში 5 წლის მანძილზე მუდმივად ცხოვრების ფაქტი და თანხმობა კენჭი იყაროს მოცემულ საარჩევნო ოლქში.

მას შემდეგ, რაც ცენტრალური საარჩევნო კომისიას წარედგინება პარტიული სიები, იგი მისი წარდგენიდან 5 დღის ვადაში ახდენს რეგისტრაციას ამ სიებისა, ხოლო საკრებულოს წევრობის, გამგებლობის, მერობის კანდიდატებს კი ამ სიების წარდგენიდან არა უგვიანეს 5 დღისა; რეგისტრაცია მთავრდება კენჭისყრამდე არაუგვიანეს 25 დღისა.

მას შემდეგ, რაც დასრულდება კანდიდატების რეგისტრაცია, 3 დღის ვადაში შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში მათ გადაეცემათ კანდიდატის მოწმობები.

L.(1)93

საარჩევნო ოლქში წარმოდგენილი კანდიდატები რეგისტრაციაში გატარდება, თუ წარდგენილია: კანდიდატის სააღრიცხვო ბარათი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის განცხადება, მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია, ორი ფოტოსურათი.

შესაბამისი კომისია პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ კანდიდატებს რეგისტრაციაში არ გაატარებს თუ არ იქნა დაცული კანონის მოთხოვნები (მ. 120).

გამგებლის, მერის, აგრეთვე ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და მათ მიერ წარდგენილი კანდიდატების რიგითობა განისაზღვრება ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკების შედეგების შესაბამისი თანმიმდევრობით. თუ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო ბლოკი არჩევნებში მონაწილეობას აღარ იღებს, მისი ნომრით მონაწილეობის უფლება თანმიმდევრობით ენიჭებათ საარჩევნო ბლოკის სიაში დასახელებულ პარტიებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნებში პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატების რიგითობა დგინდება წილისყრით. წილისყრა ხდება საპარლამენტო არჩევნების წილისყრის შესაბამისად.

რეგისტრაციის დამთავრებიდან არა უგვიანეს 3 დღისა ქვეყნდება ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების რიგითობაზე და აგრეთვე იმ სუბიექტების სია, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე.

პარტია, საარჩევნო ბლოკი უფლებამოსილია რეგისტრაციის შემდეგ, მაგრამ კენჭისყრამდე 2 დღით ადრე გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება კანდიდატურის წარდგენის შესახებ, ხოლო კანდიდატი უფლებამოსილია მოხსნას თავისი კანდიდატურა კენჭისყრამდე 2 დღით ადრე, რისთვისაც სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიას, ეს უკანასკნელი კი აცნობებს ცენტრალური საარჩევნო კომისიას.

საარჩევნო ბიულეტენი

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, მსგავსად საპარლამენტო არჩევნებისა ტარდება პროპორციული სისტემით და არჩევნებისათვის მზადდება ორი სხვადასხვა სახის საარჩევნო ბიულეტენი.

<table>
<tr><td>საქართველოს
საარჩევნო
კოდექსი

მ. 122</td><td rowspan="2">2. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში შეაქვთ პარტიების, საარჩევნო ბლოკების სახელწოდებები (ბლოკის სახელწოდების შემდეგ მითითებული უნდა იყოს მასში გაერთიანებული პარტიათა სახელწოდებები) დადგენილი რიგითობის შესაბამისად</td></tr>
</table>

რაც შეეხება მაჟორიტარული წესით ჩატარებული არჩევნებისას – ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში შეაქვთ შესაბამის საკრებულოში ასარჩევად წარდგენილი ყველა კანდიდატის რიგითი ნომერი, სახელი, გვარი. მონაცემები კანდიდატის თაობაზე საარჩევნო ბიულეტენში შეიტანება მისი შესაბამისი

საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წილისყრით განსაზღვრული რიგითობის შესაბამისად.

გამგებლებისა და მერების არჩევნებისათვის ცალკე დგება საარჩევნო ბიულეტენი, რომელშიც შესაბამისი კანდიდატების რიგითი ნომერი, სახელი და გვარი შეიტანება. ქ. თბილისში საკრებულოს არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში, რომელშიც შეტანილია პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სახელწოდებები, ამომრჩეველი შემოხაზავს მხოლოდ იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის პარტიული სიის რიგით ნომერს, რომელსაც აძლევს ხმას.

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენებს, სადაც კანდიდატის მონაცემებია შეტანილი, ამომრჩევლები შემოხაზავენ იმ კანდიდატს, რამდენი წევრიც უნდა აირჩეს საკრებულოში, ხოლო გამგებლის არჩევისას – მხოლოდ იმ კანდიდატის რიგით ნომერს, რომელსაც აძლევს ხმას.

განმეორებითი კენჭისყრა, ხელახალი და რიგგარეშე არჩევნები

საარჩევნო კანონი ითვალისწინებს საარჩევნო უბანში განმეორებითი კენჭისყრის, ხელახალი და რიგგარეშე არჩევნების ჩატარების წესსა და პირობებს.

კანონის თანახმად, საარჩევნო უბანში ბათილად ცნობილი კენჭისყრის შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ინიშნება განმეორებითი კენჭისყრა, საერთო არჩევნებიდან 2 კვირის ვადაში. „განმეორებითი კენჭისყრა იმართება იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში — საკრებულოში ასარჩევ შესაბამისი რაოდენობის კანდიდატთაგან ბოლო საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატსა და მომდევნო შედეგის მქონე კანდიდატს შორის სხვაობა ნაკლებია ამ უბნის, ან გაბათილებული უბნების, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე; განმეორებითი კენჭისყრისას საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგის გაბათილების შემთხვევაში შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო ოლქში ჩატარებული არჩევნების შედეგს აჯამებს ამ უბნების გაუთვალისწინებლად.

რაც შეეხება ხელახალი არჩევნების ჩატარებას

საკრებულოს, გამგებლის, მერის ასარჩევად, იგი იმართება ამ არჩევნების არაჩატარებულად გამოცხადების შემთხვევაში.

თუ ვადამდე ადრე შეუწყდა უფლებამოსილება საკრებულოს, გამგებელსა და მერს, ამ შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები ტარდება.

განმეორებითი კენჭისყრის, ხელახალი და რიგგარეშე არჩევნების შემთხვევაში ხმების დათვლის და არჩევნების შედეგების შეჯამების წესი ისეთივეა, როგორც ჩვენს მიერ ზემოთ განხილული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისას.

საოლქო საარჩევნო კომისია, მას შემდეგ, რაც შეაჯამებს არჩევნების საბოლოო შედეგებს, რეგისტრაციაში ატარებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენ-ლობით ორგანოს – საკრებულოს წევრად, გამგებლად, მერად არჩეულ პირებს და გადასცემს მათ შესაბამის მოწმობებს.

საკრებულოს წევრის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილს იკავებს მისი ადგილმონაცვლე 2 კვირის ვადაში შემდეგ შემთხვევებში:

საქართველოს საარჩევნო კოდექსი	ა) იმავე პარტიულ სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი (ქ. თბილისის საკრებულოსათვის), თუ იგი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში თანხმობას განაცხადებს საკრებულოს წევრობაზე. თუ წარდგენილ პარტიულ სიაში კანდიდატი აღარ არის მანდატი უქმდება.
მ. 126	ბ) საკრებულოს წევრად აურჩეველ კანდიდატებს შორის საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატი (მაჟორიტარული სისტემით არჩეული საკრებულოსათვის), თუ იგი შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში თანხმობას განაცხადებს საკრებულოს წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სიიდან ამოიღება და ვაკანტურ ადგილს იკავებს მისი მომდევნო კანდიდატი. ასეთი კანდიდატის არარსებობის შემთხვევაში მანდატი უქმდება.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნების შედეგების დადგენა საარჩევნო ოლქში

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნების დამაგვირგვინებელი ეტაპია მისი შედეგების დადგენა. კანონის

მიხედვით არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ ამომრჩეველთა 1/3 ღებულობდა მონაწილეობას არჩევნებში.

პროპორციული სისტემით არჩევნებისას პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად, პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა გამრავლდება საარჩევნო ოლქში მანდატების რაოდენობაზე და გაიყოფა პარტიების (საარჩევნო ბლოკების) მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობის ჯამზე, ხოლო მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას, ხოლო საარჩევნო ოლქში პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამის მანდატების საერთო რაოდენობის ნაკლებობის შემთხვევაში, გაუნაწილებელი მანდატები ნაწილდება მხოლოდ იმ პარტიებს (საარჩევნო ბლოკებს) შორის, რომლებმაც მოიპოვეს ერთი მანდატი მაინც.

ხმების თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, მანდატი მიეკუთვნება იმას, რომელმაც საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი	პ. 4 პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოში არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომელთა რიგითი ნომრებიც პარტიულ სიაში ნაკლები, ან ტოლია ამ პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობისა.
მ. 123	4. მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოში ასარჩევ წევრთა რაოდენობის შესაბამისად არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც სხვებზე მეტ ხმას მიიღებენ.

ასევე, არჩევნებში გამარჯვებულად გამოდის ის კანდიდატები გამგებლობისა ან მერობისა, რომელიც სხვებზე მეტ ხმას მიიღებს. ორი კანდიდატის მიერ შესაბამისად ხმათა თანაბარი რაოდენობის მოგროვების შემთხვევაში, არჩეულად ის კანდიდატი ითვლება, რომელიც უფრო ადრე იყო რეგისტრირებული შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

ორგანული კანონის მიხედვით საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობაზე, თუ საარჩევნო კანონის უხეში დარღვევებით ჩატარდა არჩევნები. ბათილია არჩევნების შედეგები, თუ საარჩევნო უბნებში ბათილად ცნობილი არჩევნების შედეგებისას, აქ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა

საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 20%-ზე მეტია.

არჩევნების შედეგებს განიხილავს საოლქო საარჩევნო კომისია, რის საფუძველზეც დგება და მტკიცდება ოქმი.

საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ გადაცემული ოქმების საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს: ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, არჩევნებში მონაწილეების რაოდენობას, გამოუყენებელი, გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობას, ბათილ ბიულეტენებს, ნამდვილ ბიულეტენებს, საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემული ხმების რაოდენობას, პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით არჩეული საკრებულოს წევრებს, გამგებლებს, მერებს.

საოლქო საარჩევნო კომისიის ოქმი 4 ცალით უნდა აღემატებოდეს წარდგენილი კანდიდატების რაოდენობას. არჩევნების დამთავრების შემდეგ 5 დღის განმავლობაში პირველი ეგზემპლარი ოქმისა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გაეგზავნება, მეორე საოლქო საარჩევნო კომისიაში ინახება, მესამე – საკრებულოს სამანდატო კომისიას გადაეცემა, დანარჩენი კანდიდატების წარმომადგენლებს. ოქმის

მეოთხე ცალი გამოიკვრება საყოველთაო გაცნობისათვის (თვალსაჩინო ადგილას).

არჩევნების შედეგების შეჯამების შემდეგ 10 დღის განმავლობაში ეცნობება პრესითა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ცნობა მოსახლეობას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებული საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნების შესახებ. აქვე გამოქვეყნდება თითოეული არჩეულის მონაცემები.

ტ ე ს ტ ე ბ ი

ტესტი №1

1. საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს, პარლამენტის არჩევნებისათვის გამოყენება

ა – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა

ბ – პროპორციული საარჩევნო სისტემა

გ – პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო (შერეული) სისტემა;

ტესტი №2

1. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებულია ამომრჩეველთა სავალდებულო რეგისტრაცია, ეს ნიშნავს:

ა – ამომრჩეველთა ვალდებულებას გამოცხადდეს მარეგისტრირებელ ორგანოში და გაიაროს რეგისტრაცია;

ბ – საარჩევნო კომისიის ვალდებულებას მოახდინონ საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა რეგისტრაცია;

გ – აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ვალდებულებას, საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეები შეიყვანონ საარჩევნო სიაში.

ტესტი №3

1999 წლის 31 ოქტომბერს, საარჩევნო სიების შედგენისას რეგისტრატორმა შესაბამის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეს უარი უთხრა საარჩევნო სიაში შეტანაზე იმ მოტივით, რომ იგი დაბადებული იყო 1981 წლის 31 ოქტომბერს და საარჩევნო კანონით იგი ხმის უფლებას მოიპოვებდა მხოლოდ არჩევნების დღეს და შესაბამისად საარჩევნო სიის შედგენის (რეგისტრაციის) მომენტისათვის იგი ამ უფლებით არ სარგებლობდა. საარჩევნო სიების შედგენა კი უნდა დასრულდეს არჩევნებამდე არა უგვიანეს 55 დღისა. რეგისტრატორის გადაწყვეტილება

ა — კანონიერია

ბ — არ არის კანონიერი

ტესტი №4

საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატმა ა. ანდღულაძემ საარჩევნო ბიულეტენში შემოხაზა ის რიგითი ნომერი, რომლის გასწვრივ მისი გვარი ეწერა; ე.ი. ხმა მისცა საკუთარ თავს. ამით მან განახორციელა:

ა — აქტიური საარჩევნო უფლება;

ბ — პასიური საარჩევნო უფლება;

ტესტი №5

1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, გაზეთმა „რეზონანსმა" მოაწყო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. გაზეთის რედაქციამ გამოკითხვის შედეგები და ამის საფუძველზე მიღებული არჩევნებში მონაწილე კანდიდატების სარეიტინგო მაჩვენებლები გამოაქვეყნა 30 ოქტომბერს, არჩევნების წინა

დღეს. ინფორმაციამ საზოგადოებაში დიდი ინტერესი და კმაყოფილება გამოიწვია.

ა – რედაქციამ დაარღვია კანონი;

ბ – რედაქცია მოქმედებდა კანონის შესაბამისად

ტესტი №6

საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა არ შეასრულა ამომრჩევლებისადმი მიცემული დაპირებები, არ ხვდებოდა ამომრჩევლებს, ყურად არ იღებდა მათ წინადადებებს და შენიშვნებს, უარს ეუბნებოდა ამომრჩევლებს დახმარებაზე, რის გამოც ამომრჩევლებმა მოითხოვეს თავიანთი რჩეულის გამოწვევა პარლამენტიდან.

ა – საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია.

ბ – პარლამენტში დადგა დეპუტატის იმპიჩმენტის საკითხი.

გ – დეპუტატი გაწვეულ იქნა.

ტესტი №7

1. პარლამენტის არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება:

ა — თუ მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 1/3-მა;

ბ — თუ მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ.

გ — თუ მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 1/5-მა.

ტესტი №8

აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენისა და აფხაზეთში საქართველოს პარლამენტის წევრთა არჩევნებისათვის ნორმალური პირობების შექმნამდე 1992 წლის არჩევნების შედეგად აფხაზეთიდან არჩეულ პარლამენტის წევრებს, რომლებიც კანონის ამოქმედების დღიდან არიან პარლამენტის წევრები:

ა — უგრძელდებათ პარლამენტის წევრის უფლებამოსილება;

ბ — არ უგრძელდებათ უფლებამოსილება;

გ — უგრძელდებათ უფლებამოსილება 4 წლის ვადით.

ტესტი №9

მაჟორიტარული წესით არჩევნებში მონაწილეობის უფლება გააჩნიათ წარდგენის უფლების მქონე პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ წარმოდგენილ კანდიდატს, აგრეთვე პირს, რომლის ინიციატივაც დადასტურებულია:

ა – 1500 ხელმოწერა მაინც;

ბ – 2000 ხელმოწერა მაინც;

გ – 1000 ხელმოწერით მაინც, ან რომელიც ბოლო არჩევნებით იყო პარლამენტის წევრი.

ტესტი №10

ახლად არჩეული პარლამენტის პირველ სხდომას უძღვება:

ა – ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;

ბ – საქართველოს პრეზიდენტი;

გ – საქართველოს პარლამენტის უხუცესი წევრი.

ტესტი №11

საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის შემთხვევაში ახალი წევრი ინიშნება (ირჩევა):

ა – 10 დღის ვადაში;

ბ – 20 დღის ვადაში;

გ – ვადის გასვლის მეორე დღეს.

ტესტი №12

საარჩევნო კომისიამ შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე არათანმიმდევრულად შეამოწმა საარჩევნო ოლქში მხარდამჭერთა სიები. კომისიამ აღმოაჩინა, რომ ზოგიერთმა ამომრჩეველმა უარი განაცხადა იმ ფაქტის შესახებ, რომ ისინი მხარს უჭერდნენ დეპუტატობის კანდიდატს, რათა მას ეყარა კენჭი შესაბამის საარჩევნო ოლქში, რის გამოც შესაბამისმა კომისიამ გააბათილა მხარდამჭერთა სია და საარჩევნო სუბიექტს შესაბამისი კომისიის განკარგულებით უარი ეთქვა საარჩევნო რეგისტრაციაზე. რამდენად კანონიერია საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება:

ა – სწორია, რადგან არათანმიმდევრული შემოწმებით მხარდამჭერთა სიის კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო ოდენობის 20%-ის ნამდვილობის შემოწმებიდან, 10% გაბათილების შემთხვევაში, ბათილდება საარჩევნო რეგისტრაცია;

ბ – გაბათილდება თუ 5% ამომრჩევლებისა არათანმიმდევრული გადამოწმებისას უარს აცხადებს მხარდაჭერაზე საარჩევნო სუბიექტისა;

გ – არ გაბათილდება, რადგან გადამოწმებით დადგინდა უმრავლესი მხარდამჭერთა ხელმოწერები, რათა კანდიდატმა კენჭი იყაროს მოცემულ საარჩევნო ოლქში.

ტესტი №13

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს:

ა – საქართველოს პრეზიდენტს;

ბ – პარლამენტის თავმჯდომარეს;

გ – საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

ტესტი №14

1999 წლის 19 ოქტომბერს პოლიციის ოპერატიულმა სამორიგეო ჯგუფმა დააკავა პარლამენტის წევრი ი.ბ. პარლამენტარის დაკავება მოხდა იმ დროს, როცა იგი ფიზიკურ ძალადობას იყენებდა მოქალაქე ნ. ბერიძემ მიმართ და უშვერი სიტყვებით მიმართავდა მას. პარლამენტარის განმარტებით მისი ქმედება გამოწვეული იყო იმით, რომ მანქანიდან გადმოსვლისა ნ. ბერიძემ მას ხელიდან გამოსტაცა დოკუმენტებით სავსე ჩანთა. დეპუტატმა პოლიციის მუშაკებს უარი განუცხადა გაჰყოლოდა პოლიციის განყოფილებაში, წარუდგინა მათ დეპუტატობის მანდატი და აუხსნა, რომ იგი სარგებლობს ხელშეუვალობის კონსტიტუციური უფლებით. ოპერატიული ჯგუფის წევრებმა აღარ დააკავეს საქართველოს პარლამენტის წევრი, პირიქით ბოდიში მოუხადეს კიდეც მას. როგორ შეაფასებდით პოლიციის მუშაკების საქციელს:

ა – სწორად;

ბ – არასწორად.

ტესტი №15

საქართველოს პარლამენტის ფორმირება ხდება:

ა – პირდაპირი არჩევნების გზით;

ბ – ირიბი არჩევნების გზით;

გ – მთავრობის მიერ დაკომპლექტების გზით.

ტესტი №16

1999 წლის 31 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს პარლამენტის არჩევნები. არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 10 დღის შემდეგ ქვეყნის მაღალმთიან აჭარის რეგიონში შეიქმნა საგანგებო ვითარება სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ცენტრალური საარჩევნო კომისიამ დანიშნა ახლადარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა. სხდომაზე არჩევნები ჩატარებულად ჩაითვალა და დადასტურდა პარლამენტის წევრთა 2/3-ის უფლებამოსილება. ამის შემდეგ პარლამენტი შეუდგა თავისი უფლებამოსილების შესრულებას. კანონიერად მოიქცა თუ არა პარლამენტი?

ა – საარჩევნო კომისია მოიქცა სწორად;

ბ – პარლამენტს შეეძლო შეკრებილიყო ავტომატურად;

გ – შექმნილი მდგომარეობის გამო პარლამენტს შეეძლო გაეგრძელებინა საქმიანობა;

დ – საარჩევნო კომისიას შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით შეეძლო დაენიშნა პარლამენტის პირველი სხდომა.

ტესტი №17

საქართველოს ძირითადი კანონის მიხედვით საქართველოს მოქმედი პარლამენტი არის:

ა – ერთპალატიანი;

ბ – ორპალატიანი;

გ – მრავალპალატიანი.

ტესტი №18

საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა:

ა – პირდაპირი საარჩევნო უფლებით;

ბ – ირიბი საარჩევნო უფლების საფუძველზე;

გ – საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა პარლამენტის მიერ.

დ – 25000 ამომრჩეველისაგან შემდგარი საარჩევნო კორპუსის მიერ.

ტესტი №19

საქართველოს პრეზიდენტს ირჩევენ:

ა – 10 წლის ვადით;

ბ – 5 წლის ვადით;

გ – პარლამენტის უფლებამოსილების ვადით.

ტესტი №20

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს წარადგენენ ცენტრალური საარჩევნო კომისიაში:

ა – რეგისტრირებული პარტიები, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი;

ბ – საქართველოს პარლამენტი;

გ – საქართველოს მთავრობა.

ტესტი №21

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგინეს 40 ათასი მხარდამჭერის სია, რის გამოც ცენტრალური საარჩევნო კომისიამ უარი განუცხადა მათ პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციაზე.

ა – საინიციატივო ჯგუფს უნდა წარედგინა არანაკლებ 50000 ამომრჩევლის ხელმოწერა;

ბ – საინიციატივო ჯგუფს უნდა წარმოედგინა 30000 ამომრჩევლის ხელმოწერა;

გ – საინიციატივო ჯგუფს უნდა წარმოედგინა 60000 ამომრჩევლის ხელმოწერა.

ტესტი №22

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა ი.ბ-მ კენჭისყრამდე 5 დღით ადრე მოხსნა თავისი კანდიდატურა, რისთვისაც წერილობითი განცხადებით მიმართა ცენტრალური საარჩევნო კომისია-ს, რომელმაც ეს მოხსნა არ

დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ აღინშნული საარჩევნო სუბიექტი რეგისტრირებული იყო, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი. სწორად მოიქცა თუ არა ცენტრალური საარჩევნო კომისია?

ა – სწორად მოიქცა;

ბ – არასწორად მოიქცა, რადგან საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს შეუძლია კენჭისყრის დღემდე ნებისმიერ დროს მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრალური საარჩევნო კომისიას, რომელიც ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს განკარგულებით;

გ – არასწორად მოიქცა, რადგან პრეზიდენტობის კანდიდატს კენჭისყრამდე 20 დღით ადრე შეუძლია თავისი კანდიდატურის მოხსნა.

ტესტი №23

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარმომადგენელი საარჩევნო კამპანიის დროს გადაიყვანეს სხვა თანამდებობაზე, მისი თანხმობის გარეშე.

რამდენად სწორია ეს ქმედება?

ა — სწორია;

ბ — არასწორია.

ტესტი №24

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს არჩევნები სოფელში, უბანში, დაბაში, ქალაქსა და იმ ქალაქებში, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, ტარდება:

ა — ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში;

ბ — მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქის მიხედვით, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე;

გ — ორმანდატიანი საარჩევნო ოლქის მიხედვით.

ტესტი №25

ქ. თბილისის საკრებულოს არჩევნებში პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ წარდგენილ კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს:

ა — 30-ზე ნაკლები და 60-ზე მეტი;

ბ – არანაკლებ 50-ისა;

გ – 40-ზე ნაკლები და 70-ზე მეტი.

ტესტი №26

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა საკრებულოს არჩევნებში ერთ-ერთი პარტიის სია წრდგენიდან 3 დღის ვადაში. რამდენად სწორად მოიქცა ცენტრალური საარჩევნო კომისია?

ა – სწორად მოიქცა;

ბ – არასწორად მოიქცა.

ტესტი №27

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში არ გაატარა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში გამგებლობის კანდიდატურაზე პირი, რომელსაც არ ჰქონდა მოხსნილი ნასამართლობა. რამდენად სწორად მოიქცა ცენტრალური საარჩევნო კომისია?

ა – სწორად მოიქცა;

ბ – ცენტრალური საარჩევნო კომისია-ს გადაწყვეტილება უარის თქმის შესახებ არასწორია.

ტესტი №28

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – მერის არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ კენჭისყრაში მონაწილეობდა:

ა – შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა 1/3;

ბ – შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა ნახევარი მაინც.

ტესტი №29

ქ. თბილისის მერი თანამდებობაზე ინიშნება:

ა – პრეზიდენტის მიერ;

ბ – საკრებულოს მიერ;

გ – პრეზიდენტის რწმუნებულის მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი 2001.
2. საქართველოს საარჩევნო კოდექსი. თბილისი 2001.
3. საქართველოს კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ. თბილისი
4. საქართველოს კანონები. ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები. „მერიდიანი". თბილისი, 1998.
5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თბილისი, 2001.
6. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, თბილისი, 2001.
7. გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბილისი, 1993.
8. გ. ლობჟანიძე, „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია", ქუთაისი, 2000.
9. პ. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 1996.

10. ზ. რუხაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ბათუმი, 1999.
11. Гранат Н. Л. Конституционное право, М; 1992.
12. ჯანდა, ბერი, გოლდმენი, ამერიკული დემოკრატია „ჯისიაი“, თბილისი, 1995.
13. ზ. ჯინჯოლავა, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სამართლებრივი მდგომარეობა, ჟურნალი „სამართალი“, 1993, №3.4.
14. ო. მელქაძე, „საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე“, „უფლება“, თბილისი, 1996.
15. „რესპუბლიკა. საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო“ ო. მელქაძის, რედაქციით, თბილისი, 1996.
16. Сахаров Н. А. Институт президента в современном мире. М. „Юр. Лит.“ 1992.
17. Е. Н. Темнов, Теория права еударства, под ред. В. В. Лазарева „Юрист“, М. 1996.
18. ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, თსუ, თბილისი, 2001.
19. ბ. ნაკაშიძე, ადგილობრივი თვითმმართველობის თანამედროვე კონცეფციის ზოგიერთი ასპექტი, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1997, №3.

20. Конституционное право, учебник, под ред. А. Е. Лазарева, БЕК, М, 1996.
21. Воллес Роджерс, Вовлечение обшественности в дела местного управления. Национальный демократический институт международных отношении.
22. ა. დემეტრაშვილი, მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, „იურიდიული ლიტერატურა“, თბილისი, 1992.
23. ლ. აბესაძე, საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილი, თბილისი, 1997.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ზოგადი ნაწილი

შესავალი: არჩევნების ცნება და ზოგადი დახასიათება.....7

§1. სუბიექტები.....12

§2. არჩევნების საყოველთაობა.....19

§3. ტერიტორიულობის პრინციპი.....20

§4. თანასწორობის პრინციპი.....21

§5. პირდაპირი საარჩევნო უფლება.....22

§6. ფარული კენჭისყრა.....22

§7. წყაროები.....23

§8. საარჩევნო სისტემები და მისი სახეები.....27

პირველი თავი: საარჩევნო პროცესი და მისი სტადიები საქართველოში.....34

მეორე თავი: საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების შექმნა.....46

მესამე თავი: საარჩევნო ადმინისტრაცია.....50

§1. საარჩევნო ორგანოების(კომისიების) შექმნა.....50

§2. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.....50

§3. საოლქო საარჩევნო კომისია.....68

§4. საუბნო საარჩევნო კომისია.....71
მეოთხე თავი: საარჩევნო სუბიექტები. მათი რეგისტრაციის წესი და მხარდამჭერთა სიები.....81
მეხუთე თავი: არჩევნების დაფინანსება.....87
მეექვსე თავი: კენჭისყრის წესი და არჩევნების შედეგების დადგენა.....95
§1. კენჭისყრის დრო და ადგილი.....95
§2. კენჭისყრის შენობის მოწყობა.....96
§3. საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი.....98
§4. საარჩევნო უბნის გახსნა.....100
§5 საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გაცემა.....102
§6. კენჭისყრა.....103
§7. გადასატანი საარჩევნო ყუთი.....107
§8. საარჩევნო ყუთის გახსნა და დათვლა.....108
§9. კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება საოლქო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.....116
მეშვიდე თავი: საჯაროობის პრინციპი არჩევნების მომზადებისას და ჩატარებისას.....117
§1. არჩევნების საჯაროობა.....117

§2. ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები.....118
§3. საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი. მათი უფლებამოსილებანი.....122
§4. წინასაარჩევნო აგიტაცია და წინასაარჩევნო შეკრებები და მანიფესტაციები.....123

განსაკუთრებული ნაწილი

თავი მერვე: საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესი და პირობები.....129
§1. ასაკობრივი ცენზი.....132
§2. მოქალაქეობისა და ბინადრობის ცენზი.....132
§3. თანამდებობრივი შეუთავსებლობა.....134
თავი მეცხრე: პრეზიდენტის არჩევის წესი.....135
თავი მეათე: პრეზიდენტობის კანდიდატების და მათი წარმომადგენლების საქმიანობის გარანტიები. არჩევნების მეორე ტური. რიგგარეშე არჩევნები.....138
თავი მეთერთმეტე: საქართველოს პარლამენტის არჩევნები..144
თავი მეთორმეტე: საქართველოს პარლამენტის ფორმირების წესი.....146

§1. საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნა.....146
§2. პარლამენტის ფორმირების შერეული წესი.....148
§3. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტა-
ტუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან..149
თავი მეცამეტე: საქართველოს პარლამენტის არჩევნებში
მონაწილე საარჩევნო სუბიექტების პარტიებისა და საარჩევნო
ბლოკების რეგისტრაცია.....152
§1. პარლამენტის წევრობის კანდიდატთა წარდგენის წესი,
მათი რეგისტრაცია და საარჩევნო ბიულეტენები.....158
§2. პარტიული სიების წარდგენა.....160
§3. საარჩევნო სუბიექტის რიგითობის განსაზღვრა.....162
§4. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე
პარტიათა და საარჩევნო ბლოკთა, პარლამენტის წევრობის
კანდიდატთა საქმიანობის გარანტიები.....165
თავი მეთოთხმეტე: საქართველოს პარლამენტის არჩევნების
შედეგების შეჯამება.....169
§1. არჩევნების შეჯამება ცენტრალურ, საუბნო და საოლქო
საარჩევნო კომისიაში.....170

§2. მეორე ტურის არჩევნები. ხელახალი არჩევნები ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში. პარლამენტის წევრის ადგილმონაცვლეობის პრინციპები.....175
თავი მეთხუთმეტე: ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნები.....178
§1. არჩევნების დანიშვნა.....180
§2. აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება.....182
§3. საკრებულოს წევრობის, გამგებლის, მერობის კანდიდატის შეუთავსებლობის პრინციპი.....185
თავი მეთექვსმეტე: საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები.....187
თავი მეჩვიდმეტე: ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრობის, გამგებლობის, მერობის კანდიდატთა წარდგენა და მათი რეგისტრაცია.....191
§1. საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნებში მონაწილეობის უფლება. პარტიული სიების წარდგენა. კანდიდატთა წარდგენა. მათი რეგისტრაცია.....191
§2. საარჩევნო ბიულეტენი.....192

§3. განმეორებითი კენჭისყრა. ხელახალი და რიგგარეშე არჩევნები.....198
§4. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, გამგებლის, მერის არჩევნების შედეგების დადგენა.....200
ტესტები.....205
გამოყენებული ლიტერატურა.....222
შენიშვნებისათვის

შენიშვნებისათვის